

**თამარ მახაროზიძე**

**დესტინაციურ სისტემათა  
ტიპოლოგია**

**(ქართული და ბასკური ენების მასალა)**

**თბილისი**

**2005**

## **თამარ მახარობლიძე**

ფილ ოლ რეის მენეჯერებათა დოქტორი

**რედაქტორი - ეთერ სოსელია**

ფილ ოლ რეის მენეჯერებათა  
დოქტორი, პროფესორი

**რეცენზენტები:**

**მ. სუხიშვილი**

ფილ ოლ რეის მენეჯერებათა  
დოქტორი, პროფესორი

**ი. ზიცარი**

ფილ ოლ რეის მენეჯერებათა  
დოქტორი, პროფესორი

წარმოდგენილი ნაშრომი ეძღვნება ქართული და ბასკური ენების მიხედვით დესტინაციური სისტემების დახასიათებას ტიპოლოგოური ასპექტით. ნაშრომში განხილულია დესტინაციის ინტერკატეგორიული მიმართებები ენობრივ სისტემათა რთულ ქსელში; მოცემულია ახალი ლინგვისტური თეორიები და გამოვლენილია ლინგვისტური უნივერსალები.

© თამარ მახარობლიძე, 2005

ISBN 99940-850-6-9

გამომცემლობა „ნეკერი“, 2005

## სარჩევი

შესავალი	5
დესტინაციურ სისტემათა ზოგადი ტიპოლოგიური პარამეტრები	11
დესტინაციის მიმართება სხვა მორფო-სემანტიკურ კატეგორიებთან	15
დესტინაცია და კლასის კატეგორია	17
დესტინაცია და ერგატიულობა	34
დესტინაცია და ზმნის პოლიპერსონალიზმი	56
ზმნური დესტინაცია	62
ქართული ზმნის ვერსიის კატეგორიის ტიპოლოგიური ანალიზი	63
ბასკური ზმნის ადრესატობის კატეგორია და ქართულ-ბასკური ზმნური დესტინაციის ტიპოლოგიური შეპირისპირება	85
ზმნისგარეთა დესტინაციის ტიპოლოგია	104

ძირითადი დასკვნები	112
ნაშრომში ჩატარებული კვლევის შედეგები	115
THE TYPOLOGY OF DESTINATION SYSTEMS	116
გამოყენებული ლიტერატურის სია	140

## შესავალი

წინამდებარე ნაშრომი “დესტინაციურ სისტემათა ტიპოლოგია” (ქართული და ბასკური ენების მასალა) ეხება ამ ენათა დესტინაციური სისტემის დახასიათებას ტიპოლოგიური ასპექტით. საერთოდ ლინგვისტიკაში და, განსაკუთრებით, თანამედროვე ენათმეცნიერებაში კამათს არ იწვევს ტიპოლოგიური ძიებების აქტუალობა. (ვ. ალაპატოვი, 1998; ჯ. გრინბერგი, 1970; მ. გუხმანი, 1981; 1974; ნ. ჩომსკი, 1972; ე. ჟირმუნსკი 1977; ე. ივანოვი, 1958; ს. კაცნელსონი, 1972; 1986; გ. კლიმოვი, 1977; 1975; 1983; ე. პანფილოვი, 1974; სხვადასხვა წყობის ენათა ტიპოლოგიური ანალიზის პრინციპები, 1972; ე. სეპირი, 1993; ბ. სერგებრენიკოვი, 1972; ე. სკალიჩკა 1963; ენათა სტრუქტურული ტიპოლოგია, 1962; ი. სუსოვი, 1999; უნივერსალიები და ტიპოლოგიური კვლევანი, 1974; ბ. პეტერსი, 1995).

ამ თუ იმ საკითხის ტიპოლოგიური კვლევა, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს საკვლევი ობიექტის მრავალმხრივ ანალიზს და შემდგომ კი შესაბამისი დასკვნების განზოგადებას. წარმოდგენილ ნაშრომში პირველად არის განხილული დესტინაციური ტიპოლოგიური სისტემები, მოცემულია კატეგორიათაშორისი მიმართებები და ერგატიულ სისტემათა დესტინაციური მოდელები. პოლიპერსონალური ენების კონკრეტულ კატეგორიათა მორფო-სემანტიკური მოდელების გამოვლენა და მათი გააზრება უნივერსალური პარამეტრებით, რა თქმა უნდა, ერთობ აქტუალურია თანამედროვე ენათმეცნიერებისათვის.

წარმოდგენილი ნაშრომის ძირითადი მიზანია დესტინაციურ სისტემათა სინქრონიული ანალიზი და ტიპოლოგიური დახასიათება, ზოგადი და უნივერსალური კანონზომიერებების გამოვლენა ამ კატეგორიის ფარგლებში ტიპოლოგიური კვლევის მეთოდებით.

ლინგვისტური ტიპოლოგია არის ზოგადი ენათმეცნიერების დარგი ანუ ენათმეცნიერულ კვლევათა მიმართულება, რომლის ძირითადი მიზანია დაადგინოს მსგავსება-სხვაობანი ისეთ ენათა შორის, რომელთაც არ გააჩნიათ გენეტიკური მიმართებები ან რაიმე ტიპის ურთიერთზეგავლენა. თუმცა არანაკლებ საინტერესოა მონათესავე ენათა ტიპოლოგიური შეპირისპირებანი. საერთოდ, ტიპოლოგია ყოველთვის მიისწრაფვის იმ ზოგადი ხასიათის მნიშვნელოვანი ენობრივი მოვლენების განხილვისაკენ, რაც, თავის მხრივ, ამა თუ იმ ენის წყობის განმსაზღვრელად გვევლინება. ხშირად ლინგვისტური ტიპოლოგიის კვლევები ეყრდნობა მონაცემთა ფართო ბაზას და, ამდენად,

აქედან გამომდინარე დასკვნებიც ზოგადი ხასიათისაა, ე. ი. მსოფლიოს ენათა უმეტესობაზე ვრცელდება. ამ მხრივ, ვფიქრობთ, წარმოდგენილ ნაშრომში განხილული საკითხებიც არ არის ინტერესს მოკლებული ზოგადი ტიპოლოგიური თვალსაზრისით.

ტიპოლოგიური ლინგვისტიკა განსაკუთრებულ ინტერესს იწენს ეგზოტიკური, ანუ ნაკლებად შესწავლილი ენებისადმი. ეს ინტერესი აიხსნება უნივერსალური ენობრივი პარამეტრების გადამოწმების მიზნით. ამ თვალსაზრისით, ბასკური, როგორც იზოლირებული ენა, უდავოდ ინტერესის საგანია. წინაბდებარე ნაშრომში ბასკური მასალაც გვაქვს მოხმობილი.

ტიპოლოგიური ლინგვისტიკა არა მარტო განიხილავს ფაქტებს და ახდენს მათ კლასიფიკაციას, არამედ იგი ცდილობს ამ ფაქტების ახსნასაც, ეს კი მას საკმაოდ აახლოებს თეორიულ ენათმეცნიერებასთან. თანამედროვე ენათმეცნიერული ტიპოლოგია განსაკუთრებულად მჭიდრო კავშირშია ფუნქციონალური მიმდინარეობის ლინგვისტურ თეორიებთან (ა. კიბრიკი, 1992; 1982; 1985; ე. კინენი, ბ. კომრი 1981; 1988 მ. ბაიკერი, 1996; დ. კრისტალი, 1985; ა. ჰოპერი, 1994).

ბოლო ათწლეულში განსაკუთრებული აქტიურობით განვითარდა ლინგვისტური ტიპოლოგიის არაგრამატიკული ასპექტები: ფონეტიკური სისტემების ტიპოლოგია, სემანტიკური და ლექსიკური ტიპოლოგია, რამაც ახლახან სრულიად ახალი სტიმული მიიღო კოგნიტური ლინგვისტიკის განვითარებით. აგრეთვე გაჩნდა ახალი მიმართულებები – ნეიროლინგვისტიკა, ფსიქოლინგვისტიკისა და სოციოლინგვისტიკის ახალი მიმდინარეობები და სხვ. მაგრამ უნდა ითქვას, რომ მორფო-სემანტიკური სისტემების ტიპოლოგიურ კვლევას არასოდეს დაუპარგავს თავისი დიდი მნიშვნელობა ენათმეცნიერების განვითარების რომელიმე ეტაპზე.

გვინდა განსაკუთრებით გამოვეყოთ ლინგვისტური ფუნქციონალიზმი, რომელიც გულისხმობს თეორიულ მიდგომას ენისადმი და ამტკიცებს, რომ ენის ფუნდამენტური თვისებების აღწერა შეუძლებელია ფუნქციური ცნებების გარეშე. ამ მიმდინარეობის თანახმად, ენის უმნიშვნელოვანესი ფუნქციებია:

1. კომუნიკაციის ფუნქცია, ანუ ერთი ადამიანისგან მეორისათვის ინფორმაციის გადაცემა;
2. ეპისტემიური, ანუ შემეცნებითი ფუნქცია, ე. ი. ენა, როგორც ინფორმაციის გადამუშავებისა და შენახვის საშუალება.

დღეს მრავალი ფუნქციონალისტი ცდილობს ენის ფორმათა ახსნას ფუნქციიდან ამოსვლით. კვლევისადმი ამდაგვარი მიდგომა ჩვენთვისაც

მისაღებია. თუმცა, რა თქმა უნდა, ჩვენ ვერ გავიზიარებთ უკიდურესი ფუნქციონალიზმის პრინციპებს.

თანამედროვე ფუნქციონალიზმის წინამორბედებად ითვლებიან: პოტენია, ბოდუენ დე კურტენე, პეშკოვსკი, კაცნელსონი, სეპირი, ესპერსენი, მათეზიუსი, ბიულერი, ბენვენისტი, იაკობსონი, ტრუბეცკოი, კარცევსკი. დღევანდელი ფუნქციონალიზმი უპირისპირდება ფორმალიზმს (ჩომსკი). იგი არ აყალიბებს აპრიორულ დებულებებს, ფორმალიზმისაგან განსხვავებით, თუმცა ფუნქციონალური ლინგვისტიკის ზომიერი მიმდინარეობა გარკვეულწილად მაინც იზიარებს ენობრივი აბსტრაქციის პრინციპს.

თანამედროვე ფუნქციონალური ლინგვისტიკის ძირითადი იდეა მდგომარეობს შემდეგში - ენობრივი სისტემა არის თავისებური ტიპის "ეკოლოგიური კონტექსტი", სადაც ფუნქციონირებს ენა. პირველ რიგში სისტემა შედგება ადამიანის აზროვნების (ანუ ადამიანის კოგნიტური სისტემის) ზოგადი თვისებებისა და შეზღუდვებისაგან; ასევე პიროვნებათაშორისი კომუნიკაციის პირობებისაგან. ამდენად, ფუნქციონალისტები (ა. კიბრიკი, ჯ. პეიმანი) ენობრივი მოვლენების ახსნას ძალიან ხშირად ცდილობენ უამრავ სხვადასხვა ფაქტორზე დაყრდნობით. ჩვენთვის განსაკუთრებით მისაღებია ის, რომ ფუნქციონალისტებს საერთოდ ახასიათებთ მოვლენათა ტიპოლოგიური განზოგადება და ფართო ემპირიული მასალის, ანუ ენათა დიდი კორპუსის გამოყენება. გავიხსენოთ, რომ ჩომსკის სინტაქსური აბსტრაქცია მხოლოდ ინგლისურის მონაცემებს ეყრდნობა. ამ საკითხთან დაკავშირებით მას პირველად კომრი დაუპირისპირდა (ბ. კომრი, 1981, გვ. 15-16).

ფუნქციონალისტები არღვევენ ხელოვნურ ზღვარს სხვადასხვა მეცნიერებებს შორის. ეს, საერთოდ, მეცნიერების უკანასკნელი პერიოდისთვის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია. იქმნება ინტერდისციპლინარული მეცნიერებები. ტიპოლოგია კი, როგორც მეცნიერება, იმთავითვე ინტერდისციპლინარული იყო: თავიდანვე გამოიყოფოდა ლინგვისტური და არალინგვისტური ტიპოლოგია. ამდენად, ფუნქციონალისტებს არ უჭირთ ენობრივი-არაენობრივის განზოგადება ამა თუ იმ მოვლენის ასახსნელად. მაგალითისთვის: იაკობსონმა გააფართოვა ბიულერის სქემა და ჩათვალა, რომ კომუნიკაციის აქტი სამის მაგიერ ექვსი კომპონენტისაგან შედგება: მოსაუბრე, ადრესატი, კავშირის არხი, საუბრის საგანი, კოდი და შეტყობინება. ბიულერის მიერ გამოყოფილ ენის სამ ფუნქციასაც (ექსპრესიული, აპელატიური და რეპრეზენტატიული), შესაბამისად, ახალი სახელები დაერქვა - ემოტიური,

კონატიური და რეფერენტული (ა. კიბრიკი, 1982, გვ. 12; რ. იაკობსონი, 1985, გვ. 135). სწორედ კომუნიკაციის ეს კომპონენტები და მათი ფორმალურ-ფუნქციური მიმართებები წარმოადგენს ფაქტობრივად ჩვენი ნაშრომის კელევის საგანს.

ყველაზე დიდი სირთულე, რომელსაც ფუნქციონალისტები აწყდებიან, არის ის, რომ მათი აღმოჩენები არ ატარებს უნივერსალურ ხასიათს. ამიტომაც მათ შემოიღეს “კონკურიებადი მოტივაციის” ცნება, რომელიც გულისხმობს შემდგომს: ენობრივი სტრუქტურის ყოველ წერტილში თანაბარი ძალა მოქმედებს და ის, თუ რომელი მათგანი გაიმარჯვებს, დამოკიდებულია მრავალ სხვადასხვა ფაქტორზე. ამ გამამარჯვებელი ფაქტორების კონკურიებად მოტივაციათა შესწავლა და დადგენა არის ფუნქციონალური ლინგვისტიკის უმნიშვნელოვანესი ამოცანა (ა. კიბრიკი, 1982, გვ. 10).

ენა, როგორც უმაღლესი მატერია, არის ფორმისა და ფუნქციის მჭიდრო და კანონზომიერი ურთიერთობა. ამიტომაც ამა თუ იმ ენობრივი მოვლენის შესწავლა ფორმისა და ფუნქციის ურთიერთობის საფუძველზე უნდა მოხდეს. ფაქტობრივად, ჩვენ ვაერთიანებთ ამ ორი უკიდურესი მიმდინარეობის (ფორმალიზმისა და ფუნქციონალიზმის) საუკეთესო დებულებებს და ახალი ფუნქციო-ფორმალური რაციონალური მეთოდური მიდგომის თეორია შემოგვაქვს, რომლის მიხედვითაც, ესა თუ ის ენობრივი მოვლენა ხან ფორმიდან, ხან კი ფუნქციიდან გამომდინარე აიხსნება. ერთი შეხედვით, ასეთი მიდგომა თითქოს არ არის ერთგვაროვანი და, როგორც მეთოდი, მიუღებელიც ჩანს, მაგრამ გაეიხსენოთ თუნდაც ენათმეცნიერებისათვის უკვე ცნობილი კლასიფიკაციის კომბინირებული პრინციპის სქემა. ერთგვაროვნების პრინციპის დაცვა აუცილებელია ერთი კონკრეტული მიდგომის დროს, მაგრამ მოვლენათა ტიპოლოგიური განზოგადებისათვის და მისი საბოლოო ზოგადენობრივი მოდელის გასააზრებლად აუცილებელია თავად ენის მრავალმხრივობის გათვალისწინება, რაც, უპირველეს ყოვლისა, მდგომარეობს ენის ფორმისა და ფუნქციის ურთიერთმიმართების საკითხში. ენაში ფორმა და ფუნქცია ერთობას ქმნის. ამდენად, ცხადია, ეს ერთობა კელევისთვისაც მნიშვნელოვანი იქნება. სათქმელი, აზრი, არსი ანუ ფუნქცია არის პირველადი ამოსაყალი, მაგრამ რიგ შემთხვევებში, როდესაც უკვე შექმნილია ენობრივი სისტემა, იგი უკვე დამოუკიდებლად, სისტემის კანონების შესაბამისად, ენობრივი ინერციით მუშაობს. ასეთ დროს ყალიბდება



ფორმალური ერთეულები, რომლებიც საკმაოდ დაცილებულია ფუნქციურ საწყისს. ასეთ შემთხვევაში ფორმალური მიდგომა იქნება სწორი. (საერთოდ, არ შეიძლება გენერატიული ლინგვისტიკის რიგი ზოგადი მოდელების აპრიორულ დებულებებზე უარის თქმა.) ასეთი ტიპის ფუნქციას დაცილებული ფორმების ისტორიულ განვითარებას დიაქრონიული ტიპოლოგია გაარკვევს.

ბუნებრივია, რომ სინქრონიულად ფორმა და ფუნქცია ენაში თანაბარ შესაბამისობაში ვერ იქნება. რიგ შემთხვევებში ფუნქცია ახსნის ფორმას, ზოგან კი ფორმა ახსნის ფუნქციას. თუ ეს ორივე თანაბრად არ გავითვალისწინეთ, მაშინ სრულყოფილი ვერ იქნება ამა თუ იმ ენობრივი მოვლენის კვლევა. ასეთი მიდგომით ჩვენ ვაერთიანებთ ორ ინტერესს: ერთი მხრივ ლინგვისტი თეორეტიკოსების ინტერესს ფორმალური ინვენტარისადმი და მეორე მხრივ, ინტერესს ენობრივი ფაქტების ფუნქციური ახსნისადმი.

ფორმისა და ფუნქციის ურთიერთობის მოტივირებულობის საკითხს გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში შეეხნენ ა. კიბრიკი და ჯ. პეიმანი (ა. კიბრიკი, 1992; 1994; ჯ. პეიმანი, ს. ტომსონი, 1988). პეიმანის მიხედვით, გამოყოფილია ფორმალური მანძილი გამოთქმათა შორის - იგი შეესაბამება კონცეპტუალურ მანძილს. კიბრიკის სიტყვებით, ფუნქციონალისტები გრამატიკას განსაზღვრავენ როგორც ე. წ. "რუტინიზაციის" რეზულტატს, ანუ თავისუფალი დისკურსიული გამოყენების "კრისტალიზაციის" შედეგს. დისკურსიულ ფრაგმენტებს შორის კი ისეთი აზრობრივი ურთიერთმიმართებები იგულისხმება, როგორიცაა მიზანი, მიზეზი, პირობა და ა. შ. (ა. კიბრიკი, 1992, გვ. 16). ტ. გივონმა შემოგვთავაზა მოტივირებულობის ხარისხის ცნება, ლინგვისტური და კოგნიტური ფსიქოლოგიების ურთიერთგაეგნება, გარდამავლობის ფუნქციონალურ-ტიპოლოგიური ასპექტები, მოდალობის ტიპოლოგიური თეორია, ტექსტისა და აზრის ერთობის კავშირის თეორია, რეფერენციალური კავშირის კოგნიტური მოდელი (აქტიური ყურადღებისა და მეხსიერებაში ძიების ოპერაციებით), რაოდენობრიობის მეთოდოლოგია და მრავალი სხვა. მნიშვნელოვანი იყო ფოლის და ვან ვალინის რეფერენციალურ-როლებრივი გრამატიკა, ასევე ა. კიბრიკის, ჯ. ბაიბისა და ჯ. ნიკოლსის შრომები. არანაკლებ მნიშვნელოვანია ს. დიკის ფუნქციონალური გრამატიკა, რომელიც განიხილავს ენას, როგორც სოციალური ურთიერთმოქმედების საშუალებას. აგრეთვე ა. ბონდარკოს "ფუნქციონალური გრამატიკის თეორია", სადაც მნიშვნელობათა დაწერილებითი ინვენტარიზაციაა მოცემული, ი. ფირ-

ბასის "წინადადების ფუნქციონალური პერსპექტივა", გ. ზლოტოვის "კომუნიკაციური გრამატიკა", მ. ვსევოლოდოვის ფუნქციონალურ-კომუნიკაციური სინტაქსი და სხვ. (ა. ბონდარკო, 1983; 1976; რ. ვან ვალინი, უ. ფოლი, 1982; ე. სკალინკა, 1963; ე. ხემფი 1964; ბ. ბალთაზარი, ჯ. ნიკოლსი, 2001; რ. ვან ვალინი, 1981).

ჩვენი ტერმინი "ფუნქციო-ფორმალური" პირობითია. შეიძლება ამ მეთოდურ თეორიას ფუნქციურ-ფორმალურიც დაერქვას, ან სხვა სახელიც ეწოდოს. მნიშვნელოვანია, რომ ეს ფუნქციო-ფორმალური მეთოდური თეორია გააერთიანებს ფორმალისტებს სამივე ტიპის ფუნქციონალისტებთან: მოსაზღვრე ფუნქციონალისტებთან (ს. კუნო, ჯ. პოკინსი), ზომიერ ფუნქციონალისტებთან (რ. ვან ვალინი, მ. დრაერი, ს. დიკი) და რადიკალურ ფუნქციონალისტებთან (ტ. გივონი, ი. ჩეიფი, ს. ტომსონი, პ. პოფერი). აქვე გვინდა გავიხსენოთ ს. კუნოს მცდელობა, ხელოვნურად შეექანა ფორმალიზმში ფუნქციონალური ელემენტები. იგი თვლიდა, რომ ფუნქციონალური სინტაქსი მხოლოდ მოდულია, რომელიც უნდა დაემატოს ფორმალურ გრამატიკას. ამ მიზნით მან გენერატიულ გრამატიკაში შემოიტანა დისკურსი, ტოპიკი და ლოგოფორული ნაცვალსახელები, ასევე ემატიის ცნებაც. (ს. კუნო, 1987). ჩვენ მიერ შემოთავაზებული ფუნქციო-ფორმალური თეორია კი ორგანულად აერთიანებს ამ ორ ნაწილს (ფორმასა და ფუნქციას) და რომელიმე მათგანის პრიორიტეტს გამოირიცხავს, ჩვენ წარმოუდგენლად მიგვაჩნია ენობრივი მოვლენების ნებისმიერი დონის ანალიზი ერთ-ერთის გარეშე.

უნდა აღინიშნოს, რომ ენის განვითარების ევოლუციური თეორია არ იზიარებს პრინციპულ დაყოფას: დიაქრონიულ და სინქრონიულ ასპექტებად (ჯ. ბაიბი, 1994). აქ გრამატიკული ევოლუციის კონცეფციის ძირითადი ელემენტია გრამატიკალიზაციის პროცესი, რაც გულისხმობს დიაქრონიულად ენის შედარებით თავისუფალი ელემენტების უფრო დაკავშირებად ანუ დამოკიდებულებად ელემენტებად გარდაქმნას. ჩვენ ხელსაყრელ ტერმინებად მიგვაჩნია დიაქრონია-სინქრონია.

ცხადია, ევოლუცია უწყვეტი პროცესია და ამდენად, დიაქრონიული ჭრილის რომელიმე სურათი ვერ იქნება როგორც ერთი ამოგლეჯილი ფრაგმენტი ენის განვითარებიდან. ამდენად, ოპოზიცია სინქრონია-დიაქრონია რადიკალური არ არის. მაგრამ, თავისთავად ისტორიული პროცესი ქმნის დიაქრონიულ ჭრილს, რომელიც სინქრონიული პორიზონტალებისაგან შედგება. ასევე უნდა ითქვას, რომ სინქრონია-დიაქრონია როგორც კვლევის გარკვეული მეთოდი, ჩვენი აზრით, ერთობ მისაღები და პროდუქტიულია.

## დესტინაციურ სისტემათა ზოგადი

### ტიპოლოგიური პარამეტრები

დესტინაციურ სისტემათა ზოგადი ტიპოლოგიური პარამეტრების ანალიზის დროს ჩვენ განვიხილავთ დესტინაციურ სისტემათა ტიპოლოგიურ მოდელებსა და ამ სისტემათა მიმართებებს ენის სხვა კატეგორიებთან.

დესტინაცია არის უნივერსალური სემანტიკური კატეგორია, რომელიც ენის იერარქიის სხვადასხვა დონეზე (ერთპლანიანი, ანუ ფონემური დონის გარდა) გულისხმობს დანიშნულებითობის შინაარსის გამოხატვას შესაბამისი საშუალებებით. ტერმინები “დესტინაცია” და “დესტინატი” (ანუ დესტინატორი) ლათინური წარმოშობის სიტყვებია, თუმცა ინგლისურიდანაა სამეცნიერო ტერმინოლოგიაში გავრცელებული. დესტინაცია ნიშნავს დანიშნულებას, გამიზნულობას. დესტინატი, ანუ დესტინატორი არის ის პირი (ან ფორმა), ვისთვისაც/რისთვისაც დანიშნულია ან გამიზნულია ზმნის მოქმედებითა თუ სახელური ფორმით გამოხატული ესა თუ ის ენობრივი მოვლენა. წინამდებარე ნაშრომით ჩვენ ვცდილობთ ამ ხელსაყრელი ტერმინის საბოლოო დამკვიდრებას.

შეგვიძლია გამოვეყოთ გრამატიკული და ლექსიკური დესტინაცია. გრამატიკული დესტინაცია მოიაზრებს მორფოლოგიურსა და სინტაქსურ დესტინაციას. მორფოლოგიაში დანიშნულებითობის შინაარსი, შესაძლოა, ასახოს სიტყვათა ფლექსიამ და დერივაციამ. სხვადასხვა ენები განსხვავებული ენობრივი საშუალებებით გადმოსცემენ დანიშნულებითობის სემანტიკას.

დანიშნულებითობა განასხვავებს ორი ტიპის სემას:

1. პოსესიური დესტინაცია;
2. ორიენტირებული დესტინაცია.

ეს ორი სემა ერთმანეთთან საკმაოდ ახლოა და ხშირად ურთიერთგადამკვეთი, საზიარო სემანტიკური ველებით ხასიათდება.

ა) ქვეყნის კატეგორიაში წარმოდგენილია ორივე სემა. “უუშენებ პეტრეს სახლს” – ნიშნავს, რომ სახლი განკუთვნილია პეტრესათვის, ე. ი. გუაქვს პოსესიურობის სემანტიკა და ამავე დროს ეს ნიშნავს, რომ ჩემი, ანუ სუბიექტის მოქმედება ორიენტირებულია პეტრეს, ანუ ირიბი ობიექტის ინტერესებისაკენ. პეტრე (სახლის) მფლობელისა და (მოქმედების) დესტინატორიც.

ბ) დანიშნულებითობის მაწარმოებელი აფიქსებით წარმოქმნილ ფორმებში – “საქათმე” ნიშნავეს ადგილს, რომელიც განკუთვნილია ქათმებისათვის და ამავდროულად აქ არის პოსესიური სემანტიკაც იმდენად, რამდენადაც არაგონიერთა მფლობელობის სემანტიკას შეუძლია ამის ასახვა;

გ) ორივე ტიპის დესტინაციური სემანტიკა გვაქვს ბრუნებაში - ბრუნვის ფორმათა სემანტიკაში, კერძოდ, მიცემითის და ნათესაობითის საზიარო სემანტიკური ველებში (ზოგი მკვლევარი ერთი ფორმიდან წარმოშობილადაც მიიჩნევდა ამ ბრუნვებს).

დესტინაცია, როგორც მორფო-სემანტიკური კატეგორია, ენის ერთ-ერთი უძველესი კატეგორიაა. სემანტიკური იერარქიის პირველი საფეხურია ყოფნა-არსებობა და შემდეგ - ქონა-ყოლა. დესტინაცია ანუ დანიშნულებითობა, ერთი მხრივ, ამ ორივე საფეხურის ერთ-ერთ მახასიათებლად შეგვიძლია, მივიჩნიოთ, რადგანაც თეორიულად გამოიყოფა დანიშნულებითი ყოფნა-არსებობაც და დანიშნულებითი ქონა-ყოლაც. ასევე ნებისმიერი ზმნა-მოქმედება (სუბიექტის აქტიურობის ხარისხისა და მოქმედების სფეროთა მიუხედავად), შესაძლოა, შესაბამისი დესტინაციური სემანტიკით იყოს დატვირთული. დესტინაციური მახასიათებელი შეიძლება იყოს ნულოვანი ან დადებითი. კერძო ენებში დესტინაცია, მსგავსად სხვა სემანტიკური კატეგორიებისა, კონკრეტულ მოდელებს ქმნის შესაბამისი მორფო-სემანტიკური კატეგორიებითა და სინტაქსური მოდელებით.

გამოვეყოფთ აბსოლუტურ ლინგვისტურ უნივერსალიას - ყველა ენაში არსებობს დესტინაციის სემანტიკური კატეგორია. თავის მხრივ, ეს უნივერსალია მთლიანად შესაბამისობაშია ცნობილ აბსოლუტურ ლინგვისტურ უნივერსალიასთან - ნებისმიერ ენას შეუძლია ნებისმიერი აზრის გადმოცემა. ვფიქრობთ, რომ ეს უნივერსალური დებულება კამათს არ უნდა იწვევდეს სპეციალისტებში. თუკი გავიზიარებთ ენის იმ ძირითად განსაზღვრებას, რომ ენა არის კომუნიკაციის ერთადერთი საშუალება, ვფიქრობთ, რომ აქ საუბრო არაფერია. ამა თუ იმ ენაზე მოსაუბრე ხალხს სხვა არანაირი არჩევანი არ გააჩნია, უნდა ნებისმიერი აზრი გამოიხატოს ამ ენაზე. ამაში მდგომარეობს ენის კომუნიკაციურობის მოვლენა. სხვა საქმეა, როგორ, რა მორფო-სინტაქსითა და ლექსიკით ახერხებს ამას კონკრეტული ენა. ცხადია, ეს ენობრივი საშუალებები განსხვავებულია. რა თქმა უნდა არსებობს, შედარებით, დაბალი აბსტრაქციის მქონე ენები, სადაც, შესაძლოა, არ იყოს რომელიმე ტექნიკური ტიპის უახლესი

ტერმინოლოგია. ასეთ შემთხვევებში კონკრეტული ენა სხვადასხვა ცნობილ ხერხებს მიმართავს და დანაკლისს ავსებს შესაბამისი არსევანით: კალკი, ნეოლოგიზმი, პირდაპირი ტრანზიტი და ა. შ. მაგრამ ის, რომ რაიმე აზრი რომელიმე ენაზე გამოუხატაი ან უთქმელი დარჩება, ჩვენი ღრმა რწმენით, სრულიად მიუღებელია.

ენათმეცნიერებაში ცნობილია ენათა კლასიფიკაციის რამდენიმე განმსაზღვრელი პარამეტრი. ერთ-ერთ საკლასიფიკაციო საფუძველად შეიძლება, მივიჩნიოთ სემანტიკური დესტინაცია (ისევე, როგორც ერგატოლობა). ნათელია ენათა დესტინაციური კლასიფიკაციის პრინციპები. ასეთი კლასიფიკაცია დაემყარებოდა სემანტიკური დესტინაციის მორფო-სინტაქსურ დისტრიბუციას ენებში და შესაბამისი მოდელების განსაზღვრებებს.

დესტინაციის სემანტიკური კატეგორია თავისებურ ასახვას პოეებს მორფოლოგიასა და სინტაქსში. ენათა სისტემების სხვადასხვაობა ამ კატეგორიის გამოხატვისას არსებითად გრამატიკის ამ ორი ნაწილის ფუნქციური დატვირთვის გადანაწილებაში დასტურდება.

ენათა ერთი რიგი (კერძოდ, ინდოევროპული ენები) ძირითადად სინტაქსურ-ლექსიკურ დესტინაციურ სტრუქტურებს ქმნის, მორფოლოგიური დესტინაცია კი შედარებით სუსტადაა გამოხატული. ენათა მეორე რიგი კი დესტინაციას ძირითადად მორფოლოგიურ კატეგორიებად აყალიბებს და შესაბამისად, სინტაქსზე შედარებით ნაკლები დატვირთვა მოდის. ბუნებრივია, დიდ როლს თამაშობს ზმნური დესტინაციის ასახვა პოლიპერსონალურ სტრუქტურებში.

პირველი პირი, როგორც მეტყველების სუბიექტი, შეიძლება იყოს დესტინაციის ცენტრი. აქედან აითვლება ყველა ლინგვისტური პარამეტრი (მაგ. პირის კატეგორიის ოპოზიცია, სააქეთო და საიქეთო ორიენტაცია ზმნისწინებსა და ნაცვალსახელებში, ბგერათა სემანტიკური შეფერილობა სიშორე-სიახლოვის მიხედვით და ა. შ.).


ლინგვისტური ექვტორიალობის თეორიის თვალსაზრისით დესტინაციის სემანტიკური კატეგორია უნივერსალურ კონფიგურაციებს ქმნის. ამ თეორიის ძირითადი არსი კი შემდგომში მდგომარეობს: ენა სისტემაა, რომლის ერთეულებიც კანონზომიერ ურთიერთმიმართებაში განიხილება, რაც ქმნის ფექტორულ სიდიდეებს. შეგვიძლია გამოვყოთ ლინგვისტური ფექტორი ენის იერარქიის ყველა დონეზე: ფონეტიკური, მორფოლოგიური, სინტაქსური, ლექსიკური, სემანტიკური; ასევე შესაძლებელია დონეთაშორისი ფექტორების გამოყოფაც: მორფო-სემანტიკური, მორფო-ფონოლოგიური, მორფო-სინტაქსური, ლექსიკო-

**სემანტიკური.** არსებობს ორი ტიპის ვექტორი: გარეგნული და შინაგანი. გარეგნული ვექტორი უფრო აშკარაა, მაგალითისთვის: ფონეტიკური ვექტორი საკამათო არაა რეგრესული და პროგრესული ასიმილაციის შემთხვევაში, სრულიად ნათელია ზმნისწინთა ვექტორული არსიც. რაც შეეხება შინაგან ვექტორს, ამის მაგალითია, ერთი მხრივ, ქცევის ნიშანთა და პირის ნიშანთა ურთიერთმიმართების გამომხატველი მორფემათაშორისი ვექტორი; ხოლო მეორე მხრივ, მოქმედების შინაგანი დესტინაციური ვექტორი, რასაც მ. მაჭავარიანი არქმევს ინტრო- და ექსტრავერტიზაციას (მ. მაჭავარიანი, 1987).

ზოგადად დესტინაციური სემანტიკის გადმოცემა ენაში, შესაძლოა, მოხდეს სხვადასხვა ტიპის ენობრივი საშუალებებით, მორფოლოგიური ან სინტაქსური ფაქტორის დომინირებით. ენა ანაწილებს ამა თუ იმ კატეგორიის გამოხატვის საშუალებებს გრამატიკის სფეროების მიხედვით. ნათელია, რომ პოლიპერსონალური ზმნა ხშირად გარკვეულწილად ათაეისუფლებს სინტაქსს.

ტრადიციული ენათმეცნიერების საბაზისო მონაცემებზე დაყრდნობით დესტინაციის ზოგადენობრივი მოდელი ასე გამოიყურება:

## დესტინაციის ენობრივი მოდელის ზოგადი სქემა




## დესტინაციის მიმართება სხვა მორფო-სემანტიკურ კატეგორიებთან

ენაში არ არსებობს დამოუკიდებელი კატეგორიები. ნებისმიერი კატეგორია არის სხვა რომელიმე კატეგორიასთან ან კატეგორიებთან ურთიერთობაში. რომელიმე კონკრეტული კატეგორიის ადგილი და მნიშვნელობა ენაში განისაზღვრება სხვა კატეგორიებთან შესაბამისობით.

დესტინაცია, როგორც მორფო-სემანტიკური კატეგორია, ერთი მხრივ, მჭიდრო კავშირშია პირისა და ბრუნვის კატეგორიებთან; მეორე მხრივ კი, კლასის კატეგორიასთან და ერგატიულობასთან. უნდა ითქვას, რომ ეს მიმართებები თანაბარფარდი არა არის. პირი და ბრუნვა გარკვეული თანამონაწილეა დესტინაციის გრამატიკული კატეგორიისა; ერგატიულობა და ერგატიული მოდელი დესტინაციასთან პარალელურ რეჟიმში მუშაობს, ხოლო კლასის კატეგორია საფუძველად ედება ყველა ამ დანარჩენ კატეგორიას.

ერგატიულობასა და დესტინაციას ჩვენ განვიხილავთ როგორც ობიექტის კატეგორიებს. უნდა აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევაში ჩვენ მხედველობაში გვაქვს გაფართოებული სემანტიკურ-გრამატიკული კატეგორიის ცნებები და არ ვგულისხმობთ მხოლოდ მორფოლოგიურ ან სინტაქსურ კატეგორიებს. ენთა მიდგომა განსხვავებულია ობიექტის მიმართ. ნომინატიურ-აკუსატიური ენები უპირველესად პირდაპირ ობიექტსა და გარდამავლობის კატეგორიას ანიჭებენ გამოხატვის უპირატესობას გრამატიკულ პლანში, ხოლო ერგატიული ენები კი ირიბ ობიექტზე აკეთებენ აქცენტირებას, რამდენადაც აქ ერგატიულობა თავისთავად უკვე ასახავს პირდაპირი ობიექტის ძირითად არსს. შესაბამისად, ერგატიული კონსტრუქციის ენებში დესტინაციური გრადაცია არის ზმნის ძირითადი დიათეზა. მით უფრო, რომ ზმნის ტრანზიტულობა-ინტრანზიტულობა დესტინაციის ზმნური კატეგორიისათვის ირელევანტურია. აქედან გამომდინარე, ნათელია, რომ ადრესატობა გარდამავლობაზე უფრო ადრეული და მისგან დამოუკიდებელი მოვლენაა და ერგატიული ენებისათვის ზმნის პრინციპული, ძირითადი ოპოზიცია გარდამავლობის ბინარული მოდელი კი არ არის, არამედ დესტინაციური გრადაცია, რომლის მორფოლოგიური რეფერენცირება სინქრონიულ დონეზე ქართულში ვოკალთა ტრიალით არის მოცემული, ბასკურში კი კონსონანტითა და ვოკალით.

კატეგორიათაშორისი მიმართებები ასე გამოიყურება:



პირი, ბრუნვა და დესტინაცია ირიბი მიმართების გრამატიკულ ფორმათა თანაშემოქმედი კატეგორიებია. პარალელურად - პირდაპირი მიმართების სემანტიკურ-გრამატიკული კატეგორიებისადმი კომბინირებულ მიდგომას გულისხმობს პირი, ბრუნვა და ერგატიულობა.

რაც შეეხება კლასის კატეგორიას, იგი მართლაც გამსჭვალავს მორფოლოგიას და სინტაქსსაც. პოლიპერსონალურ ენებში ძირითად კატეგორიათა მიმართების სურათი ასე გამოიყურება:

კლასი → ერგატიულობა

კლასი → დესტინაცია → რეფლექსივი

კლასი → პირი → პოლიპერსონალიზმი

კლასი → ბრუნვა

ნათელია, რომ დღეს კლასის კატეგორიის გრამატიკული როლის დასუსტების გამო სინქრონულ დონეზე ეს ენობრივი მოვლენა თითქოს საერთოდ აღარც აღიქმება. მაგრამ სიღრმისეული ანალიზისას, რა თქმა უნდა, კლასის კატეგორიას გვერდს ვერ აუვლის ვერც ერთი ძირითადი კატეგორიის ანალიზი.



## დესტინაცია და კლასის კატეგორია

ენის მთავარი სემანტიკური პარამეტრების განხილვის საფუძველზე შეგვიძლია დავასკენათ, რომ ენის ძირითადი სემანტიკური კატეგორიები უნივერსალურია. ეს შეგვიძლია გამოვიყოთ როგორც აბსოლუტური ლინგვისტური უნივერსალია. ამდენად, კლას-კატეგორიათა სემანტიკაც, გარკვეული თვალსაზრისით, უნივერსალურია. ამა თუ იმ ენაში ეს უნივერსალური სემანტიკური კატეგორია აისახება სხვადასხვა მიმართებებით. ენები მორფოლოგიური რეფერენცირებისას უპირატესობას ანიჭებენ დომინანტ კატეგორიებს. შესაბამისად, სხვადასხვა ენაში გვაქვს კლას-კატეგორიათა ამა თუ იმ ფორმის გამოვლინების მაგალითები. ინდოევროპული ენები განასხვავებენ სქესის გარმატიკულ კატეგორიას, იბერიულ ენებში გამოიყოფოდა სულიერი-უსულოს კატეგორია, ზოგ ენაში საგნები ნიშან-თვისებებისა და სხვადასხვა რელიგიურ-სოციალურ ნიშანთა სემანტიკური გრამატიკით იდენტიფიცირდება ენაში და ა.შ.

საინტერესოა ურთიერთმიმართებანი დესტინაციასა და კლასის კატეგორიათა შორის. ძალზე მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ დესტინატი ანუ ადრესატი, უპირველეს ყოვლისა, გაიაზრება როგორც სულიერი აქტანტი (ჩ. ფილმორი, 1981, გვ. 373). ირიბი ობიექტი არის ზმნის მოქმედებაში ჩართული ვინ კატეგორიის სემანტიკური ნიშნის მქონე მეორე ზმნური აქტანტი. თუმცა აღსანიშნავია, რომ აბსტრაქციის უმაღლეს საფეხურზე წაშლილია დესტინატის ასეთი კლასის ნიშნები და შესაბამისად, გვაქვს უსულო, რა-კატეგორიის ირიბი ობიექტებიც. ეს ზოგადი ფაქტია და ახასიათებს როგორც ბასკურს, ასევე ქართულს.

ქართველოლოგიურ ტრადიციულ ენათმეცნიერებაში მიღებულია აზრი, რომ ქართულსა და, საერთოდ, ქართველურ ენებში არ არსებობს ადამიანი-ნივთის მორფოლოგიური კატეგორია. ჩვენ ვიზიარებთ არნოლდ ჩიქობავას მიერ გამოთქმულ (სხვათა შორის, თავის დროზე მრავალი მეცნიერის მიერ უარყოფილ) საპირისპირო მოსაზრებას. ქართველურ ენებში და, კერძოდ, ქართულ ენაში არათუ დიაქრონიულ ჭრილში, არამედ სინქრონიულ დონეზეც გვაქვს საკმაოდ მკაფიოდ გამოხატული ვინ-რა კატეგორიის მორფო-სემანტიკა. თუმცა თანამედროვე ენაში, ერთი შეხედვით, ეს შედარებით სუსტადაა ასახული, რადგანაც ნაკლებ პროდუქტიულია და, რა თქმა უნდა, იგრძნობა ამ კატეგორიის გაუჩინარების აშკარა ტენდენცია. დღეს, ფაქტობრივად,

ენაში თითქოს არც ხდება კლასის კატეგორიის რეფერენცირება, თუ მიხედველობაში არ მივიღებთ ორიოდე ზმნას, რომლებშიც სუბიექტისა და ობიექტის ვინ-სულიერობის მიხედვით გვაქვს უწყემონაცვლე ფორმები, საუბარია ქონა-ყოლა, წაღება-წაყენა, მოტანა-მოყენა ფორმათა ოპოზიციაზე. ძველ ქართულში კიდევ უფრო მეტია ასეთი მაგალითები. ეს გარემოება კი მიუთითებს ენაში ვინ-რა კატეგორიის შესუსტებაზე. თუმცა სინქრონიულ ეტაპზე ეს ორიოდე ფაქტიც საკმარისია იმისათვის, რომ ეს კატეგორია მორფოლოგიურად გაფორმებულ კატეგორიად მივიჩნიოთ. შეიძლება ითქვას, რომ ვინ-რა კატეგორია გაცილებით უკეთესადაა თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგიაში ასახული, ვიდრე დროის ან გარდამავლობის კატეგორია, რომელთაც არ გააჩნიათ მორფოლოგიური რეფერენტები და მორფოლოგიურად მხოლოდ სხვა კატეგორიებთან ერთად თანა-არსებობენ. ფაქტობრივად, ისინი მხოლოდ სემანტიკური კატეგორიებია ქართულში. კლასის კატეგორია კი ასახულია მორფოლოგიაშიც და სინტაქსშიც: არსებით სახელთა ჯგუფებში, ბრუნვაში, რიცხვში, ზედსართავებში, სხვადასხვა ჯგუფის ნაცვალსახელებში, ზმნებში, ზმნისწინებში და ა.შ.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ქართულსა და სვანურში მოთხრობითის მ/მან ნაცვალსახელური წარმოშობის ნიშანი უნდა მომდინარეობდეს ვინ-ადამიანის კატეგორიის ამსახველი ცენტრალური სემანტიკური ფორმიდან (მე, მარე - სვან.). ასეთივე წარმოშობისაა მ - პირველი ობიექტური პირის ნიშანი, ვ - პირველი სუბიექტური პირის ნიშანი ნაცვალსახელური ფორმიდან ვ-ინ; მი-მო ზმნისწინებში მიმართულება აითვლება პირველი პირიდან, რომლის ნიშანია მ შესაბამისი ოპოზიციით - წ (მოვედი-წავედი) და ა. შ.

არსებით სახელებში არსებობს აღიარებული ლექსიკური ჯგუფები - ვინ და რა, სადაც მევეთრად არის ეს ოპოზიცია გამიჯნული. ისმის კითხვა: რაში დასჭირდა ტრადიციულ ენათმეცნიერებას არსებით სახელთა მორფოლოგიაში ამდაგვარი ლექსიკურ-სემანტიკური ჯგუფის შეტანა? საქმე ისაა, რომ კლასის კატეგორიის სემანტიკა გარკვეული გრამატიკული ნიშნებითაც ხასიათდება.

ადამიანი-ნივთის კატეგორია ასახვას კპოვეებს ენის მორფო-სემანტიკურ და მორფო-სინტაქსურ დონეზე სხვადასხვაგვარი გამოვლინებებით. ამ კატეგორიის წმინდა ლექსიკურ-სემანტიკური ღირებულებები აისახება ზემოხსენებულ არსებითი სახელის ჯგუფებსა და ნაცვალსახელებში. ეს იმდენად ნათელია, რომ სპეციალისტთა შორის

ნაცვალსახელებში ამ კატეგორიის ძირეული მნიშვნელობა ეჭვსაც არ იწვევს. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ პირის კატეგორიის ძირითადი დიათეზა სწორედ ვინ-რა მორფო-სემანტიკური კატეგორიის არსში მდგომარეობს და ეს კლასის კატეგორია კი მკვეთრად გამოხატული სემანტიკით ასახულია ნაცვალსახელთა სხვადასხვა ჯგუფებში.

პირველი და მეორე პირები ვინ-კატეგორიის სემანტიკით ხასიათდება. მესამე პირის სემანტიკა გაცილებით ფართოა, იგი მოიცავს ადამიანისა და ნივთის კატეგორიებს და ბრუნვის ფორმებში ადამიანი-ნივთის კატეგორიის საოპოზიციო ფორმათა განენაც ამიტომ სწორედ ნაცვალსახელთა მესამე პირში იყო მოსალოდნელი. ის-მან/მას ოპოზიციური ფუძემონაცველობაც იძლევა შესაბამის სემანტიკურ საფუძველს, რომ სავსებით დავეთანხმით არნ. ჩიქობავას კლას-კატეგორიის ნიშნების გამოყოფის საკითხში (არნ. ჩიქობავა, 1942; 1953; 1976). მან/მას ბრუნვები, გარკვეული თვალსაზრისით, ადამიანის კატეგორიის აღმნიშვნელია: მან – როგორც მოაზროვნე სუბიექტის ბრუნვა და მას – როგორც დატივი, ირიბი ობიექტის ანუ ზმნის მოქმედებაში ჩართული მეორე სულიერი, ვინ-კატეგორიის აქტანტის ბრუნვა. საგულისხმოა, რომ ნაცვალსახელთა დანარჩენ ბრუნვათა ფორმები ანალოგიითაა ნაწარმოები და ხშირად არც გამოიყენება ან საერთოდ, ფორმანაკლია.

ქართულში ნაცვალსახელთა ფლექსია კავკასიური ენებისათვის ნაცნობ ე. წ. ერგატიული ბრუნების მოდელს იმეორებს. (ის - მან, მას, მისი, მან ფორმებში მ ადამიანის ნიშანია, ს - ნივთის). უფრო ზუსტად, ირიბ ბრუნვებში ეს “მ” არის ადამიანის ანუ მოაზროვნე სუბიექტის კატეგორია, რომელიც ერგატივად აისახება ამ ტიპის ბრუნებაში.

პირისა და ჩვენებითი ნაცვალსახელების ბრუნება ცნობილი ფუძემონაცველობით გამოირჩევა. საერთოდ, ნაცვალსახელთა ეს ორი ჯგუფი ერთმანეთთან ახლოს დგას თავისი სემანტიკით. ამიტომაც გასაკვირი სულაც არაა, რომ ფორმობრივადაც ბევრი რამ საერთო ჰქონდეთ.

პირის კატეგორიის პირველადი ძირითადი დიათეზა იყო კლასის კატეგორიის გადმოცემა. რამდენადაც ნაცვალსახელები, ძირითადად, სახელთა ნაცველად გამოიყენება; ამდენად, მათ ბუნებრივად ექნებოდათ იმავე კლასის ნიშნები, თუკი ასეთი რეფერენტების არსებობა ამ კონკრეტულ ენაში მოიაზრებოდა.

ქართულ ენაში პირის კატეგორიის ძირითადი ბინარული ოპოზიცი-აა ვინ-რა კატეგორიის გადმოცემა. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი ოპოზიცია, თავის მხრივ, აგრეთვე უნივერსალურია. პირველი და

მეორე პირების სემანტიკა ნათელია, ეს არის მეტყველების აქტში უშუალოდ მონაწილე პირები და ბუნებრივია, ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ ეს ვინ-კატეგორიის პირებია. როგორც უკვე აღვნიშნეთ, პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელები ერთადერთი და დამოუკიდებელი ფორმებია, ანუ მესამე პირისაგან განსხვავებით, ეს არ არის სახელთა ნაცვალის ფორმები, ანუ ე. წ. სუბსტიტუტები (თ. გამყრელიძე, ზ. კიკნაძე, ი. შადური, ნ. შენგელაია, 2003, გვ. 214). მესამე პირის სემანტიკა გაცილებით ფართოა და აქ ორივეა წარმოდგენილი – ვინ და რა.

ბრუნეის კატეგორია, თავის მხრივ, ეყრდნობა კლასის კატეგორიას და ამით არის შეპირობებული. პირველ-მეორე პირებს, რადგანაც ისინი მოიცავენ სულიერობის სემანტიკას და ამით ძირითადი მორფოლოგიური არსი უკვე აქვთ გამოხატული, აღარც სჭირდებათ ბრუნვათა გაფორმება. ამას გარდა, ნაცვალსახელურ ფორმაში “მე” “შე” – არის ვინ კატეგორიის ნიშანი; ხოლო ვინ - სულიერ აქტანტთა ისეთი ბრუნვები, როგორცაა ერგატივი – მოაზროვნე სუბიექტის ბრუნვა და დატივი – მოქმედებაში მონაწილე მეორე სულიერი აქტანტის ბრუნვა, უკვე აღარ საჭიროებს ამ კატეგორიის დამატებით რეფერენცირებას. ამავე მიზეზით ძველ ქართულში (ნაწილობრივ) უბრუნველი იყო საკუთარი სახელები.

საერთოდ, კლასის კატეგორიის სემანტიკა ამოსავალია ზმნური თუ სახელური ფლექსიისათვის. ეს ნათლად ჩანს იმ ენებში, სადაც ასეთი გრამატიკული კატეგორია ცოცხალია და პროდუქტიული. ქართულში, მართალია, კლასის კატეგორია მორფოლოგიური რეფერენცირებით დღეს არ დასტურდება, მაგრამ ნათელია მისი კვალი ენაში. ჩვენ ელემენტი “შე” მიგვანინა ვინ კატეგორიის ძირითად მორფემად. წარმოშობით ის არის ერგატიული ფორმანტი, რომელსაც სავარაუდოდ ეტიმოლოგიური სათავე აქვს ფორმებში მე/მა – მარე.

პირის ნაცვალსახელების ბრუნვა გვიჩვენებს მ - ს ოპოზიციას: ის-მან. შემდეგ ეს “შე” ნაცვალსახელებს გააჟვება ყველა დანარჩენ ფორმაში:

ის

მ-ან აქ “ნ” არის უკვე ერგატივის მეორეული ნიშანი. (აღბათ, ამიტომაც მიიჩნევა მას შედარებით გვიანდელ ფორმანტად შუხარდტი.)

მ-ს

მ-ის(ი)

(ი)-მით

(ი)-მად

იმისდა მიუხედავად, თუ რად მივიჩნევთ აქ ხმოვან “ა“-ს – მიეკუთვნებთ მას წინა თუ მომდევნო თანხმოვანს და, შესაბამისად, მივიღებთ ორფონემურ მორფემას, ან ამ ხმოვანს ჩავთვლით თანხმოვანგასაყარად (რაც, ჩვენი აზრით, უფრო მისაღები იქნებოდა), ერთი რამ მაინც სრულიად ნათელია: პირისა და ჩვენებითი ნაცველსახელების ბრუნებით ქართული გეიჩვენებს იმავე სურათს, რასაც კავკასიური ენები; კერძოდ, დაღესტნის ენებში არსებობს ე. წ. ერგატიული და გენეტიური ბრუნების (отрагативное и отгенетивное склонение) ფორმები (ე. თოფური, 1977, გვ. 46). რა თქმა უნდა, კავკასიურ ენებში ეჭვს არ იწვევს კლასის კატეგორიის რეფერენტების გამოყოფენა ბრუნებისა და უღლების ფორმებში.

საგულისხმოა, რომ ერგატიული წარმოება აქვს აქტანტურ ბრუნებებს. დანარჩენი ბრუნები სისტემური ანალოგიითაა ნაწარმოები. ფაქტობრივად, პირის ნაცვალსახელთა ბრუნებაში გვაქვს ნომინატიურ-ერგატიული ოპოზიცია. ერგატიული დატივი კი არის გარდამავალი ზმნის სუბიექტის ბრუნვა მესამე სერიაში და აგრეთვე პარალელურად, ირიბი მიმართების სულიერი აქტანტის ბრუნვა. ჩვენი აზრით, ერგატიული დატივის მორფო-სემანტიკა არის ინვერსიის მიზეზი გარდამავალი ზმნის მესამე სერიაში.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ქართულში პირისა და შესაბამისად, ჩვენებითი ნაცვალსახელების ბრუნება არის ერგატივიდან ნაწარმოები და აქ შემონახულია კლას-კატეგორიის ნიშნები, რომლებიც თანამედროვე გრამატიკაში აქტივობით არ გამოირჩევა, თუმცა გარკვეულ მორფო-სემანტიკურ ოპოზიციებს მაინც ქმნის. ასეთი ტიპის ოპოზიციები განხილული აქვს არნ. ჩიქობავას თავის ცნობილ შრომებში (არნ. ჩიქობავა, 1942; 1961; 1965; 1979).

ბასკურ ერგატივთან დაკავშირებით საგულისხმოა, რომ ბასკურის ბრუნვათაგან რამდენიმე შეიცავს *k* ელემენტს. ეს ელემენტი შეინიშნება შემდგომ ბრუნებში:

ერგატივი: *-k*

კომიტატივი (თანაობითი): *-ekin*

აბლატივი (გამოსვლითი): *-tik*

დესტინატივი: *-rako*

ნათესაობითი (განსაზღვრებითი) - *tako -etako*

პარტიტივი (ნაწილყოფითი) - *-r-ik*

ჩვენი აზრით, ეს არის ერგატიული ბრუნების ნათელი მაგალითი ანუ ე. წ. *отрагтивное склонение*, რაც გვექვს კავკასიურ ენებში და აგრეთვე, ჩვენი ვარაუდით – ქართულშიც, კერძოდ, პირისა და ჩვენებით ნაცვალსახელთა არანომინატიურ აქტანტურ ბრუნვათა ფორმებში - მან-მას. ამ მხრივ, ბასკური ბრუნება საინტერესო ტიპოლოგიურ პარალელს ქმნის სვანური ბრუნების ორ-ფუძიანობის საკითხთან. ასეთი საინტერესო სურათი გვაქვს: ბასკური ერგატიული სისტემა სვანურთან ქმნის ტიპოლოგიურ პარალელს და ერგატივის რეფერენტი - ზანურთან.

სვანურ ერგატივში (მ/მდ მორფემები), ჩიქობავას აზრით, "მოთხრობითი და გარდაქცევითი ერთმანეთს ხედება. მოთხრობითი არაა მხოლოდ ერთი, სუბიექტისათვის განკუთვნილი ბრუნვა. ამით სვანური მოგვაგონებს მთელ რიგ კავკასიურ ენებს (ჩეჩნური თუ დაღესტნური ჯგუფებიდან), რომელთაც მოთხრობითი სხვა ბრუნვის მოზიარედ გამოჰყავთ " (არნ. ჩიქობავა, 1939 გვ. 172). ს. ჯანაშიას მიაჩნდა, რომ სვანურის ეს აფიქსი ადილუური ენიდან მომდინარეობდა. როგორც ეს ნაცვალსახელთა ბრუნების გენეზისიდან ჩანს, ერგატიული ბრუნება ქართულისათვის (და ასევე საერთო ქართველურისთვისაც) დამახასიათებელია. ამდენად, შესაძლოა სვანური ერგატივის რეფერენტები უშუალოდ კი არ იმეორებდეს ჩრდილოკავკასიურ მოდელს, არამედ გამომდინარეობდეს საერთო ქართველურიდან, რომელსაც თავის მხრივ, ცხადია, ბევრი რამ საერთო აქვს ჩრდილოკავკასიურ ენებთან.

აღსანიშნია ის გარემოება, რომ ნაცვალსახელებიდან კლასის კატეგორია განფენილია სახელთა ბრუნებისა და ზმნათა უღლების სისტემებში. იგი ასევე ასახულია ყველა პოლიმერსონალურ კატეგორიაში.

ისმის კითხვა - თუკი ენაში არსებობს ფორმათა მორფო-სემანტიკური ოპოზიცია, კიდევ რა სჭირდება გრამატიკულ კატეგორიას თავისი (თუნდაც ისტორიული) არსებობის დასადასტურებლად?

ვინ-რა მორფო-სემანტიკური კატეგორია ასახულია ბრუნვაშიც - გვაქვს სასუბიექტო და საობიექტო ბრუნვები. ბრუნების სისტემაში ამ კატეგორიის ასახვა სავსებით ბუნებრივია, რამდენადაც აღარაეინ დაობს ბრუნვის ფორმათა ნაცვალსახელური წარმოშობის თაობაზე. ცხადია, ვინ-რა მორფო-სემანტიკური კატეგორია ნაცვალსახელებიდან გადავიდოდა სახელთა ბრუნების სისტემაშიც. ერგატივი არის მოაზროვნე სუბიექტის მიერ შესრულებული აქტის ძირითადი მონაწილის ფორმა და ვინ-სულიერობის მორფო-სემანტიკა არის ამოსავალი.

როგორც აღვნიშნეთ, ქართულსა და სვანურში მოთხრობითის მ/მან ნაცვალსახელური წარმოშობის ნიშანი, ჩვენი ღრმა რწმენით, უნდა მომდინარეობდეს ვინ-ადამიანის კატეგორიის აღმნიშვნელი ნაცვალსახელური ფორმებიდან. პარალელურ სემანტიკურ სისტემას ქმნის ზანურში ერგატივის რეფერენტი ქ, რომელიც, ჩვენი აზრით, მომდინარეობს განუსაზღვრელი ნაცვალსახელიდან კოჩი (მეგრ. -კაცი).

სასუბიექტო ბრუნვების გარდა, ვინ-სულიერობის კატეგორია შესაბამისი ნულოვანი რეფერენცირებითაა მოცემული ახალ ქართულში ვოკატივში. მხედველობაში გვაქვს საზოგადო და საკუთარი სახელების (კერძოდ, ადამიანთა სახელების) რეფერენციალური ოპოზიცია ვოკატივში. მთლიანად ძველ ქართულში ამ კატეგორიის უფრო მეტეორი სურათია საკუთარ სახელთა ბრუნებაში. ეს გარკვეულწილად, ახალ ქართულში დღესაც არის გამოხატული ბრუნეასა და რიცხვში.

ვინ-რა მორფო-სემანტიკური კატეგორია ნათლად აისახება ზმნის პირებშიც. ამის დასტურია მ- პირველი ობიექტური პირის ნიშანი, ვ - პირველი სუბიექტური პირის ნიშანი ფორმიდან ვ-ინ. კლასის კატეგორიაში პოულობს დ. მელიქიშვილი იმ მოვლენის ახსნას, რომ პირველი და მეორე სუბიექტური პირები პრეფიქსულია ზმნაში, ხოლო მესამე კი - სუფიქსური. "კლასოვანი უღლების პირიან უღლებაზე გადასვლისას პირის ნიშნებით (ნაცვალსახელოვანი ელემენტების გაცვეთის შედეგად) ფორმდება პერსონალური I და II პირები. III პირი გაუფორმებელია. კლასის კატეგორიის გამოხატველი სუფიქსი მას შემდეგ, რაც კლასოვანი უღლება პირიანმა შეცვალა, გაგებულ იქნა III სუბიექტური პირის ნიშნად. მიზეზი პრეფიქსული პრინციპის დარღვევისაც ეს უნდა იყოს" (დ. მელიქიშვილი, 2000; გვ. 16).

გ. კლიმოვი თავის ნაშრომში *Скланиение Картвельских языков в сравнительно-историческом аспекте*. М., 1962 პირდაპირ წერს ამის შესახებ, რომ (ჩიქობავას მოსაზრების საპირისპიროდ) იგი თავს არიდებს კლასის ექსპონენტებით ამ საკითხის განხილვას და ამ ტიპის რეკონსტრუქციას (გვ. 68-69). ამ თვალსაზრისით საინტერესოა გ. მაჭავარიანის შრომა "ბრუნების ერთი ტიპის გენეზისისათვის სვანურში". თსუ შრომები. ტ. 93 თბილისი. 1960. ჩვენ ვიზიარებთ ამ ავტორის მოსაზრებას - სვანური ერგატივის არა-ადილური წარმომავლობის შესახებ. ვარაუდი ადილური წარმომავლობის შესახებ გამოთქვა ს. ჯანაშიამ ნაშრომში "სვანურ-ადილური (ჩერქეზული) ენობრივი შეხვედრები", შრომები III 1959. გვ. 97. გ. მაჭავარიანი არგუ-

მენტირებულად ასაბუთებს, რომ ეს შიდა სევანური მოვლენაა და არა გარედან ნასესხობა. ეს წერილი მნიშვნელოვანია ე. წ. ორ-ფუძიანი ბრუნების განხილვის თვალსაზრისითაც. თუმცა ერგატიული ტიპის ბრუნება როგორც ასეთი - არ არის გამოყოფილი. მაგრამ პარადიგმით ნაჩვენებია, თუ როგორ არის ერგატივით გაფორმებული მიცემითი, ნათესაობითი, მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვები. გ. მაჭაყარიანის აზრით, -ემ სუფიქსი არის“განსაზღვრული ნაწევრის (წარმოშობით ჩვენებითი ნაცვალსახელის) ნაშთი” (გვ. 97-104). ამ აზრს სავსებით ეთანხმება ა. ონიანიც თავის ნაშრომში “ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკის საკითხები, (სახელთა მორფოლოგია)”, თბილისი, 1989 (გვ. 144). ეს ნამდვილად მაღალი მეცნიერული ღირებულების წიგნია, სადაც ავტორი ამომწურავად მიმოიხილავს საკითხის ისტორიას, აწარმოებს ერგატივის სინქრონიულ და დიაქრონიულ ანალიზს და დაასკვნის, რომ სევანური მოთხრობითის ნიშანი “საერთო ქართველურიდან მომდინარეობს და, ამდენად, მისი არქექტიპის რეკონსტრუქცია საერთო ქართველურ ფუძე ენაშიც უნდა მოვახდინოთ” (გვ. 138). რა თქმა უნდა, სავსებით ვეთანხმებით ამ ავტორს და აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ წინამდებარე ნაშრომში ჩვენ მიერ გამოთქმული ვარაუდი ქართულში პირისა და ჩვენებითი ნაცვალსახელების ერგატიული ტიპის უღლების შესახებ, ვფიქრობთ, შემდგომი დაკვირვებისა და განსჯის საგანია, რომელიც გარკვეული თვალსაზრისით ავსებს ქართულში ე. წ. ორფუძიანი ბრუნების საკითხს და შესაბამისობაში მოჰყავს მთლიანი ქართველური სისტემა.

ქართულში სავსებით ნათელი სურათია ვინ-რა მორფო-სემანტიკური კატეგორიის არსებობისა სახელებისა და ზმნების ფლექსიაში შესაბამისი რეფერენტებით. ენის სინქრონიულ დონეზე გაფერმკრთალებულია ადამიანი-ნივთის კატეგორიის ეტიმოლოგიური სურათი. სინამდვილეში ზემოთ აღნიშნული მორფემები უნდა ჩაითვალოს ორმაგი ფუნქციის მქონედ. ენის განვითარების უნივერსალური კანონებიდან გამომდინარე, ცხადია, მოხდა ფუნქციათა შერწყმა და წინ წამოიწია მეორეულმა ფუნქციამ, ხოლო ვინ-რა მორფო-სემანტიკური შინაარსი დარჩა კატეგორიის ისტორიაში. თუმცა ამ ფაქტორის გარეშე სრულყოფილი ვერ იქნება სხვა კატეგორიების კვლევა.

ვინ-რა მორფო-სემანტიკური კატეგორია სისტემას ქმნის სახელთა დერივაციაშიც: არის ნაწარმოები სახელები, რომლებიც მხოლოდ ვინ-კატეგორიას აღნიშნავენ. გამოიყოფა სამი ძირითადი პარამეტრი, ესენია:



1. სული, რწმენა და მასთან დაკავშირებული ფორმები. უზენაესის სემანტიკის ყოველგვარი ფორმა იქნება ვინ-კატეგორიისა (უფალი, მორწმუნე, სულგანაბული, სულშეწუხებული და ა. შ.). უნდა აღინიშნოს, რომ ამ კუთხით ქართულში გვაქვს ორმაგი სტანდარტი: ვინ-კატეგორიისაა ძე კაცისა და მასთან დაკავშირებული ენობრივი მოვლენები, ხოლო რომელიმე წარმართული ღვთაება იქნება რა, რაღაც ძალა, ანუ ნივთის კატეგორიის მქონე.
2. აზროვნება და მასთან დაკავშირებული ფორმები (გონი/ჭკუა, ტვინი, აზრი, ფიქრი, ვარაუდი, ჩათვლა, მხედველობაში ქონა/მიღება – უტვინო, აზრიანი, უგუნური, ნაფიქრი და ა. შ.).
3. ენა და მეტყველებასთან დაკავშირებული ფორმები (თქმა, სათქმელი, უენო, მჭერმეტყველი, სიტყვათა მახეილი და ა. შ.).

ასევე, ძირითადად ვინ-კატეგორიას აღნიშნავს ადამიანის სხეულის ნაწილებთან დაკავშირებული ნაწარმოები ფორმები. თუმცა აქ შესაძლოა, სულიერობის სემანტიკა მთლიანად აისახოს და ამ ჯგუფში შევა ცხოველიც: თავგატეხილი მგელი, ფეხმოკლე ტურა და ა. შ.

სხვადასხვა ენებს აქვთ განსხვავებული მიდგომა კლასის კატეგორიებთან; ასე მაგალითად, აფრიკის რომელიმე ენაში (ჩინოვა) ცალკე კლასია ის, რაც იზრდება. ქართულისათვის კი, მაგალითად, მცენარე უსულო, რა-კატეგორიაა, რომელიც არაფრით განსხვავდება დანარჩენი, ნივთის კატეგორიის სხვა კლასისაგან.

ვინ-რა მორფო-სემანტიკური კატეგორია ნათელი ანტონიმური სისტემით ასახულია ზედსართავ სახელებსა და მიმღებობებში. ხელობისა და პროფესიის აღმნიშვნელი მაწარმოებლების, ასევე ელ-ურ ცნობილი ოპოზიციის გარდა, არის ფორმები, რომელიც მხოლოდ ვინ-სულიერობის კატეგორიისთვისაა განკუთვნილი, ანუ მხოლოდ ადამიანის მახასიათებელია; მაგ. უზნეო/ზნეობრივი, მოსაუბრე, უთქმელი, მორწმუნე/ურწმუნო, ალალი, ბოროტი, კეთილი, მტყუანი, მართალი და ა. შ. აქ შესაძლოა ქვეჯგუფთა გამოყოფაც. ვინ-რა მორფო-სემანტიკური კატეგორიის მიხედვით და შესაბამისი კლასიფიკაციაც მისაღები იქნებოდა.

ცნობილ ნაშრომში “იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი” არნ. ჩიქობავა მიმოიხილავს გრამატიკული კლასების საკითხს ქართველურ ენებში და ფრიად საგულისხმო დასკვნებს აკეთებს რიგ ფაქტებზე დაყრდნობით. იგი საუბრობს ადამიანი-ნივთის დერივაციულ აფიქსებზე, ელ-ურ მაწარმოებელთა სემანტიკურ ოპოზიციასზე და მიმღებობებში მ-ს (ლ/რ/ნ/დ ვარიანტებით) აფიქსთა პირველადი

ფუნქციების შესახებ (არნ. ჩიქობავა, 1979). უნდა აღინიშნოს, რომ არნ. ჩიქობავას მეცნიერული დაკვირვებანი და მის მიერ წარმოდგენილი და გაანალიზებული მასალა ფრიად აქტუალურია ვინ-რა კატეგორიის სინქრონიული ანალიზის მეკლევართათვის.

ადამიანი-ნიეთის მორფო-სემანტიკური კატეგორია ასახულია ზმნათა დერივაციულ კატეგორიებში. იგი საფუძველად უდევს ერგატიულობასა და დესტინაციას, პირისა და რიცხვის კატეგორიას, ასევე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ის გამოიხატება ზმნისწინებში. მი-მო ზმნისწინებში მიმართულება აითვლება პირველი პირიდან, რომლის ნიშანია მ- შესაბამისი ოპოზიციით – წ- სთან წაწამო ფორმებში. ორიენტაცია მთლიანად, ვინ-რა მორფო-სემანტიკური კატეგორიის პირდაპირი ამსახველია. ხდება მოქმედება პირველი პირისკენ ან პირველი პირისგან, ანუ ორიენტირებული მიმართება განისაზღვრება ვინ-კატეგორიის მქონე მეტყველების სუბიექტთან სივრცით შესაბამისობაში.

ვინ-რა მორფო-სემანტიკური კატეგორია ყველაზე ნათლად მოცემული გვაქვს ფუძემონაცვლე ზმნებში: მაქვს-მყავს, წაღება-წაყვანა, მოტანა-მოყვანა და ა. შ. თუკი ჩვენ მიგვაჩნია, რომ დღესაც მეორე სუბიექტური პირის ნიშანი არის “ხ”, რომელიც სულ ორიოდ ზმნაშია შემონახული, რატომ არ შეგვიძლია, თუნდაც მხოლოდ ამ მცირერიცხოვან ზმნათა ფუძემონაცვლეობის საფუძველზე გამოვყოთ ქართულში ვინ-რა მორფო-სემანტიკური კატეგორია. უნდა ითქვას, რომ ასეთი ტიპის მაგალითები ძველ ქართულში უფრო უხვადაა (მიძს-მივის), რაც მეტყველებს ადამიანი-ნიეთის კატეგორიის შესუსტების ტენდენციაზე ენის განვითარების შემდგომ პროცესში.

ვინ-რა მორფო-სემანტიკური კატეგორია აისახება სხვა მეტყველების ნაწილებშიც; თანდებულებში შეიძლება გამოვყოთ “მიერ”, იგი არის ვინ მორფო-სემანტიკური კატეგორიის მქონე, როგორც ერგატივის შესაბამისი თანდებულიანი ფორმა (შდრ. მოქმედება კაცის მიერ, ან იმოქმედა კაცმა). სავარაუდოდ, აქაც შეიძლება ვინ-კატეგორიის მ მორფემის გამოყოფა.

შორისდებულთა დიდი ნაწილი ვინ-კატეგორიის აზრით არის აესებული, რამდენადაც თავად ემოცია მხოლოდ ადამიანის მახასიათებელია.

აღსანიშნავია, რომ პოეტიკაში, შესაძლოა, დაირღვეს ზღვარი ვინ-რა კატეგორიის შორის და ნიეთი გასულიერდეს, მაგრამ ასეთი ტიპის კონკრეტულ შემთხვევას ვერ ექნება განმაზოგადებელი წმინდა ლინგვისტური ღირებულება.

როგორც ზემოთ აღენიშნეთ, საერთოდ, ენათა მიდგომა ეინ-რა მორფო-სემანტიკური კატეგორიის მიმართ სხვადასხვაა. ეს დამოკიდებულია ერის ან ტომის ფსიქო-სოციალურ, რელიგიურ, ეთნო-გეოგრაფიულ და სხვა ტიპის ყოფით ფაქტორებზე და, რა თქმა უნდა, ამ კონკრეტულ ენებზე მოლაპარაკე ხალხის აზროვნების აბსტრაქციის დონეზე – ანუ ერის ენობრივ ბუნებაზე. მრავალენოვანი ინტერნეტ-ენციკლოპედიის მიხედვით, სახელთა კლას-კატეგორიის ზოგადი კრიტერიუმები მოიცავს შემდგომ ოპოზიციებს:

- სულიერი - უსულო
- რაციონალური – ირაციონალური
- ადამიანი - ნიეთი
- მამრობითი და სხვა
- კაცი და სხვა
- მამრობითი, მდედრობითი და უსქესო
- ძლიერი და სუსტი
- გაზვიადებული და კნინობითი (ვიკიპედია, 2005)

ჩვენ ამდგვარ კლასიფიკაციას ვერ გავეზიარებთ, თუნდაც იმის გამო, რომ აქ ბევრი რამ კლასიფიკაციის მიღმა რჩება. ჩვენი მხრივ გთავაზობთ ამგვარ უნივერსალურ საკლასიფიკაციო მოდელს:

## 1. ადამიანი:

1a მდედრობითი

1 b მამრობითი

1. c საშუალო

## 2. ნიეთი

2. A სულიერი:

2 A a მდედრობითი

2 A b მამრობითი

2 A c საშუალო

2 B უსულო:

2 B a საგანთა თვისობრიობის (ზომა, ფერი, ფორმა, ძალა, სინათლე, ზრდის დინამიკა, ციური სხეულები, რელიგიური ერთეულები და ა.შ.) მიხედვით სქესი ან კლასის სხვა ნიშანი,

## 2 B b დანარჩენი.

რაც უფრო მარტივად გამოიყურება ეს საკლასიფიკაციო სქემა კონკრეტულ ენაში, მით უფრო მაღალია ამ ენაზე მოსაუბრე ხალხთა ლინგვისტური აზროვნებისა და აბსტრაქციის უნარი. ეს უნივერსალური ტიპოლოგიური მოვლენაა და შესაბამისად, ამ კატეგორიის გამოსატყვის ვერც ერთი ენა ვერ ასცდებოდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზემოხსენებულ მრავალენოვან ენციკლოპედიაში ქართულთან ერთად ორმოცდაათამდე ენაა გამოყოფილი, რომელშიც არ აღინიშნება სქესი და კლასი. თუმცა ეს ძალზე საეჭვოდ გამოიყურება, რადგანაც ამ ჯგუფშია შეტანილი ფინურ-უნგრული ენები, რომლებიც მესამე პირში განასხვავებენ სულიერ და უსულო საგნებს; აქვეა ბასკურიც, რომელსაც სინამდვილეში ახასიათებს, ერთი მხრივ, ალოკუტური ფორმები და მეორე მხრივ, სულიერი-უსულოს ოპოზიცია ლოკალურ ბრუნებში, ამ ჯგუფშია იაპონური, რომელსაც საერთოდ განსხვავებული მიდგომა აქვს ამ მოვლენისადმი, ვიდრე სხვა აგლუტინაციურ ენებს, მით უფრო, რომ იაპონურში არის ნაცვალსახელთა დიდი მრავალფეროვნება მოლაპარაკე პირთან მიმართების მიხედვით. ღიმილს იწვევს ამ ჯგუფში ესპერანტოს შეტანა (ეიკიპედია, 2005). ფაქტია, რომ თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგიაში არ არის არც სქესი და არც კლასი. თავდაპირველად კი იყო კლასის კატეგორიის ყველაზე დახვეწილი, ზოგადი, ადამიანი-ნივთის მორფოსემანტიკური ოპოზიცია. დღეს იგი ძირითადად ასახულია მხოლოდ ნაცვალსახელთა სისტემაში და აქედან განფენილია სხვადასხვა მორფოლოგიურ ფორმებსა და კატეგორიებში როგორც დიაქრონიული ხასიათის საბაზისო მორფო-სემანტიკური კატეგორია.

ამერიკელი აბორიგენების ალგონკიურ ენათა ჯგუფი განასხვავებს სულიერ და უსულო ჯგუფებს, მაგრამ ძლევამოსილი უსულო ნივთი აქ სულიერია. ავსტრალიურ ენებში (დირბალი) გამოიყოფა ოთხი ჯგუფი: 1. სულიერი კაცი; 2. ქალი, წყალი, ცეცხლი, ძალადობა; 3. საჭმელი ხილი და ბოსტნეული; 4. სხვადასხვა (ყველა დანარჩენი). აქვე, ნგანგიკურუნგურ ენაში ცალკე ჯგუფია იარაღისთვის, ანინდილიაკვაში

გამოიყოფა სახელთა კლასი, რომელიც შუქს გამოსცემს ან ირეკლავს, დიდიარი ენაში მდებარებითი უპირისპირდება ყველაფერ დანარჩენს. პაპუა ახალი გვინეის ენებში (ალამბლასა და სეპიკი პილში) არის მამრობითი, სადაც გაერთიანებულია მაღალი, მოგრძო, თხელი და წვრილი ნივთებიც (უხსენებელი, თევზი, ისარი, მაღალი ხე და სხე). ეს უპირისპირდება მდებარებით ჯგუფს, სადაც შედის მოკლე, მსხვილი, დაბალი და ფართე ნივთები (სახლი, ბაყაყი, მსხვილი ხე). საინტერესო ვითარებაა ნიგერ-კონგო ენებში, სადაც გერმანელი მეცნიერი კარლ მიენჰოფი ბანტუში გამოყოფს 22 კლასს, თუმცა რეალურად არც ერთ ენას ამდენი კლასი არა აქვს. სუაჰილის აქვს -15, სესოზოს -18, დანარჩენებს - 10. ფულა ენაში ცალკე კლასია სითხისთვის. ზანდე კი გამოყოფს ოთხ კლასს: 1. კაცი, 2. ქალი, 3. სულიერი 4. დანარჩენი. აქ 80-მდე უსულო სახელი სულიერ კატეგორიას მიეკუთვნება: ციური სხეულები, საჭმელი მცენარეები, ზოგი მეტალი და არამეტალი ნივთები. რელიგიური მოსაზრებების გამო გასაკუთრებული ადგილი უკაეია სფეროს. ინდოევროპული ენები გამოყოფენ გრამატიკული სქესის სამ ჯგუფს. კავკასიურ ენათა შორის ლეზგიურს, უდიურსა და აღლურს არა აქვს სახელთა კლასი, ზოგი ენა ორ კლასს განასხვავებს, ბაცბური კი რვა კლასს გამოყოფს. ყველაზე უფრო გავრცელებული სისტემა არის ოთხი კლასი: 1. კაცი, 2. ქალი, 3. სულიერი და გარკვეული ნივთები 4. ყველა დანარჩენი. ანდიურში ცალკე კლასია მწერებისათვის. აღსანიშნავია, რომ კავკასიურ ენებში კლას-კატეგორიები არა მარტო არსებობენ გამოყოფილი, ის აღენიშნება ზედსართავეებს, ნაცვალსახელებსა და ზმნებსაც.

ქართულ ენაში, როგორც ენახეთ, მოცემული გვაქვს ვინ-რა მორფო-სემანტიკური კატეგორიის სისტემური სურათი როგორც სახელთა და ზმნათა ფლექსიაში, ასევე მათ დერივაციაშიც. ეს კატეგორია განუხნილია ენის მთელ სისტემაში. ნაცვალსახელებიდან იგი გადატანილია სახელთა ფლექსიაში და ზმნის პირში. შესაბამისად, იგი აისახება პოლიპერსონალური ზმნის ყველა კატეგორიაში. ვინ-რა მორფო-სემანტიკა საფუძვლად უდევს ენის მრავალ კატეგორიას, თუმცა კონკრეტული რეფერენტი მას არ შეუნარჩუნებია, თითო-ოროლა გამონაკლისის გარდა. რადგანაც ვინ-რა მორფო-სემანტიკური კატეგორია ძვეს მრავალი სხვა კატეგორიის შინაარსში, მას კონკრეტული რეფერენტი აღარ სჭირდება. წარმოიდგინოთ რომელიმე X მორფემა ყველა ამ შემთხვევაში. ეს ეწინააღმდეგება ენის ზოგად

უნივერსალურ კანონებს და ენა ამ მორფემას მაინც დაკარგა ედა ან კომბინირებულ სემანტიკას მოგვეცემა სხვა მორფემებთან, რაც ნათლად იკითხება ქართული ენის ანალიზისას. ენის სისტემაში კლასის კატეგორიის მორფოლოგიურმა გაფერმერთალებამ გამოიწვია რიგი პროცესები: მაგალითად, მეტყველების სუბიექტთან მიმართებაში მეორე პირის სემანტიკის ცვლა (მიგვე - მოგვე), ფუძემონაცვლე ზმნათა საოპოზიციო ფორმათა რაოდენობის შემცირება, ფლექსიურ მორფემათა ორმაგი ფუნქციის გადასინჯვა, კლასოვანიდან პიროვან უღვლილებაზე გადასვლა და ა.შ.

ამჟამად ვინ-რა მორფო-სემანტიკური კატეგორიის რეფერენცირება ენაში მოცემული გვაქვს ხელობისა და სადაურობის სახელებში, მიმლეობებში, ფუძემონაცვლე ზმნებში და პირის კატეგორიის ბინარულ ოპოზიციასში. კლასის კატეგორიას აქვს სინტაქსური ძალაც: მაგალითისთვის გაეიხსენოთ ქვემდებარისა და შემასმენლის რიცხვში შეთანხმების საკითხი. თუმცა აქ უფრო ფართო მოცულობის - სულიერი-უსულოს კატეგორიასთან გვაქვს საქმე. აქაც ნათელია კლასის კატეგორიის გაუჩინარების მკვეთრი ტენდენცია. ვინ-რა კატეგორიის შესაბამისი ფონო-სემანტიკური სურათი ასე გამოიყურება: ლაბიალური ბგერებით აღინიშნება ვინ კატეგორია და ამას საოპოზიციოდ აქვს ნიეთის კატეგორიის აღმნიშვნელი ნუნისმიერი ს/წ, ან სონორი ვარიანტები ნ, რ, ლ. დიაქრონიული სურათი აღადგენს დ ნიეთის აფიქსსაც. ხმოვნებშიც შეიმჩნევა ვინ-რა კატეგორიის ოპოზიციური წყვილები კერძო მორფოლოგიურ კატეგორიათა შემთხვევებში.

სხვათა შორის, ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს ბაგისმიერთა და ნუნისმიერთა ოპოზიცია ვინ-რა კატეგორიის მიხედვით ტიპოლოგიური თვალსაზრისით. უნდა ითქვას, რომ მაგალითად, რუსული და ინგლისური (ასევე სხვა ენებიც) ასეთივე ოპოზიციას ქმნიან. საერთოდ, ლაბიალური ბგერათა ფონოსემანტიკა ნათელია. ეს შედარებით ხელმისაწვდომი ბგერებია, რაც უნივერსალურად აისახება ბავშვის მეტყველებაში. ბუნებრივია, რომ სწორედ ლაბიალური ბგერები ქმნიან ვინ-კატეგორიის ფონო-სემანტიკას. (თუმცა დასაფიქრებელია, რომ ბნიეთის კატეგორიის ნიშანია ჩრდილო კავკასიურში). საერთოდ, ფონემა (ან ფონემათა ჯგუფი), რომელსაც ასეთი დიდი ფუნქცია ენიჭება როგორცაა მორფო-სემანტიკის გადმოცემა, ბუნებრივია, შემთხვევითი ბგერა (ან ბგერები) ვერ იქნება. მაგრამ თითქმის შეუძლებელია ამ დონეზე კონკრეტულ ფონოსემანტიკაზე დასაბუთებული მსჯელობა.

საინტერესო იქნებოდა ამ მიმართულებით კვლევის გაგრძელება და კავკასიურ ენებთან ვინ-რა მორფო-სემანტიკური კატეგორიის სისტემათა შეპირისპირებითი ანალიზი. არნოლდ ჩიქობავა წერდა, კლასის კატეგორია მთელ მორფოლოგიას გამსჭვალავსო და ასეცაა. ჩვენ მიგვანინია, რომ ქართულში ზმნური პირების რეფერენცირება უშუალოდ კლასის კატეგორიასთანაა კავშირში. ეს არის ზმნური აქტანტების ნაწილობრივი რეფერენციის ძირითადი მიზეზი. დაეაკვირდეთ, რომელი პირები არ გამოიხატება ან ნაწილობრივ გამოიხატება ზმნაში.

ნათელია, რომ სუბიექტი უპირველესად სულიერობის კატეგორიით ხასიათდება და შესაბამისად მარკირებულია. პირველი და მესამე სუბიექტები ყოველთვის რეფერენცირებულია. მათი პოზიციური განლაგება კი კლასობრივი იერარქიის მაჩვენებელია ენაში. პირველი და მეორე პირები, როგორც მოლაპარაკე და მსმენელი, ე. წ. სტრატეგიციკრებული ინდიკატორებია (თ. გამყრელიძე, ზ. კიკნაძე, ი. შადური, ნ. შენგელაია, 2003, გვ. 453). სამგანზომილებიან ოპოზიციაში ორი ობლიგატორულად მარკირებული პირის ფონზე აბსოლუტურად გასაგებია, რომ ოპოზიციის მესამე წევრის (ამ შემთხვევაში მეორე სუბიექტური პირის) მარკირება უკვე აღარაა აუცილებელი, ანუ ეს საოპოზიციო რეფერენცირება უკვე არაობლიგატორული ხდება. ამიტომაც მეორე სუბიექტური პირის მარკირება სუსტია და იგი ნაწილობრივი მარკირებით გვაქვს ენის სინქრონულ დონეზე. ამას, თავის მხრივ, ხელს უწყობს ფონეტიკური ფაქტორებიც.

ამრიგად, სუბიექტი, განურჩევლად ზმნის ტრანზიტულობისა და წინადადების კონსტრუქციისა, ფაქტობრივად მარკირებულია.

რაც შეეხება პირდაპირ ობიექტს – აქ ხდება მხოლოდ ვინ სულიერი აქტანტების ანუ პირველი და მეორე პირების მარკირება. ხოლო მესამე პირის პირდაპირი ობიექტი, რომელიც ძირითადად უსულო, რა კატეგორიის მქონეა, არანაირი ფორმით არ არის ზმნაში გამოხატული. ირიბი ობიექტის, ანუ დესტინაციური აქტანტის მარკირებაც ამდგვარ მიდგომას გვიჩვენებს საკითხისადმი. პირველი და მეორე პირების მარკირება აქაც ობლიგატორულია, ხოლო მესამე პირის რეფერენცირება ისევე სუსტადაა მოცემული, როგორც მეორე სუბიექტისა. აქაც რეფერენცირების შესუსტების გამომწვევი იგივე მიზეზებია, რაც მეორე სუბიექტური პირის შემთხვევაში. მესამე პირდაპირი ობიექტისაგან განსხვავებით, მესამე ირიბი ობიექტი სულიერი აქტანტია, ზმნის მოქმედებაში მონაწილე მეორე სულიერი აქტანტი და ამდენად, მისი მარკირება აუცილებელია. თუმცა როგორც სამ განზომილებიანი

ოპოზიციის წევრი იგი ნულოვანი მარკირების შემთხვევაშიც მარკირებულია. მესამე ირიბი ობიექტი პოზიციურად პრეფიქსია, რაც გეინვენებს კლასის კატეგორიის პოზიციას. როგორც პერსონალიზმის გამოჩატეული პრეფიქსი ის შეიძლება შეხედეს შემდგომ მარკირებულ პირებს: პირველ სუბიექტსა და პირდაპირ ობიექტს და მეორე სუბიექტსა და პირდაპირ ობიექტს. აქ ყველგან მესამე ირიბი ობიექტი ადგილს დაუთმობს კლასობრივად პრიორიტეტულ ფორმებს, პირველ და მეორე პირებს. თუმცა მასაც ექნება გამოხატვის მცდელობა და ენაში გვაქვს ასეთი ფორმებიც: *გსწერს*, *ესწერ* და *სხვ. აქვე უნდა ითქვას*, რომ ენის განვითარების ეკონომიზმის პრინციპი არის ფორმათა გამარტივების ბუნებრივი ტენდენცია. ამის გამო ხშირად თანამედროვე ქართული კარგავს მესამე ირიბი ობიექტის ნიშნებს.

რაც შეეხება ბასკურ ზმნაში დესტინატის მარკირებას, აქ სინქრონიულ დონეზე ყველგან გვაქვს სრული მარკირება და არც ზმნური აქტანტების პოზიციური შეხედვრა ხდება. მაგრამ დესტინაციისა და კლასის კატეგორიათა ურთიერთმიმართების ტიპოლოგიური სურათი სერიოზულ სხვაობას იძლევა ბასკურსა და ქართულში.

ბასკურში გვაქვს “თვის” დესტინაციური შინაარსის ამსახველი თანდებული, რომელიც განსხვავებულია სულიერ და უსულო სახელებთან. სულიერ ფორმებთან არის - *rentzat*, უსულოებთან კი არის - *rako*. *rentzat* და *rentzako* ზოგჯერ გამოიყენება, ადამიანის გარდა, სხვა სულიერი არსებათათვისაც, მაგრამ *rako* მხოლოდ უსულო რა ჯგუფის სახელებისთვისაა განკუთვნილი. ეს ფაქტი კი იმას ნიშნავს, რომ კლასის კატეგორია ჯერ კიდევ ცოცხალია ბასკურში და იგი მორფო-სემანტიკურ ოპოზიციასაც ქმნის ბასკური ენის დესტინაციურ სისტემებში.

ენათმეცნიერების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ბასკურში არ არის კლასის კატეგორია. ტრასკი აღნიშნავს ფორმათა სხვაობას კლას-კატეგორიათა მიხედვით ლოკალურ ბრუნვებში, კერძოდ, აქ განსხვავდება სულიერი-უსულოს კატეგორია. ტრასკი წერს, რომ ბასკურს არ გააჩნია კლასის კატეგორია. მაგრამ თეითონვე წინააღმდეგობაში მოდის, როდესაც აღწერს ბრუნვათა რეფერენციალურ სხვაობას კლასის კატეგორიის მიხედვით. კერძოდ, ბენეფაქტივი ვინ კატეგორიისათვის არის -*entzat* პიროვნებისათვის და იმავე ბრუნვას ტრასკი უწოდებს დესტინატივს რეფერენტით -*rako* ნიეთისა-*თვის*, რა-კლასისა-*თვის*. მკვლევარი ასევე გამოყოფს ესივს ანუ ტრანსლატივს რეფერენტით -*tzat*



აქ იგულისხმება დესტინაციის ტრანსფერი და შესაბამისად, მარკეტინგ იმეორებს ბენეფიციარის ფორმას (რ. ტრასკი, 1999 გვ. 285-299).

ჩვენ გაგვანჩია ბასკურ ენაში კლასის კატეგორიის გამოვლინების საკმაოდ სერიოზული მნიშვნელობით გამორჩეული და გრამატიკული ოპოზიციის ძალის მქონე სამი შემთხვევა:

1. ალოკუტური ფორმების არსებობა (ეს გულისხმობს ზმნის მეორე პირის აქტანტების დიფერენცირებას სქესის მიხედვით);
2. “თვის” თანდებულის ვარიანტები და მათი დისტრიბუცია სულიერობის კატეგორიის მიხედვით;
3. ლოკალური ბრუნვების ფორმათა სხვადასხვაობა სულიერობის კატეგორიის მიხედვით.

ამრიგად, ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ბასკურში ჯერ კიდევ არსებობს კლასის კატეგორია, თანაც მას ორი ფორმა გააჩნია – სქესისა და სულიერობის. იმ ენებთან შედარებით სადაც კლასის კატეგორია მეტ-ნაკლებად პროდუქტიულია, ბასკური მკვეთრად ადგას ფორმათა გამარტივების გზას. ამიტომაც პოლმერი ბასკურს მიიჩნევს უკლასო ენად ა. პოლმერი, 2001 გვ. 12). ინდოევროპული ენების გაელენით და აგრეთვე საკუთარი შიდა ენობრივი პრინციპებიდან გამომდინარე, ბასკურში კლასის კატეგორია და მისი კვალი ნელ-ნელა ქრება ენიდან. თუმცა თავად ინდოევროპულ ენებში საკმაოდ მყარია კლასის კატეგორია, კერძოდ, სქესის კატეგორია. ამიტომაც ეს გაელენა ეხება კლასის კატეგორიის გამოვლინების სხვა – არაინდოევროპული ხასიათის ფორმებს. თუმცა ენაში საპირისპირო მოვლენაც დასტურდება, ზოგ ბასკურ დიალექტში ადგილი ჰქონდა ესპანურიდან მდებდრობითი-მამრობითი ფორმების ხელოვნურად შეტანის წარუმატებელ მცდელობას.

## დესტინაცია და ერგატიულობა

დესტინაციის მოვლენა მჭიდრო კავშირშია ერგატიულობასთან როგორც სემანტიკური, ისე გრამატიკული პარამეტრების მიხედვით. ორივე არის ობიექტის კატეგორია.

ერგატიულობა მწეობრ მორფო-სინტაქსურ სისტემებს ქმნის იმ ენებში, სადაც იგი გამოვლინდება. ასეთი ენები ორ ძირითად ტიპად იყოფა: წმინდა ერგატიული და ნაწილობრივ ერგატიული ენები. პირველი ტიპის ენებში ყოველი გარდამავალი ზმნის სუბიექტი არის მუდამ ერგატიულ ბრუნვაში. ასეთია ბასკური ენა. მეორე ტიპის ენები კი, რომელთაც მიეკუთვნება ქართული, გარკვეულ თავისებურებებს გუიხვენებს. ასეთ ენებში სხვადასხვა ზმნური ფაქტორები განსაზღვრავს გარდამავალი ზმნის სუბიექტის ბრუნვას. ის ხან ერგატიულია, ხან ნომინატივი, ან იშვიათად - დატივი.

საქმე ისაა, რომ ერგატიულობას უმეტესად ინდოევროპელი მეცნიერები იკვლევდნენ და ისინი ცდილობდნენ ინდოევროპულ მოდელებთან შესაბამისობის დაქებნას, რასაც, ბუნებრივია, ჩიხში შეჭყავდა ყველა მკვლევარი. ასეთი ტიპის პრობლემები მუდამ წარმოიქმნება პოლიპერსონალური სტრუქტურების მონოპერსონალური მოდელებით განხილვისას. თავის წიგნში “ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში. ერგატიული კონსტრუქციის რაობის თეორიები.” არნ. ჩიქობავამ საკმაოდ ნათლად ახსნა, რომ გარდამავალი ზმნა პირდაპირ ობიექტზე მიუთითებს (დამუშავება მიწისა, მოკვლა ნადირისა, დახატვა სურათისა) და გარდაუვალი ზმნა კი სუბიექტზე მიუთითებს (წოლა ავადმყოფისა, ადგომა სტუმრისა, სირბილი ბავშვისა)... “ოღონდ ეს ნათესაობითი რეალურ ობიექტზე მიუთითებს, თუ მასდარი გარდამავალი ზმნისაა და რეალურ სუბიექტზე, თუ მასდარი გარდაუვალი ზმნისა გვაქვს” (არნ. ჩიქობავა, 1961, გვ. 125). იგი წერს: “იბერიულ-კავკასიური ენების ზმნური ფუძე სახელის ფუძისგან არ განირჩეოდა. ყველა ფუძე, საგნის აღმნიშვნელიცა და მოქმედების აღმნიშვნელიც, სახელის ბუნებისა იყო. ჯერ კიდევ ძველ ქართულში არა ერთი ფორმანტი გვაქვს, რომელიც სახელის ფუძესაც აწარმოებდა და ზმნის ფუძესაც. ამაში ვლინდება ძველი გაუდიფერენცირებელი მდგომარეობის გადმონაშთი” (არნ. ჩიქობავა, 1961, გვ. 125). მრავალ ენაში საკმაოდ ბევრია ასეთი

საზიარო ზმნური და სახელური მორფემები: ერგატივის -ქ მეგრულში, ბასკურის ერგატივისა და დესტინაციის (დატივის) ნიშნები სახელებსა და ზმნებში, ძველი ინგლისურის მრავლობითობის ფორმები ზმნებსა და სახელებში, -თ, -ებ აფიქსები ზმნებსა და სახელებში ქართულში და სხვა მრავალი.

ერგატიულობასთან დაკავშირებით საგულისხმოა ის, რომ რიგ ენებში ერგატიულობა ისევე, როგორც დესტინაცია (და აგრეთვე სხვა მრავალი ძირეული მორფო-სემანტიკური კატეგორია(ც) სახელებსა და ზმნებში ერთნაირი მორფემებით გვაქვს წარმოდგენილი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ერგატიულობისა და დესტინაციის მოელენები არის უძველესი ენობრივი ფაქტები, რომლებიც ჯერ კიდევ ზმნასა და სახელს შორის მორფოლოგიური ზღერის გაჩენამდე არსებობდა. ამ ტიპის მსჯელობა შეიძლება უფრო შორსაც წაიღეს - ვფიქრობთ, შესაძლებელია, რომ ერგატიულობა და დესტინაცია წინ უსწრებდეს ენათა ფლექსიურ და აგლუტინაციურ ტიპებად ჩამოყალიბების პროცესებს. ეს მოსაზრება, თავის მხრივ, ნათელს მოაფენს ერგატიულობისა და დესტინაციის კატეგორიების გამოელენათა ნაირსახეობებს.

საერთოდ, სინტაქსური ტიპოლოგიის ჩამოყალიბება XIX საუკუნის ბოლოს დაიწყო სწორედ ამ ძირითადი ნიშნით - ერგატიულ-ნომინატურ კონსტრუქციათა განსაზღვრებით. ამ ჩარჩოებში შემოთავაზებულია ქვემდებარის არაუნივერსალურობის იდეა, სიტუაციის მონაწილეთა ტიპური როლები და მათი სტატუსი ახალი ან ნაცნობი ინფორმაციის მიმართ, ინფორმაციის მიმართება მეტყველების აქტში მონაწილეებისადმი - მოსაუბრისა და მსმენელის მიმართ და ა. შ. (ი. ბუხერტი, 1982; ა. ვოლოდინი, 1974; გ. კლიმოვი, 1983; ნაცვალსახელთა თეორია და ტიპოლოგია, 1980; კ. ულენბეკი, 1950; ფ. ფინკი, 1950; პ. შუხარტი, 1950; წინადადების ერგატიული კონსტრუქცია, 1950; ერგატიული კონსტრუქცია სხვადასხვა ტიპის ენებში, 1967). წინადადების კონსტრუქციათა სხვაობას საინტერესო ფუნქციონალური ახსნა მოუძებნა კიბრიკმა, რომელიც წერს, რომ კონსტრუქციის არჩევანი სამი ფაქტორითაა განპირობებული: ფორმალური საშუალებების ეკონომიისა და აზრთა განმასხვავებლობის ურთიერთსაწინააღმდეგო ტენდენციებითა და ასევე მოტივირებულობის ფაქტორით (ა. კიბრიკი, 2005). სამეცნიერო წრეებში ასევე ფართოდ ცნობილია აქტიურობის თეორია, რომლის თანახმადაც ერგატიულობა და ნომინატიურობა განისაზღვრება არა გარდამავლობა-გარდაუელობის შესაბამისად, არამედ აგენსის/სუბიექტის აქტივობის მიხედვით (კ. ულენბეკი, 1960; გ.

კლიმოვი, 1973; ს. კაცნელსონი, 1947). ახლებურია გარდამავლობის გადაზარებაც: პ. ხოფერისა და ს. ტომსონის მიხედვით, გამოიყოფა სემანტიკური გარდამავლობა. ამავე ავტორებმა გარდამავლობას (და ასევე მეტყველების ნაწილებსაც) დისკურსიული ახსნა მოუძებნეს. გასული საუკუნის სამოცდაათიანი წლების ბოლოს ფოლიმ და ვან ვალინმა შექმნეს რეფერენციალურ-როლებრივი გრამატიკა, რომელიც 1993 წელს ხელახლა გამოიცა ვან ვალინის რედაქტირებით. ამ თეორიის მიხედვით, გამოიყოფა ე. წ. მაკროროლები და როლებრივი იერარქია. ა. კიბრიკმა დაამუშავა კლაუზის სტრუქტურის ე. წ. ქოლისტიური ანუ მთლიანობის ტიპოლოგია. კლაუზის სტრუქტურაში მან გამოყო სინტაქსური ურთიერთობების კოდირების სამი ძირითადი სემანტიკური ღერძი:

1. სემანტიკური როლები,

2. კომუნიკაციური მახასიათებლები,

3. ინფორმაციის ნაკადი (ანუ თემ/რემა, მოცემული/ახალი და ა.შ.).

ამთგან განსაკუთრებული მნიშვნელობა პირველს ენიჭება. აქვე შემოდის პიპერ-როლებიც, რაც საფუძვლად ედება წინადადებათა სხვადასხვა ტიპის კონსტრუქციებს. ეს კი თავის მხრივ განსაზღვრავს ენის ერგატიულსა თუ ნომინატიურ წყობას. ა. კიბრიკის სამი სემანტიკური ღერძი სამი ლოგიკური მეთოდით გამოიხატება: ნულოვანი, სეპარატული - სხვადასხვა მნიშვნელობანი განცალკევებულადაა გადმოცემული და კუმულიატიური - ერთზე მეტი შინაარსი ერთ ფორმაში (ა. კიბრიკი, 2005). ერგატიულობას და ნომინატიურობას ჯ. ნიკოლსი განსაზღვრავს როგორც როლური კოდირების ტიპებს ბ. ბალთაზარი, ჯ. ნიკოლსი; 2001).

უდავოა, რომ ტიპოლოგიური მიდგომა ერგატიულობის საკითხისადმი ერთადერთი და სწორი მეთოდია.

საყოველთაოდ მიღებულია მოსაზრება ბრუნვის ნიშანთა ნაცვალსახელური წარმოშობის შესახებ. არნ. ჩიქობავას მიაჩნია, რომ ზანურში მოთხრობითის ნიშანი მომდინარეობს იგი/ევე ფორმათა კონსონანტური ნაწილიდან. "ისტორიულად მოთხრობითი პირველი სახელობითი" - წერს მეცნიერი (არნ. ჩიქობავა, 1939, 175). ჩვენ ვფიქრობთ, რომ პირის ნაცვალსახელის ნომინატივის ფორმა მიუღებელია სახელთა ერგატივის საწარმოებლად, რადგანაც თავად ამ ბრუნვათა სემანტიკა თავისი შინაარსით ოპოზიციურია და ეს გარემოება კი აუცილებლად განსხვავებულ რეფერენტებს მოითხოვს ასეთი შემთხვევებისათვის. თუ, ეთქვათ, მიცემითსა და ნათესაობითს

შეიძლება, რომ ნაწილობრივ საერთო რეფერენტი კქონდეთ, ამას თავისი ახსნა გააჩნია: მიცემითისა და ნათესაობითის ფუნქციათა გარკვეული სიახლოვე, რასაც ვერ ვიტყვიტ სახელობითისა და მოთხრობითის შესახებ; პირიქით – სახელობითი და მოთხრობითი ერთი კატეგორიის (სუბიექტის) ორი საოპოზიციო ფორმაა. ამას გარდა, არ არსებობს “იგი” ნაცვალსახელიდან წარმოშობის დამადასტურებელი დიაქრონიული მასალა და არც იმაში ვართ დარწმუნებული, იგიმან ოპოზიცია იყო თუ არა გაფორმებული ენაში სახელთა ბრუნების ჩამოყალიბების პერიოდში. საეარაუდოა, რომ იყო. მაშინ რატომ აირჩედა ენა სახელობითის ფორმას ზანური ერგატივის გასაფორმებლად?

როგორც ზემოთ აღენიშნეთ, ჩუენი აზრით, ერგატივის “ქ” მეგრულსა და ლაზურში მომდინარეობს განუსაზღვრელი ნაცვალსახელიდან “კონი” (კაცი).  $k \rightarrow \check{k}$  პროცესი სიტყვის ბოლოში სრულიად ბუნებრივია ქართველური ენებისათვის. ერგატიული ბრუნვა არის გარდამავალი ზმნის სუბიექტის ბრუნვა, ხოლო აქ მოქმედების ჩამდენი სუბიექტი არის ადამიანი – კაცი. ეს არის აქტიური ზმნის სუბიექტი, სადაც გრამატიკული და რეალური სუბიექტი ხშირ შემთხვევაში არის ვინ-სულიერობის კატეგორიით დატვირთული სახელი. ასეთია ადამიანი, ანუ კაცი ზოგადად ან განსაკუთრებულ შემთხვევაში ცხოველი ან გასულიერებული ნიეთი. ადამიანი არის ერთადერთი, რომელსაც შეუძლია, იყოს მეტყველების სუბიექტი და ასევე იყოს გრამატიკული და რეალური სუბიექტი. მეტყველების აქტთან მიმართებაში ამდაგვარმა უპირატესობამ განაპირობა ერგატიეში მორფემული რეფერენციუბის არჩევანი.

კაცი, როგორც ვინ კატეგორიის განუსაზღვრელი ნაცვალსახელი, ამ ფორმით აისახება ერგატიულ ბრუნვაში. ამ თვალსაზრისით საგულისხმოა ართრონის დიათეზაც – განუსაზღვრელი და განსაზღვრული. განუსაზღვრელი ნაცვალსახელიდან ნაწარმოები აფიქსი საეარაუდოა, რომ გარკვეულწილად განუსაზღვრელობის შინაარსსაც ატარებდეს, თუმცა ფორმას კაცი/კონი როგორც სულიერობის სემანტიკის მქონე ერთეულს შესაბამის გრამატიკულ ფონზე თავისულად შეეძლო ემუშავა როგორც ამ კატეგორიის (ვინ კატეგორიის) განსაზღვრულ ერთეულს.

ტიპოლოგიური პარალელისთვის აქვე უნდა აღენიშნოთ, რომ ბასკურშიც გვაქვს  $k$  ერგატივის ნიშნად სახელებსა და ზმნებში. ბასკურში ერგატიეც და ადრესატიც შესაბამის ბრუნვათა მორფემებს

იმეორებს ზმნურ ფორმებში. ჩვენი ღრმა რწმენით, ბასკურშიც ეს მორფემა მომდინარეობს სიტყვიდან "gison" (კაცი). k არის g-ს ყრუ ვარიანტი. აქაც იმავე ტიპის ფონეტიკურ მოვლენას აქვს ადგილი, ხდება ბგერის დაყრუება სიტყვის ბოლოში.

საინტერესოა ქ. ლომთათიძისეული ანალიზი ქ სუფიქსისათვის მეგრულ ზმნებში, სადაც პირველ და მეორე პირებში ქ ახსნილია, როგორც ქო დადასტურებითი ნაწილაკის ფორმა, რომელსაც არაფერი აქვს საერთო სვანურ ხ-სთან (ქ. ლომთათიძე, 1946, გვ. 133). თუ ეს -ქ წარმოშობით დადასტურებითი შინაარსის ნიშანია, მაშინ მას არაფერი ექნება საერთო ერგატივის ნიშანთან, რადგანაც ზმნაში ეს ნიშანი გვაქვს როგორც გარდამავალ, ისე გარდაუვალ ზმნებთან: ვორექ (მეგრ. ვარ) და ვჭარუნქ (მეგრ. ვჭერ). უნდა ითქვას, რომ დადასტურებითი ნაწილაკები, საერთოდ, უფრო თავში მოუღის ზანურ ზმნებს: ქომილუ (მეგრ. მომიტანე), გობოჭკონდი დორენ (ლაზ. დავეიწყებებევარ), დუწუ (ლაზ. უთხრა) ყორმიდან დო-უწუ, დოთქუ (ლაზ. თქვა), ქუწუ (მეგრ. უთხარი), ქოთქუ (მეგრ. თქვა) და ა. შ.

ჩვენი ვარაუდით, მეგრულ ზმნებში აფიქსი -ქ, შესაძლოა, მომდინარეობდეს ნაცვალსახელიდან "კოჩი". ეს თავისთავად სუბიექტის ვინ-სულიერობის კატეგორიას გაუსვამდა ხაზს. საგულისხმოა ისიც, რომ ასეთი ნიშანი მხოლოდ პირველსა და მეორე პირებში ჩნდება. პირველი და მეორე პირები კი (მცირეოდენი სემანტიკური გამო-ნაკლისების გარდა) უდავოდ ვინ კატეგორიის პირებია. საგულისხმოა, რომ ეს მორფემა (ქ) ჩნდება დისკურსის მონაწილე პირებთან.

თუ ეს ზმნური სუფიქსი მეგრულში სულიერობის ნიშნად, ანუ ნაცვალსახელური წარმოშობის ფორმანტად მივიჩნიეთ, მაშინ შესაძლოა მისი დაკავშირება ერგატივის ნიშანთან. თუმცა აქაც გვაქვს წინააღმდეგობები:

1. მეგრულში ეს ზმნური სუფიქსი გარდაუვალსა და გარდამავალ ზმნებში ერთნაირად ჩნდება.
2. ეს ზმნური სუფიქსი გეხედება იმ მწკრივებში (აწმყო, თურმეობითები), სადაც ერგატივი მოსალოდნელი არაა.
3. "კოჩი" არის განუსაზღვრელი ნაცვალსახელი (კაცი), პირველი და მეორე პირები კი მუდამ განსაზღვრული პირებია, მესამისგან განსხვავებით. ერგატივი კი განსაზღვრულობას გულისხმობს. ყველა ამ წინააღმდეგობას ერთი საერთო პასუხი აქვს - ზმნებში - ქ აფიქსს მხოლოდ სუბიექტის სულიერობის კატეგორიის გამოხატვა

ეკისრება. ნაცვალსახელიდან “კონი” შესაძლოა, ბრუნვის აფიქსს მხოლოდ ერთი სემანტიკა წამოეღო, კერძოდ, სულიერობის და არა განუსაზღვრელობის. ამ აფიქსს ასეთივე ფუნქცია აქვს სახელებშიც (მოთხრობითში). სულაც არ იყო სავალდებულო, რომ ამ ნიშანთა ზმნური და სახელური სემანტიკა ენას ერთმანეთთან პარალელური სისტემებით დაეკავშირებინა. თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ განვითარების რომელიღაც ეტაპზე ასეც მოხდეს და ვთქვათ, ზმნათა გარკვეულმა ნაწილმა ეს ნიშანი დაკარგოს. ამის მაგალითები დღესაც გვაქვს: ვჭარუნ(ქ) გარდამავალ ფორმებში ნ-ქ იკარგება დადებითში, მაგრამ აღდგენილია კითხვით ფორმებში.

მეგრულ ზმნებში რომ -ქ ერგატივის ნიშანია, ამის დასტურია ისიც, რომ ჭანურში აწმყოში დღესაც გვაქვს ერგატივი. როგორც არნ. ჩიქობავა წერს: “ჭანურში ამჟამად გარდამავალი ზმნა ერგატივს მოითხოვს ყველა ნაკეთთან, იქნება ეს აწმყოს წყებისა, ნამყო ძირითადისა თუ თურმეობითისა (ოღონდ მესამე პირში: პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელებს მოთხრობითი არა აქვს)” (არნ. ჩიქობავა, 1961, გვ. 5). არა აქვს იმიტომ, რომ პირველი და მეორე პირი ისედაც ვინ კატეგორიისაა და მოთხრობითით ამის გამოხატვა ენამ აიცილა, როგორც დამატებითი რეფერენცირება. ამიტომაც, რომ მეგრულში ზმნათა მხოლოდ პირველსა და მეორე პირებშია ქ ერგატივის ნიშანი. ასევე ეს არის მიზეზი იმისა, რომ პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელები და ძველ ქართულში აგრეთვე საკუთარი სახელები ფუძის სახითაა წარმოდგენილი სასუბიექტო ბრუნვებში.

ჩვენი აზრით, სავარაუდოა, რომ ზოგადად ერგატიულობისა და ნომინატიურობის სისტემათა ზმნურ დიათეზას ფონო-სემანტიკურ ან მორფო-სემანტიკურ ეტომოლოგიურ საფუძვლად ედოს სუბიექტის კლასის ნიშანი. ამ თვალსაზრისით ინტერესს მოკლებული არ იქნებოდა კავკასიურ ენათა სისტემების ტიპოლოგიური ანალიზი, რამდენადაც ამ ენებში გვაქვს კლას-კატეგორიათა მორფოლოგიური რეფერენცირება. საყოველთაოდ ცნობილია არნ. ჩიქობავას მოსაზრება პიროვან-კლასოვანი უღლების შესახებ. იგი წერს, რომ “ერგატიულ კონსტრუქციას დასაბამი ეძლევა კლასოვან უღელილებაში” (არნ. ჩიქობავა, 1961, გვ. 128). ჩვენ ამ აზრს სრულიად ვიზიარებთ და ვფიქრობთ, რომ კლასოვანიდან პიროვან უღელილებაზე გადასვლამ განაპირობა ქართულურ ენებში ერგატიულ კონსტრუქციათა გარკვეული სხვადასხვაობაც. საერთოდ, ამ ენათა სინქრონული

ანალიზისას შესამჩნევად გაფერმკრთალებულია სემანტიკური ზღვარი კლასისა და პირის კატეგორიათა შორის.

ტრომბეტი და ულენბეი ბასკური ერგატივის ნიშანს უპირისპირებდნენ მეგრულ-ლაზურ მარკერს (კ. უკლენბეი, 1950, გვ. 7; 1947, გვ. 110; რ. ლაფონი, 1984, გვ. 229). როგორც დეკეტერსი სინანულით აღნიშნავდა, ეს უკანასკნელი მეგრულურ-ლაზური ნიშანი "აბსოლუტური იდუმალებით იყო მოცული" (რ. ლაფონი, 1984, გვ. 229-230).

ჩვენ ეფიქრობთ, რომ ჩვენ მიერ შემოთავაზებული ზანური ერგატივის მარკერის გენეზისი მრავალ საკითხს მოჰყენს ნათელს.

ზმნის გარდამავლობა, ანუ ის სემანტიკა, რომ მოქმედება სრულდება სამოქმედო საგნით, შესაძლოა აკუზატივით ან ინსტრუმენტალისითაც იყოს გადმოცემული. ის შეიძლება იყოს მორფოლოგიურად ზმნის გარეთაც, ანუ მხოლოდ სემანტიკური, არარეფერენციურებული ზმნური პირი იყოს, როგორიცაა, ვთქვათ, ინდოევროპული ტრანზიტული ზმნების შემთხვევაში. მაგრამ აუცილებელია მოქმედის რეფერენციურება, თუმცა სხვადასხვა ფორმის მარკირებით სხვადასხვა ენაში. პირის ძირითადი არსი მდგომარეობს ადამიანი-ნივთის სემანტიკური ოპოზიციის გამოხატვაში. აქ ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი. ერგატიული სუბიექტი არის რეალურად აქტიური აქტანტი – ადამიანი ანუ გინ-სულიერობის კატეგორიის მქონე მოაზროვნე სუბიექტი. ეს მისაღები ტერმინია თუნდაც იმის გამო, რომ თავის თ ავში მოიცავს სხვაობას აგენსსა და პაციენსს შორის. ენათა მიდგომა ვინ-რა კატეგორიათა მიმართ, ჩვენი აზრით, დიდწილად განაპირობებს ერგატიულობისა და ნომინატიურობის დიათეზის შინაარსის ახსნას. ჩვენი ვარაუდით, სუბიექტის რა-უსულო კატეგორია ნომინატიური ბუნებისაა და ვინ-სულიერი კატეგორია კი ერგატიული, აქტიური შინაარსით ხასიათდება.

ულენბეის აზრით, პასიური და აქტიური ბრუნვები განირჩეოდა მამრობით და მდედრობით სახელებში, ნეიტრალურ სქესში კი არა. იმიტომ რომ ის უსულოა (კ. უკლენბეი, 1950, გვ.101-102). საგულისხმოა, რომ ზოგი ენა განასხვავებს სულიერსა და უსულოს ერგატიულობის მიხედვით.

როგორც ზემოთ აღენიშნეთ (კლასის კატეგორიაზე საუბრისას) ქართველურ ენებში ერგატივის რეფერენტები ვინ კატეგორიის ნიშნითაა მოცემული. ეს არის მოაზროვნე სუბიექტის - ადამიანის ანუ ვინ კატეგორიის მორფოლოგიური ნიშანი. მასთან ოპოზიციას ქმნის



უსულო-ნიეთის კატეგორიის სუბიექტი და არააქტიური ინტრანზიტული სუბიექტი. ისინი ერთ სემანტიკურ არეში ხედება, რომელიც გამოიხატება ნომინატივით. ფუნქციითა ამდაგვარი შეთავსების გამო მას აბსოლუტურ ბრუნვას უწოდებენ. აღსანიშნავია, რომ ანალიზის ეს დონე სიღრმისეული სემანტიკის ეტიმოლოგიას გულისხმობს და აქ კონტრ-არგუმენტად ვერ მოიაზრება ახალ ქართულში მოთხრობით ბრუნვაში დასმული უსულო სახელები. თუმცა ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ასეთ დროს თავად ამ უსულო ნიეთების სემანტიკური ეელი საგრძნობლად გაფართოებულია და დატვირთულია მცირედი სული-ერობით ან დამატებითი აქტივობით, რაც თავისთავად მხოლოდ ადამიანის კატეგორიის მახასიათებელია. ხშირ შემთხვევაში ძირითადად ცნობიერება და გაცნობიერებული მოქმედება არის აქტიური მოქმედების განმსაზღვრელი ნიშანი. ერგატივი კი კატეგორიის სემანტიკური ეტიმოლოგიის მიხედვით, მოაზროვნე სუბიექტის გამომხატველია. ის არის ვინ კატეგორიის სუბიექტის ბრუნვა. შესაძლოა, ასეთი სუბიექტი მხოლოდ ერგატივში მოიაზრებოდა თავდაპირველად, შემდგომში კი მოხდა ვინ და რა კატეგორიის სუბიექტთა დისტრიბუციული დამოკიდებულების შეცვლა, რამაც მოგვცა დღევანდელი სურათი.

საგულისხმოა, რომ ქართულში მოაზროვნე სუბიექტის გაუცნობიერებელი თურმეობითის ხასიათის მოქმედება მესამე სერიის მწკრივებში არაა ერგატივით გამოხატული. არც პოტენციალისი, ასევე ზოგადი და მომავალი დროის მოქმედებები არ განიხილება ქართულ ენაში როგორც მოაზროვნე სუბიექტის რეალური ერგატიული ხასიათის აქტი. გაეზიარებთ მრავალი მკვლევარის აზრს და აღვნიშნავთ, რომ, საერთოდ, რეზულტატის სემანტიკა ანუ პერფექტი არის ერგატივისათვის ამოსავალი. ქართული ერგატივის საფუძველიც არის მოაზროვნე სუბიექტის მიერ ჩადენილი კონსტატირებული აქტიური მოქმედება, რომლის გავრცობაც შემდგომ ეტაპზე მოხდა ამ სერიის დრო-კილოთა სხვა ფორმებში. მეგრული კი ისე შორს წავიდა ერგატივის გავრცელების საქმეში, რომ მეორე სერიაში გარდაუვალ ზმნებთანაც კი ერგატიული სუბიექტი მოგვცა. ეს მოვლენა ადასტურებს იმ აზრს, რომ ერგატივის ძირითადი არსი მდგომარეობს მოაზროვნე სუბიექტის მიერ ჩადენილ მოქმედებაში ანუ აორისტის ძირითად შინაარსში. თუმცა ზანური გარდამავალი ზმნები უღლების სხვა მწკრივებშიც ერგატივს გამოიყენებენ სუბიექტის ბრუნვად. აქედან გამომდინარე, შეიძლება საპირისპიროს მტკიცებაც, რომ ქართველური ენები იყო წმინდა ერგატიული. სინქრონიულ დონეზე

ქართველურ ენათა ერგატივისათვის პირველი აუცილებელი პირობაა (მეგრულის გამოწვევებით) გარდამავლობა და შემდეგ პერფექტულობა. პერფექტულობა როგორც ერგატივის ერთ-ერთი აუცილებელი პირობა, თავის მხრივ, იძლევა ზანურის თურმეობითებში ერგატივის გამოვლინებათა ახსნას.

საინტერესოა, რომ მკვლევარი ნენსი თულინი, ტრასკის კვალდაკვალ, ხაზს უსვამს ქართული ენის განსაკუთრებულობას ერგატიულობის თვალსაზრისით: “ტრასკის მიერ შესწავლილი 19 ენიდან, მხოლოდ ქართულს, ბასკურს, ჰინდისა და მაიას რამდენიმე ენას აქვს დამოუკიდებელი პასივი, ისევე, როგორც ერგატიულობა. ქართულს კი საკუთრივ აქვს ორივე, რაც მას ესოდენ განსაკუთრებულს ხდის მკვლევართათვის” (ლ. ტრასკი, 1979; ნ. თულინი, 1991). თუმცა ჩვენ ვერ დავეთანხმებით თულინს მის ძირითად დასკვნაში. ქართული ენის შესახებ იგი წერს: “როგორც ჩანს, ერგატიულობა შედარებით ახალი მოვლენაა, თუმცა ის კედება, ხდება მისი ჩანაცვლება ნომინატიურ-აკუზატიური ბრუნვით” (ნ. თულინი, 1991). ასეთი მოსაზრება თავისთავშივე შეიცავს წინააღმდეგობას. სხვა რომ არაფერი ვთქვათ, იგი შეუსაბამოა ენის განვითარების უნივერსალურ კანონებთან.

კედომას ვერ განიცდის ახალი ენობრივი მოვლენა. პირიქით, იგი აქტიურ ევოლუციას ექვემდებარება (ამავე ნაშრომში ავტორს სხვა ტიპის უზუსტობანიც აქვს ქართული ენის აღწერისას).

ჩვენ ვერც ქრისტოფერ მანინგის აზრს გაეზიარებთ ერგატიულობასთან დაკავშირებით. იგი წერს: “ბევრი ფუნდამენტური კითხვა პასუხგაუცემელი რჩება, თუ არ განვიხილეთ სინტაქსური და მორფოლოგიური ერგატიულობა. ენები ორ კლასად უნდა დავყოთ: მორფოლოგიური და სინტაქსური ერგატიულობის ენებად და ენახოთ, ძირეულია თუ არა ერგატიულობა” (ქ. მანინგი, 1997, გვ. 17). ეს დებულება სრულიად მიუღებელია, რადგანაც სინტაქსი არ არსებობს მორფოლოგიის გარეშე. საერთოდ, როდესაც ვსაუბრობთ სინტაქსურ ერგატიულობაზე, აქ იგულისხმება ერგატიული კონსტრუქციები, ე. ი. კონკრეტულ მორფოლოგიურ ფორმათა სინტაქსური შეთანხმებები ანუ კომბინაციები. როდესაც საუბარია პრედიკატის არგუმენტებზე, პროტოტიპურ ტრანზიტულ არგუმენტად ჩაითვლება აგენსი და პაციენსი. აქ იგულისხმება სინტაქსური ურთიერთობებით გადმოცემული სემანტიკური როლები, ანუ ფუნქციის მორფო-სემანტიკური კორელაცია. ბუნებრივია, რომ ერგატიული და ნომინატიური კონსტრუქციები მორფო-სინტაქსის შესწავლის საგანია. ფაქტობრივად ამ აზრთან შედარებით

ახლოს მივიდა ბერტ პეტერსი, რომელიც წერს: “სინტაქსური ერგატიულობა ლოგიკურად განსხვავებულია მორფოლოგიური ერგატიულობისაგან, თუმცა ეს ორივე ხშირად ერთად გვხვდება” (ბ. პეტერსი, 1995). შემდეგ კი ეს მკვლევარი წერს: “მე არ ვიცი არც ერთი მაგალითი, სადაც მორფოლოგიურად ნომინატიურ-აკუზატიური ენები გამოხატავენ სინტაქსურ ერგატიულობას” (ბ. პეტერსი, 1995). ასეთი ენები არც ჩვენ ვიცით და არც არსებობენ, რადგანაც არ არსებობს დამოუკიდებელი სინტაქსი, არამედ არსებობს მხოლოდ მორფო-სინტაქსი. თუკი ერგატიულობის კატეგორია არ არსებობს ამა თუ იმ ენის მორფოლოგიაში, მაშინ ამ ენაში ამ კატეგორიის სინტაქსური ანალიზიც ყოველგვარ რეალურ მეცნიერულ საფუძველს მოკლებულია.

საერთოდ, ნებისმიერი სემანტიკური კატეგორია ამა თუ იმ ფორმით აისახება მორფოლოგიაში და ამ ფორმათა კონკრეტული კომბინაციები ქმნის კონკრეტული სემანტიკური კატეგორიის სინტაქსურ ვარიანტებს. მორფოლოგიაში არა-რეფერენცირებული სემანტიკური კატეგორია შესაძლოა, იყოს ტექსტის ან კონტექსტის და არა სინტაქსის მოვლენა. ფაქტია – მორფემულად სრულიად გამოუხატავე ერთეულებისაგან შემდგარი სინტაგმა ვერ იტვირთებს ასეთ როლს სემანტიკური კატეგორიის წინაშე. აქ საკითხი სცილდება გრამატიკის სფეროს და იგი უნდა ეძიოს ტექსტის ლექსიკურ-სემანტიკურ დონეზე.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენთვის სრულიად მიუღებელია ინდო-ევროპულ ენებში ხელოვნური ლოგიკით მიღებული ზმნათა კლასიფიკაცია, რომელიც მოცემული გვაქვს ვიკიპედია მრავალენოვან ენციკლოპედიაში. აქ დასახელებულია ინგლისური ფორმები:

1. მხოლოდ ერგატიული ზმნები:

I think - მე ვფიქრობ,

I see - მე ვხედავ,

I understand - მე ვიგებ,

I experience - მე გამოცდილებას ვიღებ

2. ერგატიული ან ტრანზიტული:

To open - გაღება

The door opens. - კარები გაიღო.

John opens the door. ჯონმა კარები გააღო.

To eat - ჭამა

I eat - მე ვჭამ

I ate a hamburger მე ვჭამ ჰამბურგერს (ვიკიპედია, 2005).

ასეთი კლასიფიკაცია ღიმილის მომგერელია. ამავე ენციკლოპედიაში გამოიყოფა ნაწილობრივი ანუ არასრული ერგატიულობის სამი სახეობა:

1. აესტრალიური ენები (ღირბალი), სადაც მორფო-სინტაქსურად აღინიშნება ერგატიულობა, მაგრამ იგი პირველ და მეორე პირის ნაცვალსახელებთან ნომინატიურ-აკუზატიური ბრუნვის ფორმით არის წარმოდგენილი. აქვე გვინდა, პარალელი გაველოთ მეგრულ ზმნებში არსებულ -ქ სუფიქსთან, რომლის შესახებაც ზემოთ გეჰქონდა საუბარი. კავკასიურ ენათაგან ასეთია, მაგალითად, ბაცბური. თუმცა ბაცბურში, პირიქით, პირველსა და მეორე პირში ერგატივია გარდაუვალ ზმნებთანაც კი. საერთოდ, ერგატიულობის მიხედვით სხვადასხვა ენებში გეჰქეს პირთა კლასობრივი ოპოზიცია: პირველი და მეორე უპირისპირდება მესამეს, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს მოაზროვნე სუბიექტის უმთავრეს როლს. ქართულში პირველ და მეორე პირთა ნაცველსახელების უბრუნელობა გარკვეული თვალსაზრისით ამ ჯგუფთან აახლოვებს ქართულს.
2. ენები, სადაც პერფექტულობის მიხედვით გეჰქეს მოცემული ერგატიულობა (ინდოირანული). ამ მოდელს იზიარებს ქართულიც.
3. ენები, სადაც აღინიშნება ინტრანზიტული სუბიექტის აგენსობა (დაკოტა). აქ აქტიურ გარდაუვალ ზმნათა სუბიექტი (მაგ. მირბის) არის გარდამავალი ზმნის ბრუნვაში, ხოლო სემანტიკურად პასიური ზმნების სუბიექტი (მაგ. წევს, ზის) არის ტრანზიტული ზმნის ობიექტის ბრუნვაში.

ამ მხრივ, ტიპოლოგიურად საინტერესო იქნებოდა მეგრულში მეორე სერიაში გარდაუვალ ზმნებში ერგატივის გაფორმების დიაქრონიული სურათი. სავარაუდოა და ლოგიკურიცაა, რომ ერგატივი აქ უპირველესად ასეთი ტიპის აქტიური მოქმედების ზმნებთან გეჰქონდეს მიღებული. დასანანია, რომ არ მოგვეპოვება სათანადო წერილობითი საკვლევი მასალა. (თუმცა სისტემათა რეკონსტრუქცია ფორმალური მოდელებიდანაც მარტივად ხერხდება.) ამავე ჯგუფში შევა ქართულიც თავისი მედიოაქტივით.

უაღრესად საინტერესო და მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ქართველური ენები ამ კლასიფიკაციის ყველა ვარიანტს იძლევა. ამდენად, ეს კლასიფიკაცია, თუნდაც მხოლოდ ქართული ენის მაგალითზე, ვერ ჩაითვლება სრულყოფილად. ქართული ენა შევა მეორე და მესამე ჯგუფებში. კომბინირებულ ჯგუფთა ამგვარი ტიპები კი ამ კლასიფიკაციას არ გააჩნია.

ქართულში მედიოაქტიურ ზმანათა დიდ ნაწილს აქვს ეინ კატეგორიის სუბიექტი, რაც თავისთავად ბადებს ერგატივის გამოყენების საფუძველს. საგულისხმოა ისიც, რომ პირდაპირ ზმანათა დიდ ნაწილს, რომელთაც სუბიექტი ერგატიულ ბრუნვაში აქვთ დადასტურებული ან ნაგულისხმები (მაგ. იწვიმა, ითოვა, წვიმამ გადაიღო, ცამ გაიღვა, ცამ იქუხა და ა. შ.), აღენიშნებათ მოაზრონე სუბიექტის კატეგორია. ეს შეიძლება, იყოს ეინ კატეგორიაზე სემანტიკურად მაღალი რანგის კატეგორია, ანუ უზენაესი არსი მისი სხვადასხვაგვარი მორფო-სემანტიური გამოვლინებით. ადამიანისა და უზენაესის სემანტიკური კატეგორიები ერთ ჯგუფად მოიაზრება. სხვათა შორის, ჯერ კიდევ მრავალი საუკუნით ადრე ასეთივე აზრს გამოთქვამდა ავიცენაც თავის ფილოსოფიურ შრომაში “ტრაქტატი სიყვარულზე” (ს. სერებრიაკოვი, 1976, გვ. 8). იგი კლას-კატეგორიებად დაყოფისას განასხვავებდა ნივთთა, მცენარეთა და ცხოველთა კლასებს. ხოლო ადამიანსა და ღვთაებრივ ძალთა სუბსტანციებს კი ერთ ჯგუფში აერთიანებდა.

ე. წ. პრედიკატის არგუმენტების, ანუ ზმნურ მოქმედებაში ჩართული აქტანტების მორფო-სემანტიკიდან გამომდინარე, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ძირითადია ერგატიულობისა და დესტინაციის დიათეზა, როგორც პირდაპირი და ირიბი ობიექტების ფუნქციონალურ-ფორმალური ოპოზიცია. ირიბი ობიექტი მთელი თავისი მრავალფეროვნებით ჩაითვლება დესტინატად, ერგატიულობის მოვლენა კი დაუკავშირდება პირდაპირ ობიექტს. ასეთი მორფო-სემანტიური მიდგომა საეხებით გასაგებია, მით უფრო, რომ გარდამავლობა არც არსებობს, როგორც მორფოლოგიური კატეგორია. მას არ გააჩნია კატეგორიის მორფოლოგიური რეფერენტები. იგი, როგორც სემანტიკური კატეგორია, მიბმულია პირდაპირ ობიექტზე და მის მორფო-სემანტიკაშია ასახული (შდრ. ზმნურ დესტინაციას აქვს ცალკე თავისი მარკერები და ირიბ ობიექტსაც დამოუკიდებლად აქვს მისი კუთვნილი რეფერენტები). ირიბ მიმართებას შედარებით მყარი მორფოლოგია გააჩნია.

საყურადღებოა, რომ მრავალი მეკლევარის აზრით, ბასკური ზმნის ძირითადი დიათეზა ერგატიული და ნომინატიური კონსტრუქციის არსში მდგომარეობს, ანუ გვაქვს ზმანათა ორი კლასი:

1. ზმნები, რომელთაც სუბიექტი შეესაბამებათ სახელობითში ან პარტიტივში;

## 2. ზმნები, რომელთაც სუბიექტი შეესაბამებათ ერგატიეში.

თუ გაეითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ აგენსი და დატიური კონსტრუქციის აქტანტი ანუ ირიბი ობიექტი ბასკურ ზმნაში იდენტური მარკირებითაა აღნიშნული, ნათელი გახდება ოპოზიცია: ერთი მხრივ, სახელობითი და გენეტივი (პარტიტივი როგორც გენეტივის ნაირსახეობა) და მეორე მხრივ, ერგატივი და დატივი. ბასკურში დატივის ასეთი სიახლოვე ერგატივთან მოგვეგონებს ქართული გარდამავალი ზმნის დატიურ კონსტრუქციას მესამე სერიაში.

პარტიტივის გამოყენება სუბიექტის ბრუნვად უარყოფით ფორმებთან არც სხვა ენებისათვისაა უცხო, მაგალითად, რუსულში გვაქვს სუბიექტის ნომინატიურ-გენეტიური ოპოზიცია წართქმით და უკუთქმით ფორმებში: *стой стой - не стой*.

დამოუკიდებელი პასივი ბასკურს არ გააჩნია. ბასკური ენის მონაცემები კიდევ ერთხელ ნათელყოფს, რომ პოლიპერსონალურ ენათა ძირითადი გრამატიკული მოვლენებია დესტინაცია და ერგატიულობა. სურათი ასეთა: დესტინაცია მოითხოვს ირიბ ობიექტს და ერგატიულობა მოითხოვს პირდაპირ ობიექტს. ამიტომაც ამ კატეგორიათა მორფოლოგია იმთავითვე გულისხმობს პოლიპერსონალური ზმნის სისტემების არსებობას. აქ მნიშვნელოვანია ვინ-რა კატეგორიის დისტრიბუცია. თუმცა სრულიად უსამართლოდ მეკლევართა დიდ ნაწილს ეს მოვლენა მეორეხარისხოვნად მიაჩნია ამ საკითხების კვლევისას. რიგი გრამატიკული მოვლენები: დესტინაცია, ერგატიულობა, მოქმედების აქტივობის ხარისხი, პოსესიურობა, ადრესატობა, ტრანზიტულობა და მისთ. პირდაპირ უშუალო კავშირშია კლასის კატეგორიასთან.

არის ორი შესაძლებელი ვარიანტი:

1. ჯერ გვექონდა წმინდა ერგატიული წყობა და მერე მივიღეთ ნაწილობრივი ერგატიულობის დღევანდელი სურათი ქართველურ ენებში.
2. პირველადი იყო ნაწილობრივი ერგატიულობა და ზმნურ სტრუქტურათა და სინტაქსურ კონსტრუქციათა პარალელურ განვითარებას ჰქონდა ადგილი.

სამწუხაროდ, ამ საკითხზე ვერ მოხერხდება ქართველურ ენათა ემპირიულ მასალაზე დაყრდნობით დიაქრონიული დასკვნების გაკეთება, რადგანაც სევანური და ზანური ფაქტობრივად უმწერლობო ენებია.

შესაძლოა, ქართველური ენებისათვის ამოსავალი იყო წმინდა ერგატიულობა. ამიტომაც იგი შენარჩუნებული ქართულის ორიოდ

ზმნაში (იცის, უწყის) და ზანურის აწმყოსა და თურმეობითებში და ამავე მიზეზითაა აწმყოსა და თურმეობითებში ერგატიული სუფიქსი პირველსა და მეორე პირებში მეგრულის ზმნებში.

ნაცნობი კითხვა: რომელია პირველადი მონადირემ მოკლა ირემი თუ ირემი მოიკლა მონადირის მიერ? ვფიქრობთ, რომ ეს თანაბარფარდი ოდენობებია, მნიშვნელოვანი იყო ფაქტი – ზმნა. მიდგომა შეიძლებოდა ყოფილიყო სხვადასხვაგვარი. თუ ინტერესს წარმოადგენს მოქმედი, მაშინ მონადირეა მთავარი. როცა არ გვაინტერესებს, თუ ვინ ჩაიღინა ესა თუ ის კონკრეტული მოქმედება და გვაინტერესებს მხოლოდ – რა გეაქვს მოკლული, მაშინ ირემია მთავარი. ასე რომ, ნომინატიურმა და ერგატიულმა კონსტრუქციებმა სავარაუდოა, რომ დიაქრონიულად პარალელური განვითარების ტიპოლოგია გვიჩვენოს. არ არის გამორიცხვული, რომ სწორედ ადამიანი-ნიეთის კატეგორიის დიათეზა დაედო საფუძველად ამ კონსტრუქციებს.

თუკი მივიჩინეთ, რომ ამოსავალი არის ზმნა-აქტი, აქედან გამომდინარე, შესაძლოა, უკვე ვისაუბროთ ზმნის პირველადობაზე. თუმცა, ჩვენ ვფიქრობთ, რომ რეალური მორფოლოგიური ზღვარი ზმნასა და სახელს შორის შედარებით გვიანდელი მოვლენაა და ეს უმთავრესად განაპირობებს საბოლოო პასუხის სირთულეს ამ მარადიულ კითხვაზე – რომელია პირველადი ზმნა თუ სახელი?

საბოლოოდ რაში მდგომარეობს ერგატიული პრობლემის არსი? – მხოლოდ იმაში, რომ ასეთი სისტემა შესაბამისობაში არაა ინდოევროპულ ნომინატიურ სისტემასთან. მართლაც, ერგატიულობის საყოველთაო პრობლემის არსი მდგომარეობს იმაში, რომ გარდამავალი ზმნის სუბიექტი არ არის ინდოევროპულ სისტემათათვის მისაღებ, ანუ ნაცნობ ნომინატიურ ბრუნვაში და ერგატივი აღიქმება ირიბ ბრუნვად. დიდი ენათმეცნიერი არნოლდ ჩიქობავა უზუსტეს პასუხს პოულობს ამ კითხვაზე გასულ საუკუნეში. არანაირი პასიურობა ან აქტიურობა რეალურად არაა კავშირში ერგატიულობასთან. ეს არის გარდამავალი ზმნის სუბიექტის მორფოლოგიური კატეგორია, რომელიც სხვადასხვა ენებში მოსალოდნელ მრავალფეროვნებას ავლენს ისევე, როგორც სხვა მორფო-სინტაქსური და მორფო-სემანტიური კატეგორიები. რაც შეეხება პირდაპირი ობიექტის ნომინატიურ ბრუნვას, რაც ერგატივთან ერთად ქმნის ამ ე. წ. ერგატიულობის პრობლემას, უნდა ითქვას, რომ აქ პასუხი მარტივია. პოლოკერსონალურ სტრუქტურებში პირდაპირი ობიექტი არის საკონვერსიო სუბიექტი და ამდენად, იგი ბუნებრივია, არის ნომინატივში.

ის ფაქტი, რომ აქ გვართა ურთიერთობის საკითხი დგება, ერთი შეხედვით, პასიურობის თეორიას წამოწვევს. ჩვენ გვინდა, ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ აქ ძირითადი საკითხი ეხება სუბიექტის ვინ-რა კატეგორიის დისტრიბუციას. ვინ-მოაზროვნე სუბიექტი არის ერგატივეში და რა-საკონვერსიო სუბიექტი არის ნომინატივეში. შეგვიძლია, უფრო მარტივი გამოსავალიც მოვნახოთ – გადავწიოთ ტერმინი “აბსოლუტური ბრუნვა” და იქ გავაერთიანოთ ვინ-კატეგორიის ბრუნვები ან ვისაუბროთ ამოსავალ გაუდიფერენცირებულ ფორმებზე, რაც ტიპოლოგიურად უნივერსალური იქნებოდა და საერთოდ მოხსნიდა პრობლემას. უადრესად მნიშვნელოვანია ის, რომ ერგატიული კონსტრუქციის ენებში ერგატივი ირიბ ბრუნვად ვერ ჩაითვლება და ამდენად, მთლიანად იცვლება საკითხისადმი მიდგომაც. თუკი პირდაპირი ბრუნვა სუბიექტის ბრუნვაა, მაშინ ცხადია, მოთხრობითი პირდაპირი ბრუნვა იქნება. ე. ი. პირდაპირი ბრუნვებია: ნომინატივი და ერგატივი. პარტიტივისაგან განსხვავებით, (რომელიც მხოლოდ უარყოფით ფორმებშია სუბიექტის ბრუნვა) ერგატივი მხოლოდ სუბიექტის ბრუნვაა.

“თუ ამოვალთ აქტიურ-ინაქტიურ და ტრანზიტულ-ინტრანზიტულ დაპირისპირებათა დიაქრონიული ჯაჭვიდან, როგორც ეს ენათა აქტიურობის თეორიაშია... უნდა ვიფიქროთ, რომ ქართულ ზმნაში პირდაპირი ობიექტის აღნიშვნა წინ უსწრებს ირიბი ობიექტის მარკირებას; ხსენებული თეორიით პირდაპირი ობიექტის შემოყვანა ზმნის ფორმაში ხდება ტრანზიტულობის ჩამოყალიბების პერიოდში. ამ საფეხურზე ირიბი ობიექტისათვის ზმნაში როლი არა ჩანს, არსებითია სუბიექტი და პაციენსი, რომელთა განსხვავებულმა მარკირებამ ჩამოაყალიბა ნომინატიური და ერგატიული კონსტრუქციები.

ირიბი ობიექტის – ბენეფაქტიური აქტანტის გაჩენა დაკავშირებულია პირდაპირი ობიექტისა და შედარებით გვიან სუბიექტის განკუთვნებასთან – დიათეზასთან, რომლისგანაც ქართულ ენაში ჩამოყალიბდა ქცევის კატეგორია”. - წერს თ. უთურგაიძე (თ. უთურგაიძე, 2002, გვ. 43). ჩვენი აზრით, უფრო დასაშვებია ერგატიულობსა და დესტინაციის თანადროული (ან მცირედი დროითი სხვაობით) გაფორმება, თუმცა რთულია და თითქმის შეუძლებელიც სათანადო მასალით ამა თუ იმ მოსაზრების დადასტურება ან უარყოფა. “ზმნაში პირდაპირი ობიექტის, როგორც კატეგორიის შესვლა წინ უსწრებს ირიბი ობიექტის შესვლას. ენობრივი ლოგიკითაც ბენეფაქტიური აქტანტი ვერ გაჩნდება პაციენსის არსებობის გარეშე” (თ. უთურგაიძე,



2002, გვ. 43). – რატომ ვერ განხდება? ხომ გვაქვს ორპირიანი გარდაუვალი ფორმები?

გაკეთება რამისა (ვინმესთვის), გაკეთება ვინმესთვის (რამისა) და გაკეთება ვინმესთვის რამისა - თანაბარფარდი ოდენობებია. აქაც მუშაობს დომინანტი კატეგორიის იგივე ლოგიკა – რა იყო უფრო მნიშვნელოვანი, ამის მიხედვით ლაგდება კატეგორიათა რანგები ზმნურ მიკროსინტაქსშიც და წინადადებაშიც. თუ ნომინატიურ-ერგატიულ ოპოზიციაში ერთი მეორეს გამორიცხავდა, აქ სხვაგვარი დამოკიდებულება გვაქვს და შესაძლოა, ორივე ერთდროულად გექონდეს პირდაპირიც და ირიბიც, ხოლო მათ შორის უპირატესობა კონკრეტული მოთხოვნით აიხსნება კონკრეტულ ფორმაში.

რაც შეეხება პირის ნიშნებს, ერთმანეთს ემთხვევა პირდაპირი და ირიბი – აქ სურათი ნათელია: პირველი და მეორე პირები ზმნის პირთა ცნობილ კომბინაციაში, რომელიც ე. წ. უმცირესი აქტანტის უპირატესობით განისაზღვრება, გარკვეული აკრძალვით სარგებლობენ, ამიტომ ასეთ ფორმებში დამთხვევა არ ხდება. რაც შეეხება მესამე პირს, შესაძლოა, პირდაპირ ობიექტსაც ჰქონდა ნიშანი, თუმცა პარადიგმაში არამარკირებული ერთეული მარკირებულთან შესაბამისობაში სავსებით სრულფასოვანი წვევრია გრამატიკული ოპოზიციისა. თუ პირდაპირ ობიექტს ჰქონდა ნიშანი (რაც გარკვეულ კელავას მოითხოვს თავისთავად), მისი პირველადობა მაინც საეჭვოა.

ნათელია, რომ მესამე ობიექტური პირის ნიშნები ემთხვევა მეორე სუბიექტური პირის ნიშნებს, ეს ფაქტი კი უდავო უპირატესობას ირიბ ობიექტს ანიჭებს კლასის კატეგორიის ნიშნით. რას უნდა გამოეწვიო პირდაპირი ობიექტის პირველადი, კანონიერი ნიშნების გაქრობა? ეს, რა თქმა უნდა, ვერ აიხსნება მხოლოდ ფონეტიკური პროცესებით, რადგანაც იგივე სიტუაციაა ირიბი ობიექტური პირის შემთხვევაში. ქართულში არ მომხდარა გარდამავლობის, როგორც კატეგორიის გადაფასება ან დაკნინება, ე. ი. პირდაპირი ობიექტის III პირის ნიშანთა გაქრობის სემანტიკური ან მორფოლოგიური საფუძველი ქართული სალიტერატურო ენის განვითარებისას არ აღინიშნება. საერთოდ, მორფემათა გაქრობა ან გარკვეული ცვლილებანი შეიძლება, იყოს გამოწვეული ფონეტიკური, მორფოლოგიური ან უფრო ზოგადი – გრამატიკული ანუ მორფო-სინტაქსური ან მორფო-სემანტიკური ცვლილებებით ერთი კატეგორიის დონეზე ან კატეგორიათაშორის სიბრტყეზე, ან უფრო დიდ მოცულობაში: ენის იერარქიის დონეთაშორისი კატეგორიების ცვლილებებით. პირდაპირი ობიექტის III

პირის ნიშნთა გაქრობის შემთხვევამ უნდა მოქმედოს ახსნა ამ ტიპის ფორმულირებაში. უნდა ითქვას, რომ ქართული ზმნის ფორმალური სისტემა მოიაზრებს პირდაპირი ობიექტის მესამე პირის ნიშნის არსებობას. მით უფრო, რომ ძველ ქართულში პირდაპირი ობიექტის მრავლობითობა მკვეთრად გამოხატული მოვლენაა.

გარდამავლობა როგორც მორფოლოგიური კატეგორია ქართულში არ გამოიყოფა, რამდენადაც მას არ გააჩნია შესაბამისი რეფერენტები. (ასეთივე სიტუაციაა დროის კატეგორიასთან მიმართებაში). მართალია არსებობს მოსაზრება, რომ ა- პრეფიქსი არის გარდამავლობის ნიშანი ზოგ ფორმაში, მაგრამ არც სინქრონიულ და არც დიაქრონიულ დონეებზე არ გამოიყოფა ასეთი კონკრეტული მარკერი ქართულში, ანუ არა გვაქვს გარდამავლობის ა- , რომელიც განსხვავებული იქნებოდა, ეთქვამთ, ლოკალური ან კაუზატური ა- პრეფიქსებისაგან.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ გარდამავლობის, როგორც სემანტიკური კატეგორიის გადაფასება ქართულში არ მომხდარა, რადგანაც ყოველივე ის, რასაც ეს კატეგორია თავისთავში მოიცავდა, არსებითად უცვლელი დარჩა. მხედველობაში გვაქვს გვარისა და უღლების საკითხები. ერთადერთი რეალური ცვლილება იყო პირდაპირი ობიექტის რიცხვის გამომხატველი სუფიქსის დაკარგვა. თუმცა აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ენა ერთხანს ცდილობდა ამ მრავლობითობის მორფემის შემონახვას კონვერსიულ ფორმებში (დავიხატენით, გავიყარენით და ა. შ.). საზოგადოდ ზმნის პირთა დაკარგვა არა მარტო პირდაპირი ობიექტის ხვედრი შეიძლება იყოს. (რა თქმა უნდა, ერთობ საგულისხმოა მაგალითი - “ნუმცა ვინ ხრევს”). ჩვენი აზრით, ირიბმა ობიექტმა ზმნაში გამოსახვის უპირატესობა ვინ-კლასის პრიორიტეტით გაიმყარა. რადგანაც მესამე პირდაპირი პირი უმეტეს შემთხვევაში უსულო ნივთის კლასის საგანია. ქართველურ ენებში გვაქვს გარდაუვალი ანუ არატრანზიტული ერგატიულობა, მაშინ როდესაც დესტინაცია შედარებით კონკრეტულ და თანმიმდევრულ მოდელებს ქმნის ქართველურ ენებში.

ჩვენი ვარაუდით, ქართულში იყო პიროვან-კლასოვანი უღლება. “პირის მიხედვით უღლება და კლასის მიხედვით უღლება თავისთავად არ გამოირიცხავენ ერთმანეთს” (გ. დევეტერსი, 2002, გვ. 151). ქართული ზმნის პირველი და მეორე პირები პიროვანი უღლებით იყო გაფორმებული, რადგანაც აქ კლასი გარკვეული იყო. სავარაუდოდ, მესამე პირი კლასოვანი უღლებით იყო გაფორმებული და შესაბამისად, კლასის ეს რეფერენტი მესამე პირდაპირი პირისთვის იქნებოდა

უსულო, რაკლასის ფორმანტი, რომელიც გარკვეული მდგრადობით არ გამოირჩეოდა და ასევე იმუშავა ენობრივი ეკონომიის პრინციპმაც - სამგანზომილებიან მოდელში ორი მარკირებული წვერის გვერდით ერთი არამარკირებული წვერის არსებობა საესებით მისაღებია.

სავარაუდოა, რომ ობიექტური პირის ნიშნების საბოლოო ჩამოყალიბებას ერგატიულობისა და დესტინაციის ურთიერთმიმართებაც ედოს საფუძვლად.

ქართული ენის სისტემაში ვერსიის კატეგორიის პირველადობას ხაზს უსვამს მ. მაჭავარიანი. იგი წერს, რომ ერგატივიზაცია უფრო ახლოსაა თავისი ბუნებით ინვერსიასთან, ვიდრე კონვერსიასთან: "საფიქრებელია, პიროვანი უღელილების ჩამოყალიბებისას, ერგატიული კონსტრუქციის მქონე ზმნას (ან სახელზმნას) დართოდა პირის ნაცვალსახელოვანი პროკლიტიკები, თავდაპირველად მოსაუბრე პირების მიმართ მოქმედების სიშორე-სიახლოვის გამოსახატავად, შემდგომში კი შინაარსობლივი განვითარებით: მოქმედების ინტრო-ექსტროვერტიზაცია - სინტაქსური ბრუნვითი ფუნქციების დიფერენციაცია. აგენტური-ინაგენტური პირების ოპოზიციის მარკირებამ, ერთიანი უღელილების სისტემის ჩამოყალიბებამ დროის ღერძის გათვალისწინებით, პირის კატეგორიის განზოგადებამ, რამაც გაათავისუფლა პირი წმინდა ასპექტური ოპოზიციით განპირობებულობისაგან, გააერთმნიშვნელოვანა I და II სერიის კონსტრუქციები და ბიძგი მისცა ერგატიული კონსტრუქციის ნომინატიურისაკენ გადახრას" (მ. მაჭავარიანი, 1987, გვ. 123). ჩვენ საესებით ვეთანხმებით ამ მოსაზრებას. იმ მცირედი შესწორებით, რომ სასურველია, პროკლიტიკის ნაცვლად მინიმალური მორფოლოგიური სეგმენტი იქნეს განსაზღვრული, მით უფრო, რომ თავად ეს მკვლევარიც გამოყოფს და ცალ-ცალკე ახასიათებს თანხმონითი ნაწილისა და ხმონითი ნაწილის ფუნქციებს. ამ პროცესების შედეგად მოხდა ზმნური აქტანტების ბრუნვათა ფუნქციების შესაბამისი გადანაწილება ნომინატიურსა და ერგატიულ კონსტრუქციებში. საერთოდ, ერგატივიზაცია უფრო ახლოსაა თავისი ბუნებით ინვერსიასთან, ვიდრე კონვერსიასთან, რადგანაც აქ ხდება ირიბ ბრუნვაში დახმული აქტანტების აქტუალიზაცია და მისი ერთ-ერთი მნიშვნელობის წინ წამოწევა (მ. მაჭავარიანი, 1987, გვ. 86). ერგატივს მანის რიგთან დაახლოებულად მიიჩნევს მ. მაჭავარიანი. იგი წერს, რომ კლასოვანი უღელილების ენებში სწორედ მანის რიგის შესაბამისი ირიბი ბრუნვებია ერგატივის საზიარო, ის გამოხატავს მოქმედს და არა სამოქმედოს. ამიტომ ის "ვერ იქნება ნეიტრალური, ან მოქმედების

წყარო, ე. ი. ის ვერ გაუტოლდება სახელობით-წრფელობითს” (მ. მაჭავარიანი, 1987, გვ. 82). თუმცა მკვლევარი აქვე აღნიშნავს ქართული ენის თავისებურებას ამ მხრივ. ჩვენ ნაწილობრივ ვეთანხმებით ამ მოსაზრებას, მაგრამ სადავოდ მიგვაჩნია ერგატივის საზიარო ირიბ ბრუნვებზე საუბარი. ის გარემოება, რომ რიგ კავკასიურ ენებში ერგატივი, ისევე, როგორც გენეტივი, საფუძვლად დაედო სახელთა ფლექსიას, არ ნიშნავს მათ ფუნქციურ ერთობას. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს ერგატიულობისა და დესტინაციის გარკვეული სახის ურთიერთმიმართებას. მაგრამ არ ხდება გენეტივისა და ერგატივის გაერთმინებელიანება ამ თვალსაზრისით. ერგატივი, როგორც სუბიექტის ბრუნვა, საზიაროა ნომინატივთან და დატივთან, მაგრამ არა ირიბ ბრუნვებთან. უნდა აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევაში თავად დატივი საკმაოდ დაცილებულია ირიბი მიმართების ძირითად შინაარსს – სინქრონიულად იგი სუბიექტის ბრუნვაა.

თანდებულებიანი გენეტივი ერგატივისა და დესტინაციურ დატივის პარალელურად ერთნაირი წარმატებით ჩანაცვლებს სინტაქსში (რა თქმა უნდა, შესაბამისი თანდებულებით): დახატა კაცმა – დაიხატა კაცის მიერ, დაუხატა კაცს – დახატა კაცისთვის.

არტურ ჰოლმერმა ნაშრომში “იბერიულ-კავკასიური კავშირები ტიპოლოგიური ასპექტით” განიხილა ქართული და ბასკური ერგატიული სისტემები და ისინი შეადარა სხვა ერგატიულ ენათა მონაცემებს. ჩვენი აზრით, ჰოლმერის მიერ ჩატარებული ანალიზი ცოტა ზედაპირულად გამოიყურება. ავტორი საუბრობს ტიპოლოგიაზე და ფაქტობრივად კი ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერებისა და გენეტიური ლინგვისტიკის მეთოდებს იყენებს. იგი წერს, რომ “სინტაქსური ტიპოლოგია არ ცნობს მკაცრ დიქტომიას ერგატიულსა და ნომინატიურ ენათა შორის, მხოლოდ კონსტრუქციებზეა აქ საუბარი... ამდენად, მაშინ, როცა აკუზატიური ენები ერთიან, ჰომოგენურ სინტაქსურ წყობას გვიჩვენებენ, ერგატიული ენები პეტეროგენურ ჯგუფებს ქმნიან” (ა. ჰოლმერი, 2001, გვ. 13). სხვადასხვაობა ერგატიულ ენათა შორის უდავოა, მაგრამ სადავოდ გვეჩვენება ტერმინთა - “ჰომოგენური” და “პეტეროგენური” გამოყენება, როდესაც არსებობს იზომორფიზმი და ტიპოლოგიური მოდულების ცნება. ძალიან საინტერესოდ მიგვაჩნია ჰოლმერის დაკვირვება, რომ რომ ნომინატიურ-აკუზატიურ ენებში ერთადერთი ობლიგატორული არგუმენტი არის ქვემდებარე, ხოლო ერგატიულ ენებში ჩნდება სხვა არგუმენტიც – ობიექტი და სუბიექტი აღარ არის ერთადერთი და

პრივილეგირებული აქტანტი (ა. პოლმერი, 2001, გვ. 13-14). მეცნიერი ერგატიულობას უკავშირებს პოლიპერსონალიზმს. ჩვენ ვეთანხმებით პოლმერის დასკვნას, რომ პოლიპერსონალიზმი ერთგვარ ბიძგს აძლევს ერგატიულობას. როგორც ამ ნაშრომში წერს, ავტორი უახლოეს მომავალში აპირებს ენათა დიდი რაოდენობის გადამოწმებას საბოლოო დასკვნისთვის. ჩვენ სიამოვნებით გავეცნობით მის დაპირებულ წერილებს ამ თემაზე.

შეედი ქართველოლოგი კარინა ვამლინგი ნაშრომში “პრელიკატული კომპლიმენტები ქართულში” საუბრობს აგენტურ და არააგენტურ ზმნებზე და ამ კლასიფიკაციით განიხილავს რიგ მორფო-სინტაქსურ საკითხებს. მსგავსი მიდგომა კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ერგატიულობის დიდ მნიშვნელობას ქართული ენის მორფო-სინტაქსისათვის (კ. ვამლინგი, 1989).

ზოგ მკვლევარს მიაჩნია, რომ ქართული გარდამავალი ზმნის მეორე სერიაში ერგატიული კონსტრუქცია მეორეულია, რადგანაც ზმნაში ერგატიულობა არაა გამოხატული და მხოლოდ სინტაქსური ფორმით გვაქვს მოცემული, ზმნის პირის ნიშნები კი ერთანირადაა განაწილებული პირველსა და მეორე სერიაში (გ. ნებიერიძე, 1987; მ. სახოკია, 1985). ამ მოსაზრებას ზურგს უმაგრებს ისიც, რომ პრობლემაა საერთო ქართველურში ერგატივის ბრუნვის აღდგენა. (საერთოდ, მ. სახოკიას ერგატივი პასიურ-პოსესიური მოდელიდან წარმოქმნილად მიაჩნია.)

ჩვენ ვფიქრობთ, რომ მეგრულ ზმნებში ქ სუფიქსის ერგატიული არსის გამოვლენა ადასტურებს ქართველურ ზმნაში გამოხატულ ერგატიულობას. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ერგატიულობის ასეთი ტიპის ზმნური გამოხატვა ხდება აწმყოსა და თურმეობითებში.

ჩვენი ვარაუდით, პირველსა და მესამე სერიაში მოგვიანებით გაჩენილი თემის ნიშნები გარკვეული თვალსაზრისით ზმნური ერგატიულობის გამოხატულებად შეიძლება ჩაითვალოს. სხვათა შორის, თემის ნიშანთა გრამატიკული პოლიფუნქციონალიზმი (გვარისა და ასპექტის ფუნქციები) მხოლოდ ადასტურებს ამ მოსაზრებას. ის გარემოება, რომ გარდაუვალ ზმნებსაც გააჩნიათ თემის ნიშნები, ხაზს უსვამს აქტიური, მოაზროვნე სუბიექტის როლის პრიორიტეტულ მნიშვნელობას ტრანზიტულობასთან შედარებით ზმნური ერგატიულობის გამოხატვისას. ხოლო ზანურს აქვს ერგატიული სუფიქსი ქ ზმნებში (პირველსა და მესამე სერიაში) და აღარ სჭირდება თემის ნიშანთა მკვეთრი სისტემის ჩამოყალიბება. აქვე საგულისხმოა ისიც, რომ ეს – ქ ნიშანი ჩნდება პირველსა და მეორე პირებში გარდამავალ და გარდაუ-

ვალ ზმნებში. თუმცა გარდამავალ ზმნებს (უ)ნქ განსხვავებული ფორმანტი აქვთ. შესაბამისად ქართული ზმნებიც გარკვეულად განასხვავებენ გარდამავალსა და გარდაუვალ ფორმებს თემის ნიშანთა მიხედვით.

თემის ნიშანი გამოკვეთილად მონაწილეობს დინამიზაციის პროცესში. ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, ძირითადად აქტიური ანუ მოაზროვნე სუბიექტის კლასისთვის არს, დამახასიათებელი.

ჩვენი ვარაუდით, თემის ნიშნიანი (ზმნაში გამოხატული ერგატივით) ფორმები არის საოპოზიციო ცალეები მეორე სერიის უთემისნიშნო (სახელში გამოხატული ერგატივით) ფორმებისათვის. ე. ი. გარდამავალ, უფრო ზუსტად, მოაზროვნე სუბიექტის მქონე ზმნათა უღლების ფორმებში გვაქვს ერგატიული ოპოზიცია სახელური და ზმნური ფორმანტებით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ოპოზიცია ასეთია: ერთი მხრივ, სრული დროის ფორმებში გვაქვს ერგატიული ბრუნვით ან ერგატიული დატივით გაფორმებული კონსტრუქციები, მეორე მხრივ, თემის ნიშნებით (ზმნური ერგატივით) გაფორმებული დინამიკური, უსრული დროის ფორმები. უფრო ღრმად თუ დავაკვირდებით, აქ სამი ტიპის გამოყოფა შეიძლება. სავარაუდოდ, მესამე სერიაში თემის ნიშანთა არაობლივობა განპირობებულია, ერთი მხრივ, სრული დროის ფორმებით და მეორე მხრივ, სუბიექტის დატიური ბრუნვით. მესამე სერიაში გვაქვს ერგატიულობის ორმაგი გამოხატვა: სახელური - ერგატიული დატივითა და ზმნური - თემის ნიშნით.

ამრიგად, პირველ სერიაში გვაქვს ზმნური ერგატივი, მეორეში კლასიკური ფორმა გვაქვს ერგატიული ბრუნვით და სრული დროით, ხოლო მესამე სერიაში კი გვაქვს ამ პირველი ორის ვარიანტის ოდნავ სახეცვლილი (დატივი ერგატივის ნაცვლად) კომბინაცია.

თემის ნიშანთა მიერ ზმნური ერგატივის გამოხატვის იდეას აქვს დისტრიბუციული საფუძველი. რა თქმა უნდა, ისიც მნიშვნელოვანია, რომ თემის ნიშნები გარდამავლობის მიმართ ინდუფერენტული არ არის. ჩვენი აზრით, დასაშვებია ის ვარაუდი, რომ ერგატივის ზმნურ გამოხატულებად არა მხოლოდ პირის ნიშნები იყოს მიჩნეული. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ქართულში თემის ნიშანთა პოზიციათან დაკავშირებით ტიპოლოგიური პარალელისათვის საინტერესოა, რომ აგენსის ნიშნები ბასკურში ზმნას ბოლოში მოუდის.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს საკმაოდ დიდი თემაა და საკითხი შემდგომ კვლევას მოითხოვს. ამ ეტაპზე მხოლოდ საკითხის დასმითა და ვარაუდის გამოთქმით შემოვიფარგლებით.

რაც შეეხება ერგატივის ბრუნვის აღდგენას ს აერთო ქართვე-  
ლურში, მართალია, ვერ ხერხდება საერთო რეფერენტის გამოყოფა,  
მაგრამ სამაგიეროდ ნათელია საერთო სემანტიკურ-მორფოლოგიური  
ნიშანი, რაზეც ზემოთ ვისაუბრეთ.

ქართულ ენაში უფრო ფართოდ არის დესტინაციის სისტემა  
გაშლილი. სამაგიეროდ, ერგატიულობაა ნაწილობრივი. ბასკური კი  
წმინდა ერგატიული ენაა, სადაც დესტინაცია ერგატიულობასთან  
შედარებით სუსტადაა ასახული. ეს კი ნიშნავს იმას, რომ ქართული  
ენა უპირატესობას ანიჭებს ირიბი მიმართებების სემანტიკას, ხოლო  
ბასკური ენისთვის უფრო მნიშვნელოვანია ზმნის ტრანზიტულობა და  
პირდაპირი ობიექტის კატეგორიები.

1. ერგატიულ ენებში მკვეთრად გამოიჯნულია ერგტიულობა-ნომინა-  
ტიურობა და ეს გახლავთ ცენტრალური მოვლენა. ჩვენ ვფიქრობთ,  
რომ რადგანაც დესტინატის გამოხატვა სახელურ ფლექსიაში ყველგან  
დატივით ხდება, ანუ გვაქვს მყარი მორფოლოგია ამ თვალსაზრისით.  
ამასთანავე, ტრანზიტულობის მიმართ დესტინაცია ასახავს ზოგად  
მგრძნობიარობას, მაგრამ არსებითად ტრანზიტულობა არ ცვლის  
დესტინაციის კატეგორიის მორფო-სემანტიკასა და სინტაქსს, გვაქვს  
ერგატიული და არაერგატიული დესტინაცია. ყოველივე აქედან  
გამომდინარე, დესტინაციის გრადაცია შეგვიძლია ერთ-ერთ ძირითად  
ენობრივ მოვლენად მივიჩნიოთ. უფრო კონკრეტულად: ერგატიუ-  
ლობისათვის პირდაპირი ობიექტის კატეგორიაა მნიშვნელოვანი და  
დესტინაციისათვის კი – ირიბი მიმართება. ამ ორს შორის უპი-  
რატესობაზე კამათი სხვადასხვა მიმართულებით შეიძლება  
წარიმართოს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ერგატიული კონსტრუქციის პოლი-  
პერსონალურ ენებში, სადაც პირდაპირი ობიექტის ძირითადი  
სემანტიკა და ლინგვისტური არსი უკვე ასახულია ერგატიულობაში  
(და ეს, რა თქმა უნდა, ძალზე მნიშვნელოვანია ყოველი კონკრეტული  
ენისათვის), აქ დესტინაციის გრადაცია შეიძლება მივიჩნიოთ ზმნურ  
აქტანტთა ურთიერთობების უნმიშვნელოვანეს ფორმად. ფაქტია, რომ  
ქართველურ ენებს არა აქვთ ცალსახა მიდგომა ერგატიულობისა და  
გარდამავლობის კატეგორიათა მიმართ. გვაქვს გარდაუვალი ანუ  
არატრანზიტული ერგატიულობა, მაშინ როდესაც დესტინაცია შედა-  
რებით კონკრეტულ და თანმიმდევრულ მოდელებს ქმნის ქართველურ  
ენებში. ეს ყოველივე გახდა ჩვენთვის ირიბ მიმართებათა უპირა-  
ტესობის აღნიშვნის საბაზი.

## დესტინაცია და ზმნის პოლიპერსონალიზმი

ცნობილია, რომ იქ სადაც მდიდარია ზმნური მორფოლოგია, ნაკლები საჭიროებაა რიგი სხვა ტიპის კატეგორიების არსებობისა. პოლიპერსონალური ზმნა და ბრუნვათა სისტემა ათაეისუფლებს სიტყვათა რიგს წინადადებაში. განსახილველი კატეგორიის შემთხვევაშიც, ზმნაში გამოხატული დესტინაცია აღარ მოითხოვს სხვა ტიპის მორფო-სინტაქსურ ფორმებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ბასკური ზმნა პოლიპერსონალურია. ქართულისაგან განსხვავებით, ბასკურ ზმნაში ყოველთვის რეფერენცირდება ნებისმიერი ზმნური აქტანტი. ქართულში გვაქვს მორფოლოგიურად არა-რეფერენცირებული პირები ან, უფრო ზუსტად, ნაწილობრივი რეფერენცირების მქონე პირები. ბასკურ ზმნას ასეთი რამ არ გააჩნია. საერთოდ, საგულისხმოა, რომ ბასკური ენა გარკვეული პრინციპული თანმიმდევრულობით გამოირჩევა რიგი მორფოლოგიური კატეგორიების გამოხატვისას, როგორცაა პირიანობა, ერგატიულობა, მრავლობითობა და სხვ. რიგ შემთხვევებში მას ახასიათებს ამა თუ იმ კატეგორიის ორმაგი გამოხატვაც. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქართულისაგან განსხვავებით, ბასკურში ყველა ზმნური პირი რეფერენცირდება და არანაირი სხვაობა ამ მხრივ არ აღინიშნება უღლების სხვადასხვა ფორმაში.

ქართულ ზმნაში ხდება პირის რეფერენტთა შეხვედრა პრეფიქსულ პოზიციაში, რაც სათავეს უდებს უამრავ განსხვავებულ მოსაზრებას ამ თემაზე.

თანამედროვე ქართულ ენთამეცნიერებაში არსებობს მოსაზრება, რომ ზმნის პირიანობა არის მორფოლოგიური კატეგორია და იგულისხმება მხოლოდ ზმნაში რეფერენცირებული პირები. “უხატავს” – ერთპირიანი ფორმაა, “მიხატავს” – ორპირიანი. ამავე თეორიის მიხედვით, ორივე ზმნა არის სამეაღენტიანი და ვალენტობა კი სინტაქსური მოვლენაა (თ. გამყრელიძე, 1979).

ნებისმიერი ლინგვისტური სიახლე მისაღებია, როცა ის შეესატყვისება ენის მორფოლოგიურ პარადიგმატიკასა და სინტაგმატიკას. ჩვენ ვფიქრობთ, რომ პირიანობისა და ვალენტობის საკითხი სერიოზულ დაზუსტებას მოითხოვს. ჩვენი აზრით, პირიანობა, როგორც მორფოლოგიური კატეგორია ზედმიწევნით კორექტული ანალიზით არის მოცემული ტრადიციულ გრამატიკაში. არ შეიძლება ქართულ ზმნაში ნულოვანი მარკირების მქონე ან საერთოდ არამარკირებული



პირები (Od. III) არ ჩაითვალოს პირიანობის შემადგენელ ელემენტებად. რადგან უღლების პარადიგმები პირიანობის სწორედ ასეთ გაგებას ემყარება და ამ პრინციპებზეა აგებული.

პირიანობის შემოთავაზებულ ახლებურ გააზრებას მრავალი წინააღმდეგობა ახლავს თან:

1. ამ თეორიის მიხედვით, “უშენებს” ერთპირიანი ზმნაა, “მიშენებს” – ორპირიანი. აქ მხოლოდ ირიბი ობიექტური პირი შეიცვალა. ერთი მწკრივის შიგნით პირის ცვლილებამ (ამ შემთხვევაში, ობიექტური პირის მიხედვით უღლებამ) არ უნდა გამოიწვიოს პირიანობის ცვლა. ე. ი. პარადიგმატიკა ამ თეორიას არ ადასტურებს.
2. ამ თეორიის მიხედვით, უპიროა ზმნები: წერ, ხატავ, გაიგე, დახატე და ა. შ. ეს კი, ცხადია, მიუღებელია.
3. ამ თეორიის მიხედვით, ირღვევა ზმნის წარმოქმნის კატეგორიათა სისტემა (გვარი, ქცევა, გარდამავლობა). “მიხატავს” გარდაუვალი ზმნაა, რადგანაც პირდაპირი პირი (O d. III) არ არის მარკირებული. ამ ლოგიკით გარდამავლობა პირების მიხედვით იქნება გამოხატული. “ხატავს” გარდაუვალია და “მიხატავს” გარდამავალი. ეს კი, რა თქმა უნდა, არალოგიკურია.
4. თუ ვაღენტობა სინტაქსური კატეგორიაა, მაშინ ვაღენტობის ცვლამ არ უნდა გამოიწვიოს მორფოლოგიური ცვლილებანი. ფორმა “ეასენებ” ერთპირიანი და ორვაღენტოიანი. “ეუშენებ” ერთპირიანი და სამვაღენტოიანი. ფაქტობრივად, გავზარდეთ ვაღენტობა და მივიღეთ ქცევის სხვა მორფოლოგიური ფორმა. სინტაქსური კატეგორიების ამგვარი ზემოქმედება მორფოლოგიურ კატეგორიებზე გამორიცხულია.
5. დასაზუსტებელია ტერმინოლოგიაც. თუ ვაღენტობას მივიჩნევთ სინტაქსურ კატეგორიად, მაშინ უნდა ვისაუბროთ პრედიკატის ვაღენტობაზე და არა ზმნის ვაღენტობაზე. ე. ი. გვექნება ზმნის პირიანობა და შესაბამისად, სინტაქსში - პრედიკატის ვაღენტობა.
6. მიუღებელია ცალკე აღებული ზმნის ფორმის სინტაქსური ანალიზი ვაღენტობის თვალსაზრისით. ისევე როგორც “კაცი” არ არის არც ქვემდებარე, არც დამატება და არც შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი და, საერთოდ, ის ცალკე აღებული ანუ წინადადების გარეშე ვერ იქნება ვერანაირი სინტაქსური ერთეული და ვერც ვერანაირი სინტაქსური კატეგორიის მატარებელი. ამდენად, ცალკე პირიანი ზმნა ნულოვანი ვაღენტობისაა (და არა ნულვაღენტოიანი “წვიმს” – როგორც ეს გააზრებულია. ეს

სხვადასხვა ტერმინებია.) საერთოდ, ნათელი ჭეშმარიტებაა ის, რომ წინადადების გარეშე სინტაქსი არ არსებობს.

7. თუ პირიანობას მხოლოდ რეფერენცირებული პირებით განვსაზღვრავთ, დაეიცვათ იგივე პრინციპი სინტაქსშიც. მაშინ ვალენტობა განისაზღვრება კონკრეტულ წინადადებაში გამოსახული, ანუ რეალიზებული აქტანტების რაოდენობით. ძალიან ხშირად გასაგები მიზეზების გამო პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელები წინადადებაში გამოტოვებულია და იგულისხმება. “ეუშენებ სახლს მეზობელს” – ასეთ შემთხვევაში “ეუშენებ” უნდა გავიაზროთ ორვალენტიან პრედიკატად და არა სამვალენტიან ზმნად, რადგანაც ვალენტობის გამომხატველი მესამე აქტანტი წინადადებაში არ არის, ანუ არ ხდება მისი რეფერენცირება. მორფოლოგიურ პირიანობას ვერ მოაკლდება არამარკირებული აქტანტები და მათი სემანტიკა, ხოლო სინტაქსურ ვალენტობას უფრო შეიძლება მოაკლდეს.
8. ამ თეორიით აუხსნელი რჩება ინვერსიული ზმნების საკითხი. ორპირიანი და ორვალენტიანია ზმნები “მეძინება”, “მძინავს”. ეს კი მთელ რიგ გაუგებრობებს წარმოქმნის.

როგორ გავიაზროთ პირიანობასა და ვალენტობის საკითხი? პლიუსით აღვნიშნოთ კატეგორიის რეფერენცირება და მინუსით არარეფერენცირება. თეორიულად არსებობს ოთხი მონაცემი:

A +, - პირიანობა (რეფერენცირებული და არარეფერენცირებული.)

B +, - ვალენტობა (რეფერენცირებული და არარეფერენცირებული.)

a + პირიანობა (რეფერენცირებული)

b + ვალენტობა (რეფერენცირებული)

A B a b მორფოსინტაქსური შესაბამისობა იძლევა ოთხ თეორიულ ვარიანტს:

A – B

A – b

a - B

a - b

აქედან ჩვენთვის მისაღებია A – B ან A – b

და არა a - B.


A – B დასაშვებია. ამ შემთხვევაში პირიანობის ტრადიციულ გაგებას სინტაქსურად გადმოგვცემს ვალენტობა. ეს აბსოლუტურად ლოგიკურია და ერთმანეთს დაემთხვევა ზმნის მორფოლოგიური პირიანობა და პრედიკატის სინტაქსური ვალენტობა.

A - b დასაშვებია, რადგანაც შეიძლება, რომ სიტყვა კონკრეტულ წინადადებაში გამოტოვებული იყოს. ასეთ შემთხვევაში ზმნის პირიანობა არ დაემთხვევა პრედიკატის სინტაქსურ ვალენტობას.  $A = b$  ან  $A > b$  ჩვენთვის უფრო მისაღებია, ვიდრე  $A - B$  ვარიანტი. (ე. ი. არარეფერენცირებული აქტანტების ჩათვლით ენის იერარქიის ორივე დონეზე). ასეთ შემთხვევაში ხშირად  $A < B$ .

ინდოევროპული ენათმეცნიერების მიბაძვით ხშირად ინფინიტიური ფორმა განიხილება, როგორც ამოსავალი. მართალია, არსებობს ლოგიკურ-სემანტიკურად გარდამავალი ზმნები, მაგალითად “წერა”, “კეთება” და ა. შ. თუმცა “ეწერ” და “იწერება” სულაც არაა ერთი და იგივე სემანტიკურად. ამდენად, ამოსავალი ვერ იქნება “წერა” ინფინიტივი. ადრესატის უგულვებელყოფა კონკრეტული ფორმის სემანტიკისათვის სრულიად მიუღებელია. “უხატაე” და “ეხატაე” სხვადასხვა მორფო-სემანტიკური ღირებულების ფორმებია. დამოუკიდებელი სემანტიკა არ არსებობს ფორმისათვის. ისევე, როგორც არ არსებობს დამოუკიდებელი სინტაქსი მორფო-სინტაქსის გარეშე.

ინდოევროპული ენების დონეზე და, საერთოდ, ტიპოლოგიური კელევისათვის (აგრეთვე პოლიპერსონალური ენების შესწავლის თვალსაზრისითაც) საკმაოდ ღირებულია ვალენტობისა და ადგილიანობის ცნებები.

### ლოგიკურ-სემანტიკური პერსონალიზმი



K1 - L1 - M1

N K2 - L2 - M2


K3 - L3 - M3 და ა. შ.

თუკი მივიღებთ ზემოხსენებულ დებულებას  $A - B$ , მაშინ პოლიპერსონალურ ენებში  $K=L=M$  იქნება. კონკრეტული ფორმისათვის მონოპერსონალურ ენებში იქნება  $K = L$  ან  $K < L$ ,  $L = M$ ,  $L < M$ .

მორფოლოგიური პირიანობის ახლებური გააზრებით არის ორი ვარიანტი  $K = L$  და  $K < L$ , ეს უკანასკნელი კი მიუღებელია ქართული ენის მორფო-სინტაქსური სტრუქტურისათვის.


ტრანზიტული ზმნები  $K$  ფიქსირებულია  $Ka$  პოლიპერსონალურ ენებში და არაფიქსირებულია მონოპერსონალურ ენებში  $Kb$ .  $L$  უფრო ფართო სპექტრია და მეტად ღირებულია ტიპოლოგიისათვის. პოლიპერსონალური ენების  $K M$  განსხვავებულია მონოპერსონალური სტრუქტურისაგან.

თ. გამყრელიძის ნაშრომში “ზმნის “პირიანობა” და “ვალენტობა” ვალენტობა სინტაქსურ კატეგორიად მოიხსენიება, მაგრამ პრაქტიკულად გააიზრება მორფოლოგიურ კატეგორიად. როგორც თავად ავტორი აღნიშნავს, აქ ტერმინია გადაწეული და ფაქტობრივად ეს არის პირიანობის ტრადიციული გაგება. იგი საუბრობს ზმნის (და არა პრედიკატის) ვალენტობაზე. აქ სიახლე არსებითად მორფოლოგიაშია შემოთავაზებული, რაც სადავოდ მიგვაჩნია, მიუხედავად ჩვენი ღრმა პატივისცემისა ამ მეცნიერის მიმართ. სქემატურად რომ წარმოვიდგინოთ, თ. გამყრელიძის მიხედვით, სიტუაცია ასე გამოიყურება:



(+ -რეფერენცირებული აქტანტია, - კი - არარეფერენცირებული)

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ენის სხვადასხვა იარუსზე სიტუაცია გამოიყურება შემდეგნაირად:



ტერმინი ადგილიანობა პირველად ხოლოდოვიჩმა გამოიყენა (ა. ხოლოდოვიჩი, 1979). ქართულ ენათმეცნიერებაში ამ ტერმინის გამოყენება რ. ასათიანმა შემოგვთავაზა (რ. ასათიანი, 1994). ჩვენ ვფიქრობთ, რომ

ეს ტერმინი ხელსაყრელია და საბოლოოდ შესაძლებელი ხდება ამ მოვლენის სახელდება ენის იერარქიის სხვადასხვა დონეზე.

რ. ასათიანის “ქართველურ ენათა საკითხები” ნამდვილად საინტერესო წიგნია, თუმცა ანალიზისას აქაც არაა ენის დონეები ჯერონიმად გამოიჯნული. ლოგიკურ-სემანტიკური არ ნიშნავს სემანტიკურს. ვეთანხმებით თ. გამყრელიძეს, რომელიც თელის, რომ ეს არის უნივერსალური. თუ ინფინიტიური ფორმებით განვიხილავთ სემანტიკურ დონეს, მაშინ გამოვა, რომ “იხატება” და “ეხატავ” ერთი სემანტიკური ველის სიტყვებია (“ხატვა”), რაც ცხადია, არაა სწორი. სიტყვას ერთდროულად გააჩნია რამდენიმე დონე: ფონოლოგიური, მორფოლოგიური და ლექსიკურ-სემანტიკური, მაგრამ არა სინტაქსური. რადგანაც სინტაქსი არ არსებობს წინადადების გარეშე. რაც შეეხება ლოგიკურ-სემანტიკურს, ეს არის ენის იერარქიის სემანტიკური დონე. N ფორმას გააჩნია კონკრეტული მორფო-სემანტიკა. აქ სხვა აქტანტთა შორის აუცილებელად გასათვალისწინებელია ადრესატიც – O ind, ან უფრო ფართო ცნებით, დესტინატი.

ამდენად, ქართულ ენაში ვალენტობის ცნების გააზრება ინდო-ევროპული მოდელის მიხედვით შეცდომა იქნებოდა. ტიპოლოგიური კვლევისათვის ღირებული იქნება, რომ ვალენტობა მიჩნეული იყოს არა სინტაქსურ, არამედ სემანტიკურ კატეგორიად. მაშინ ვალენტობის მორფო-სემანტიკა, შესაბამისად, განსხვავებულად აისახება მონოპერსონალურ და პოლიპერსონალურ ენებში.





თუ ვალენტობას გაეიზრებთ სემანტიკურ კატეგორიად (როგორც ადგილიანობაა მიჩნეული), შესაბამისად, შეგვეძლება უნივერსალური ერთეულების გამოყოფაც. კერძოდ, აბსოლუტური ლინგვისტური უნივერსალია იქნება შემდეგი – ყველა ენაში არსებობს განსხვავებული ვალენტობის ზმნები და ამ სხვაობათა რეალიზება კი კერძო გრამატიკათა პრობლემებია.

საჭიროა სპეციალტთა საბოლოო შეთანხმება იმაზე, თუ რა ტერმინით განისაზღვრება პოლიპერსონალიზმი ენის იერარქიის სხვადასხვა დონეზე.

## ზმნური დესტინაცია

პოლიპერსონალური ზმნის მქონე ენებში ზმნა თავისთავაზე იღებს დიდ დატვირთვას. შესაბამისად, ძირითადი სემანტიკური და მორფოლოგიური კატეგორიები აუცილებლად აისახება ასეთ მდიდარ ზმნურ მორფოლოგიაში.

ზმნური დესტინაციის ზოგადი მოდელები:

1. S 
2. S 
3. S 
4. S 

(აქ S არის სუბიექტი, O არის ობიექტი და Ø არის ნული.)

თანამედროვე ქართულში აღინიშნება პირველი მოდელის არსებობა. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ისტორიულად ქართული ენის ზმნური დესტინაციის მოდელი იყო მეოთხე, რომელიც დღეს გვაქვს აფხაზურსა და ბასკურ ენებში. “ი” მორფემა ერთი კატეგორიის შიგნით, ცხადია, საოპოზიციო ცალების განმასხვავებელ ფორმანტად ვერ გამოდგებოდა. ერთმანეთს უპირისპირდებოდა ქცევიანი და უქცეო ფორმები, როგორც გ. ნებიერიძე და ვ. ბოედერი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად აღნიშნავენ, სათავისო ქცევა (რეფლექსივი) კერძო შემთხვევაა (გ. ნებიერიძე, 1976; ვ. ბოედერი, 1968).

ზმნური დესტინაციის კლასიფიკაცია ხდება საოპოზიციო წევრების მიხედვით:

1. დესტინატი პირის როგორობის მიხედვით,
2. დესტინატი პირის რომელობის მიხედვით.

ორივე შემთხვევაში საგულისხმოა სულიერობის სემანტიკის გათვალისწინება.

## ქართული ზმნის ვერსიის კატეგორიის ტიპოლოგიური ანალიზი

ქცევის კატეგორია ქართული ენის დესტინაციური სისტემის ძირითადი მორფოლოგიური კატეგორიაა, რომელსაც მრავალმა ქართველმა და უცხოელმა მეცნიერმა უძღვნა თავისი გამოკვლევა. ამ კატეგორიას სწავლობდნენ ნ. ჩუბინაშვილი, ს. ხუნდაძე, მ. ჯანაშვილი, ა. ქუთათელაძე, კ. დოდაშვილი, თ. ჟორდანიას, ნ. მარი, ა. შანიძე, ა. ჩიქობავა, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქ. ლომთათიძე, გ. როგავა, კ. შუხარდტი, გ. დეეტერსი, კ. ფოგტი, კ. ჩხენკელი, ბ. რუდენკო, ვ. ბოედერი, მ. მაჭავარიანი, გ. ნებიერიძე, ბ. ჯორბენაძე, ნ. სალაძე, თ. უთურგაიძე, დ. მელიქიშვილი, ი. მელიქიშვილი, ნ. მეტრეველი და სხვები (ა. შანიძე 1973; 1926; არნ. ჩიქობავა, 1950; ფ. ერთელიშვილი, 1965; ე. ბოედერი, 1968; კ. შუხარტი, 1950; გ. როგავა, 1942; თ. უთურგაიძე 2000; 2002; მ. მაჭავარიანი, 1987; ბ. ჯორბენაძე, 1975; 1983; ა. არაბული, 1984; ი. ქავთარაძე, 1956; რ.ასათიანი, 1987; შ. აფრიდონიძე, 2001; მ. დამენია, 2003; ი. იმნაიშვილი; გ. მაჭავარიანი, 1953; ი. მაჭავარიანი, 1980; დ. მელიქიშვილი, 2001; ი. მელიქიშვილი, 2003; გ. ნებიერიძე, 1976; ა. ონიანი, 1978; დ. ფხაკაძე, 1978; ი. ზიცარი, 1984; გ. კლიმოვი, 1978; ნ. მარი, 1925; მ. სახოკია, 1985; 247 ი. ტუსტელეცი, 1984; ა. ტიმბერლეიკი, 1982; გ. ფოგტი, 1972; ა. პარისი, 1981; რ. ლაფონი, 1971; ა. მარანცი, 1989; ნ. თულინი, 1991; კ. ვამლინგი, 1989).

ტრადიციულ ენათმეცნიერებაში მიღებულია ქცევის კატეგორიის ა. შანიძისეული განმარტება: “ სუბიექტური პირისა და ობიექტური პირის (ან ობიექტური პირების) გარდა, ქართულ ზმნას მოეპოვება აგრეთვე საშუალება გამოხატოს, რომ

ა) ობიექტი, რომელსაც ობიექტური პირი ეფარდება ფორმაში, არაეისი კუთვნილება არ არის და არც ვისთვისმეა დანიშნული; ან

ბ) ობიექტი მოქმედ პირს, ანუ სუბიექტურ პირს ეკუთვნის ან მისთვის არის განკუთვნილი; ან კიდევ

გ) ერთი ობიექტი მეორეს ეკუთვნის ან მისთვის არის განკუთვნილი.

მოძღვრებას ქართული ზმნის ამ საშუალებათა შესახებ ეწოდება საქცევი, ხოლო თითოეულ ფორმას კუთვნილება-დანიშნულების მიხედვით განსხვავებულს – ქცევა ანუ ვერსია. მის მიხედვით, გვაქვს

სამი ქცევა: საარეისო, სათაეისო და სასხეისო, ანუ ეს იგივეა, რაც სამი ვერსია: ნეიტრალური, სასუბიექტო და საობიექტო.

საარეისოა (ნეიტრალურია) ფორმა, რომელიც გეიჩვენებს, რომ პირდაპირი ობიექტი არაეისი კუთვნილება არ არის და არც ვისთვისმეა განკუთვნილი (დანიშნული) : “სახლს ვაშენებ”.

სათაეისოა (სასუბიექტოა) ფორმა, რომელიც გეიჩვენებს, რომ პირდაპირი ობიექტი ეკუთვნის მოქმედ პირს, სუბიექტს, ან მისთვისაა განკუთვნილი : “სახლს ვიშენებ”.

სასხეისოა (საობიექტოა) ფორმა, რომელიც გეიჩვენებს, რომ პირდაპირი ობიექტი ირიბს ეკუთვნის ან ირიბისათვისაა განკუთვნილი: “სახლს ვუშენებ”.

მაშასადამე, ქცევა ანუ ვერსია არის ფორმა, რომელიც აღნიშნავს, თუ რა ურთიერთობაა კუთვნილება-დანიშნულების თვალსაზრისით სუბიექტსა და ობიექტს შორის ან ობიექტებს შორის. ეს აღნიშვნა ორგვარია; წართქმითი და უკუთქმითი, ე. ი. კუთვნილება-დანიშნულებითი ურთიერთობა შეიძლება აღინიშნოს ან არ აღინიშნოს, საამისოდ მოიპოვება საოპოზიციო ფორმები, რომლებიც ერთმანეთს კუთვნილება-დანიშნულების მიხედვით უპირისპირდებიან” (ა. შანიძე, 1973, გვ. 323). შეიძლება ითქვას, რომ ეს არის ქცევის კატეგორიის აბსოლუტურად ამომწურავი განსაზღვრება. მაგრამ ა. შანიძე დესტინაციას ნაკლებად მიჯნავს კუთვნილებითობისაგან. საერთოდ, ეს ერთმანეთთან ახლოს მდგომი სემანტიკური კატეგორიებია და ხშირია მათი ველების გადაკვეთაც. მეცნიერი გარკვეულ უზუსტობას მაინც გრძნობს და ამიტომაც ცდილობს ამ ტერმინის დაზუსტებას. იგი წერს: “ქცევა აღნიშნავს არა მარტო ფორმას, კუთვნილების მიხედვით განსხვავებულს, არამედ განკუთვნიების ანუ დანიშნულების მიხედვით განსხვავებულსაც, მაგრამ სიმოკლისათვის მარტო კუთვნილებას ვახსენებთ-ხოლმე” (ა. შანიძე, გვ. 324). ფაქტია, ამ ორიდან ნაკლებად მისაღები ტერმინი შეირჩა - კუთვნილება.

ამავე ზემოთ მოყვანილ განსაზღვრებაში ჩანს, რომ აქ გარდამავალ ზმნებზეა ძირითადი აქცენტი. ეს კი, თავის მხრივ, უკვე განსაზღვრავს საკითხისადმი მიდგომას. უპირატესობა ნათელია: მხოლოდ გარდამავალ ზმნებს აქვთ სამივე ქცევის გამოხატვის საშუალება. ისიც ბუნებრივია, რომ იქ სადაც სამივე ზმნური აქტანტია მოცემული, უფრო ნათლად აისახება ქცევის კატეგორია, რადგანაც ეს ფაქტობრივად არის ზმნის პირთა დესტინაციური ურთიერთობის გამომხატველი კატეგორია.



მ. მაჭავარიანის განმარტებით, ქცევა არის ზმნის დერივაციული კატეგორია, რომელსაც შეესაბამება დერივატებში ახალი მნიშვნელობის გაჩენა და ზმნის ვალენტობის შესატყვისი კლება-მატება. "ქცევის კატეგორიის ზოგადი ფუნქცია არის ზმნის ობიექტების წარმოქმნა ან მოსპობა" (მ. მაჭავარიანი, გვ. 5-6). ამის საპირისპირო მისაზრება აქვს თ. უთურგაიძეს, რომელსაც მიაჩნია, რომ ქცევა კაუზაციასთან და გვართან ერთად არის უღლების კატეგორია. მას შემოაქვს სერის ცნება, ეს არის მიკროპარადიგმა, სადაც ერთიანდება ე. წ. კონექტურ კატეგორიათა ურთიერთობები. საერთოდ, რა თქმა უნდა, უნდა ვაღიაროთ, რომ მკრთალია სადემარკაციო ზღვარი უღლებისა და წარმოქმნის კატეგორიათა შორის. ყოველი კონკრეტული ფორმა მატარებელია როგორც ფლექსიური, ასევე დერივაციული ელემენტებისა. ამიტომაც ასეთი განსხვავებული მიდგომა ბუნებრივ ინტერესს იწვევს. მით უფრო, რომ თ. უთურგაიძის ამ ნაშრომში წარმოდგენილია კატეგორიათაშორისი სისტემის შექმნის ცდა. ჩვენ ქცევის კატეგორიას განვიხილავთ, როგორც ზმნის დერივაციულ კატეგორიას, რომელიც გარკვეულ როლს თამაშობს ქართული ზმნის უღლების სისტემის შექმნაში. კერძოდ, ქცევის ნიშნები არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფლექსიური აფიქსები ახალი მწკრივების წარმოქმნის დროს, მაგალითად, მედიაოპტივებსა და მესამე სერიაში. თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ იმ ფორმებში, სადაც ფლექსიური დატვირთვა აქვთ ქცევის ნიშნებს, დესტინაციას ეკარგება ძირითადი სემანტიკური მნიშვნელობა. ამიტომაც ხშირად მათ უფუნქციო ქცევის ნიშნებს უწოდებენ. სინამდვილეში მათ ფლექსიური ფუნქცია აქვთ შექმნილი და დერივაციული კი გაფერმკრთალებული ან სულაც დაკარგული. თუნდაც მხოლოდ ამ ფაქტის გამო ჩვენ გვიჭირს ქცევის იმ ტიპის ფლექსიურ კატეგორიად მიჩნევა, როგორც ამას თ. უთურგაიძე გეთავაზობს. თუკი მივიჩნევთ, რომ ყველა ზმნური კატეგორია ფლექსიის ესა თუ ის ფორმაა (ცხადია, ეს სიმართლეა), მაშინ საერთოდ ფლექსიის სასარგებლოდ მოიხსნება პრობლემური საკითხი ფლექსიასა და დერივაციას შორის. მაგრამ აქ ისმის კითხვა – როგორი სიტუაციაა სახელებში, ანუ სხვა დანარჩენ ფორმაცვალებად სიტყვებში? ირდევება თუ არა ენობრივი სისტემის სიმეტრია? ყველა კონკრეტული შემთხვევა უნდა განვიხილოთ არა მარტო ამ მოვლენის შიგნით ან სხვა მოვლენებთან შესაბამისობაში, არამედ კიდევ უფრო ფართოდ, ზოგად ენობრივ სისტემასთან შესაბამისობაში და აგრეთვე უნივერსალურ ტიპოლოგიურ ჭრილში. წარმოდგენილ ნაშრომში ჩვენ

გამოყოფთ ფლექსიურ დესტინაციას როგორც გრამატიკულ მოვლენას და დესტინაციის მორფო-სემანტიკის გარკვეულ ფორმას. აღსანიშნავია, რომ გამოიყოფა სახელური და ზმნური ფლექსიური დესტინაცია. ამ თემაზე ჩვენ დაწერილებით ესაუბრობთ დაჰქრეჯაბას შიგნითავე.

ქცევის სამგანზომილებიან მოდელს ხშირად უყურებდნენ ეჭვის თვალთ. ფ. ერთელიშვილს მიაჩნდა, რომ ნეიტრალური ვერსია, როგორც ნულოვანი ფორმა, არ არის ოპოზიციის სრულფასოვანი წევრი, რადგანაც აქ კუთვნილებითი ურთიერთობა გამოხატული არ არის. თანაც ა პრეფიქსს აქვს განსხვავებული ფუნქციებიც (ფ. ერთელიშვილი, 1965). საერთოდ, ზმნური ხმოვანი პრეფიქსების სხვადასხვაგვარი ფუნქციების შესახებ მრავალი აზრი გამოთქმულა. ეჭვს არ იწვევს ფუნქციათა მრავალფეროვნება, მაგრამ ეს თანაბრად ეხება ქცევის ყველა ნიშანს და არა მარტო საარვისოს რეფერენტებს. ნეიტრალური ფორმა ქცევის ოპოზიციაში სრულფასოვანი და რელევანტურია, რაც ბუნებრივად გახდა იმის მიზეზი, რომ ფ. ერთელიშვილის ეს აზრი ტრადიციულმა სკოლამ არ გაიზიარა.

უაქტობრივად ქცევის ორგანზომილებიან მოდელს ხედავდნენ ვ. ბოედერი და გ. ნებიერიძე (ვ. ბოედერი, 1968; გ. ნებიერიძე, 1976). ისინი თვლიდნენ, რომ სათავისო ქცევა კერძო შემთხვევაა და თანაბარი მიდგომა არა გვაქვს საოპოზიციო ცალებს შორის. ჩვენ სავსებით ვეთანხმებით იმ მოსაზრებას, რომ სიღრმისეულ დონეზე ირიბი ობიექტი გვაქვს არა მარტო სასხვისო ქცევის პარადიგმაში, არამედ სათავისო ქცევის პარადიგმაშიც. იგი არის სუბიექტის იდენტური. ჩვენც ასე ვთვლით, რომ ირიბი ობიექტი იმალება სუბიექტში (ან სიღრმისეულ დონეზე ერწყმის სუბიექტს). გ. ნებიერიძე აგრეთვე ესაუბრობს გენეტიკურ კავშირზე სასხვისოს ი-სა და სათავისოს ი-ს შორის. ხოლო სასხვისოს უ- ფორმანტს კი მკვლევარი აბლაუტის შედეგად წარმოქმნილად მიიჩნევს. იგი თვლის, რომ უ-ს გაჩენა გამოიწვია სათავისო და სასხვისო ფორმებს შორის მორფოლოგიური ომონიმიის თავიდან აცილების საჭიროებამ. მკვლევარს მიაჩნია, რომ მოქმედებითი გვარსა და მედიოაქტივს შორის ქცევის თვალსაზრისით სრული ანალოგია გვაქვს და "ი" პრეფიქსი რეფლექსური ზმნების პარადიგმაში სათავისო ქცევის ნიშანია, როგორც მოქმედებით გვარში (გ. ნებიერიძე, 1976). ა. შანიძე კი მედიოპასივებს ქცევის ფუნქციისაგან დაცლილად მიიჩნევს. გ. ნებიერიძე ასევე გამოყოფს ი-ე აფიქსთა ოპოზიციას ქცევის კატეგორიის შიგნით. იგი თვლის, რომ

სათავისო ქცევა მოეპოვებათ ენებითი და საშუალო გეარის ფორმებსაც. მხოლოდ ერთპირიან ზმნებს არ გააჩნიათ სათავისო ქცევა.

ა. შანიძე კატეგორიის დახასიათებისას მკაცრ ზღვარს ავლებს – სათავისო ქცევა მხოლოდ ორპირიანი გარდამავალი ანუ მოქმედებითი გეარის ზმნებისთვისაა დამახასიათებელი. ჩვენ ვფიქრობთ, ანალიზისას ფორმიდან ამოსვლის შემთხვევაში ამას უნდა დაეთანხმოთ, ხოლო ფუნქციიდან ამოსვლისას გ. ნებიერიძის აზრიც მისაღებია. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი აზრით, ქართულში არსებობდა დამოუკიდებელი რეფლექსივის კატეგორია, რომელიც ხელასყრელ პირობებში შეერწყა ქცევის კატეგორიას. თუმცა მას აქვს რიგი სხვა მახასიათებლებიც. თავისთავად, აფიქსი “ი”, როგორც აღვნიშნეთ, ერთი კატეგორიის შიგნით საოპოზიციო ცალების განმასხვავებლად არ გამოდგებოდა. სათავისო ქცევა ოპოზიციის სრულფასოვან წევრად აქცია ეინის რიგისა და მანის რიგის პირის ნიშანთა პრეფიქსულმა პოზიციამ. ამიტომ მივიღეთ ზმნური დესტინაციის სამგანზომილებიანი პირველი მოდელი ქართულში.

აღსანიშნავია, რომ ქართულში ა-, ე-, ი- მაქცევრები ერთნაირად ფუნქციონირებენ. “არ არჩევენ მოლაპარაკე და არამოლაპარაკე პირებს... უ მაქცევარი კი წარმოქმნის მხოლოდ III ირიბ ობიექტურ პირს” (მ. მაჭავარიანი, გვ. 120).

საყურადღებოა მ. მაჭავარიანის მსჯელობა: “ეინ-ის რიგთან მაქცევრები უტოლდება პირის ნიშნებს და ზმნას ორი ისეთი პირის გამოხატვის უნარს ანიჭებენ, რომელთაც სხვადასხვა აღსანიშნი აქვთ: ეინ-ის რიგს სუბიექტის რანგში, ხოლო მაქცევარს ობიექტის რანგში, რაც ქმნის ზმნის ვალენტობის ზრდის პირობას... ფუნქციურად პირის ნიშანი და მაქცევარი მან-ის რიგში ერთ მთლიანს ქმნის ობიექტის სინტაქსურ რანგში” (მ. მაჭავარიანი, გვ. 120).

დ. მეღიქიშვილი გამოყოფს სასუბიექტო და საობიექტო მიმართებებს და წერს: “ა-, ი-, უ-, ე- ხმოვან პრეფიქსების ძირითადი ფუნქცია ზოგადად ობიექტური პირის არსებობაზე მითითებაა, კერძოდ კი, სუბიექტის ობიექტურ პირებთან გარკვეული (კუთვნილება-დანნიშნულების, ლოკატიური და სხვ.) მიმართების გამოხატვაა, ხოლო თუ რომელია კონკრეტულად ობიექტური პირი, რომელსაც მიემართება სუბიექტის მოქმედება, ამაზე სათანადო პირის ნიშანი (მარკერი) მიუთითებს” (დ. მეღიქიშვილი, 2000, გვ. 36). აქ ავტორი მთლიანად ეთანხმება მ. მაჭავარიანს, რომელიც თვლის, რომ თანხმონითი ელემენტი განსაზღვრავს პირს, ხმოვანი კი ზოგადად დესტინაციაზე

მიუთითებს. “სამეალენტიანი ფორმა მიიღება ა) საობიექტო მიმართებით: კუთვნილება-დანიშნულებითი (დესტინაციურ-პოსესიური) სემანტიკით, რაც 0/1 და 0/2-ში ი- პრეფიქსით არის აღნიშნული, ხოლო 0/3-ში უ- პრეფიქსით: ხატავს ის მას; ბ) ლოკატიური სემანტიკით ირიბი ობიექტის სამიმართებო ა- პრეფიქსის დართვით: მიმაჭყლიტა მან მე მას – მომაბარა მან მე ის; ან უბრალოდ შესაბამისი პირის ობიექტური ნიშნით: მიმგვარა მან მე მას – მომგვარა მან მე ის, მიმცა მან მე მას – მომცა მან მე ის; გ) კაუზაციური მიმართების ა-ინ-ებ, ა-ე-ინ-ებ, კონფიქსებით: გრეხს ის მას – აგრეხინებს ის მას მას, აპობს ის მას – აპობინებს ის მას მას, ხატავს ის მას – ახატვინებს ის მას მას, შლის ის მას – აშლევინებს ის მას მას, აკეთებს ის მას – აკეთებინებს ის მას მას” (დ. მელიქიშვილი, 2002, გვ. 35).

ა. მარანცი სამართლიანად უწოდებს ქართული ზმნის ხმოვან პრეფიქსებს რელაციურს (ა. მარანცი, 1989, გვ. 24). ეს მართლაც მათი ძირითადი ფუნქციაა, სხვადასხვაგვარი ნიუანსებით.

ბ. პაიჭაძე წერს: “ქცევის ფორმათა ფუნქციონირების მექანიზმი ხშირად ტანგირებს სხვა ზმნურ კატეგორიებთან; ასე მაგ., გვარისა და ასპექტის კატეგორიებთან, რაც თავს იჩენს ქცევის ნიშნების ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, ქცევის მახასიათებელი ხმოვნების პოლიფუნქციურობაში” (მ. პაიჭაძე, 1993, გვ. 177).

მრავალი მეკლევარი მიიჩნევს ე პრეფიქსს ქცევის ნიშნად და ი - ე პრეფიქსული ენებითი გვარის ოპოზიციას - ქცევის ოპოზიციად (მ. მაჭავარიანი, გ. ნებიერიძე დ. მელიქიშვილი და სხვ.). ე , როგორც რელაციური ფორმანტი, ცხადია, იტვირთება სასხვისო ქცევის სემანტიკით. თუმცა თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ფაქტს, რომ ამა თუ იმ ზმნური კატეგორიის გაფორმებისას ბუნებრივი მოვლენაა სხვა უფრო ძველი კატეგორიის მონაწილეობა ამ პროცესში ან ამ ძველი კატეგორიით ახალი კატეგორიისათვის საბაზისო სისტემის შექმნა, მაშინ ისიც უნდა გავაცნობიეროთ, რომ ეს ამ ახალი კატეგორიისათვის ლინგვისტური წარსულია და, შესაძლოა, ის სინქრონიულ დონეზე სხვა ტიპოლოგიური მახასიათებლებით წარსდგეს.

ქცევა, უპირველეს ყოვლისა, არის ირიბი მიმართების კატეგორია. ამ მხრივ, საყურადღებოა შ. აფრიდონიძის დაკვირვება ირიბი მიმართების საკითხზე. იგი წერს: “ირიბი ობიექტის – ისევე როგორც ინვერსიული ზმნის აგენსის დატიურმა ფორმამ ზმნაში შეიძლება გააჩინოს სხვადასხვა ზმნური კატეგორიის პრეფიქსები, სახელდობრ:

ობიექტური პირის ნიშნები I.პ-მ, II პ. - გ, III პ. - ჰ/ლ/მ - (თავისი ფონეტიკური პირობებით);

ობიექტური ქცევის ო- (I-II პ.) ან უ- ნიშანი (III პ.);

რელატიური ვნებითი გვარის ე- ნიშანი;

კაუზატივის ა- ნიშანი;

ე. წ. სახედაო სიტუაციის ა- ნიშანი.

გარკვეულ შემთხვევაში ირიბი მიმართების შექმნაში შეიძლება მონაწილეობა მიიღონ აგრეთვე ორიენტაციის მანქანებლმა მარტივმა პრევერბებმა..." (შ. აფრიდონიძე, 2001, გვ. 45-61). საინტერესოა ამ მკვლევარის მოსაზრებანი ირიბი მიმართების ადგილისათვის ქართული ზმნის მორფოსინტაქსში (შ. აფრიდონიძე, 2001, გვ. 55-56). შ. აფრიდონიძე საესებით მართებულად ასკენის: " ირიბი ობიექტი ზმნის გამოხატვის თვალსაზრისით გვევლინება აბსოლუტურობა-რელატიურობის ოპოზიციის ღერძად. სწორედ ამ ოპოზიციიდან ამოსვლით შეიძლება ვიმსჯელოთ ქართული ზმნის ისეთი კატეგორიების წარმოქმნაზე, როგორცაა ქცევა, გვარი, კაუზატივი, სიტუაცია და რიგ შემთხვევებში ორიენტაციაც.

რამდენადაც ამ კატეგორიებს შიგნით ყველა ოპოზიცია საბოლოოდ თავს იყრის აბსოლუტურსა და რელატიურის ოპოზიციაში, როგორც გამაერთიანებელ ოპოზიციაში, ირიბი მიმართება, ყოველ შემთხვევაში ქართული ენისათვის, უნდა დახასიათდეს როგორც ინტერკატეგორიული მიმართება, რომელიც აწესრიგებს ყველა სხვა კერძო ოპოზიციას თითოეული კატეგორიის შიგნით. სწორედ ამ მიმართებაზე იყო და არის ამჟამადაც აგებული ქართული ზმნის პოლიპერსონალიზმის სისტემა, რომელიც საშუალებას იძლევა, ურთიერთობა ზმნის აქტანტებს შორის გაეიგოთ ნაცვალსახელთა გამოუყენებლად, მაშინ, როდესაც მათ გარეშე ამ ურთიერთობების გარკვევას ვერ ახერხებს ბევრი ინდოევროპული (და არა მარტო ამ ოჯახს მიკუთვნებული) ენა" (შ. აფრიდონიძე, 2001, გვ. 60).

საინტერესოა ი. მელიქიშვილის დაკვირვება ქცევის კატეგორიაზე. ის ყურადღებას ამახვილებს ქცევის კატეგორიის არადესტინაციურ ფუნქციაზე, კერძოდ, ასპექტის წარმოების უნარზე. საერთოდ ცნობილია, რომ სრული ასპექტის ფორმათა წარმოება კუთვნილების სემანტიკას უკავშირდება და ბევრ ენაში პერფექტულ დროთა გამოხატვა კუთვნილების საშუალებებით ხდება. ეს შეიძლება იყოს "ქონა" ზმნის სახით. "ზოგი ზმნური სემანტიკური კლასი ან საერთოდ

ვერ უკავშირდება მოქმედების დასრულების სემანტიკას ან თავისებურად აწარმოებს მას. ქართული ენაც რიგ საინტერესო თავისებურებას ამჟღავნებს ამ თვალსაზრისით. რამდენიმე ზმნური კლასი უნიფიცირებული პრინციპის (ზმნისწინის მეშვეობით) არ აწარმოებს ასპექტურ ფორმებს. ასეთ შემთხვევაში, როგორც წესი, ქცევის კატეგორიას ვხედავთ ასპექტურ დაპირისპირებათა წარმომქმნელი პრინციპის როლში” (ი. მელიქიშვილი, 2003, გვ. 121).

“მე-10 საუკუნიდან, როდესაც იწყება ასპექტის ახალი სისტემის ჩამოყალიბება, ჩნდება ქცევით მონაცვლე მედიოაქტიური ზმნები:” ყივის-იყიელა, კივის-იკიელა, ფილოსოფოსობს-იფილოსოფოსა და ა. შ. ” (ა. შანიძე, 1973, გვ. 494) ი. მელიქიშვილი წერს: ახალ ქართულში მედიოაქტიურ ზმნათა ასპექტური დაპირისპირება ქცევის მეშვეობით განხორციელდა რიგ ზმნებში. “ძველი ქართულიდან ახალი ქართულისკენ ასპექტის გამოხატვის პრინციპის ცვლილებასთან ერთად ყალიბდება მედიოაქტიურ ზმნათა წყვეტილი და უწყვეტელი ასპექტების დაპირისპირების გამოხატვის სახე, რომელიც ნეიტრალურ და სათავისო ქცევის ფორმებს ემყარება.” (ი. მელიქიშვილი, 2003, გვ. 128-129). “ეს სიტემა მორფოლოგიურ საფუძველზე ყალიბდება და ასეთ ზმნათა აწმყოში ი ქცევის ნიშნის გაქრობას, ცხადია, აქვს არა ფონეტიკური, არამედ მორფოლოგიური მიზეზი.” (ლ. ნოზაძე, 1974, გვ. 19).

ი. მელიქიშვილი დაასკენის: “ეფიქრობთ, რომ ქართული ქცევის კატეგორიისათვისაც პრედიკაცია ძირითად სემანტიკურ ფუნქციას წარმოადგენს. იგი ზმნით გამოხატული პროცესის მიმართებას ამყარებს აქტანტებთან: სუბიექტთან (ის იბანს, იკეთებს), ირიბ ობიექტთან (ის მას უკეთებს, უშენებს), პირდაპირ ობიექტთან (ის მას აკეთებს, აშენებს), იძულების პირთან, ანუ მოქმედების შემსრულებელთან (ის მას ახატვინებს, აწვრინებს). იგი ანალიზურ ზმნაში მეშველ ზმნათა ფუნქციონირების სინთეზური ექვივალენტია” (ი. მელიქიშვილი, 2003, გვ. 130). მეცნიერი შემდგომ აგრძელებს: “ქცევის პრეფიქსები მიმართებითი პრედიკატული ელემენტებია: ისინი მდგომარეობის სემანტიკას უფრო ბუნებრივად უკავშირდებიან, ვიდრე დინამიკის სემანტიკას. წყვეტილი ასპექტი სემანტიკურად მდგომარეობასთან უფრო ახლოა, ვიდრე უწყვეტელი” (ი. მელიქიშვილი, 2003, გვ. 131).

ჩვენი აზრით, მდგომარეობისა და დინამიკის სემანტიკა ნაკლებ კავშირშია უშუალოდ ქცევასთან. პერფექტი მოიცავს პოსესიურ სემანტიკას. ქცევისა და პერფექტის ზმნურ კატეგორიათა ელემები ამ მხრივ საზიარო მონაკვეთებს შეიცავენ და ზუსტად ამ საზიარო

სემანტიკური ველის დონეზე ხდება ქცევის ნიშნიანი ფორმებით შესაბამის მწკრივთა წარმოება რიგ ზმნებში.

ქცევის კატეგორიის შესწავლის ისტორიიდან განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ მ. მაჭავარიანის “ქცევის გრამატიკული კატეგორიის სემანტიკა”. ეს გახლავთ ამ კატეგორიის ფუნდამენტური გამოკვლევა. ავტორი წერს: “ქცევის კატეგორიის წარმოსადგენად საჭიროა ორი კატეგორიის - პირისა და ბრუნვის ურთიერთქმედების გათვალისწინება. ბრუნვის კატეგორიის განზომილებებიდან ამ თვალსაზრისით ყველაზე მნიშვნელოვანია მიმართულების (ფართო აბსტრაქტული გაგებით) გამოხატვა... პირის ნიშნებიც ნაცვალსახელთა გარკვეული ფორმაა... მაგრამ სახელებისაგან განსხვავებით მას დამატებითი არსებითი ფუნქციაც აქვს, გამოხატოს სამეტყველო სიტუაციის ცენტრი და ამით შექმნას ბრუნვათა მიმართულებისა და ურთიერთმიზიდულობის (მოცულობის) მნიშვნელობების ვექტორებისათვის ორიენტაციის ღერძი” (მ. მაჭავარიანი, 1987. გვ. 124).

სამეტყველო სიტუაციის ღერძად მიჩნეულია მოლაპარაკე პირი, განსაზღვრულია, რომ ორიენტაციის აქვს ორი ვარიანტი: ინტროვერტული და ექსტრავერტული. სასურველი იქნებოდა, მეცნიერს მოეცა ამ ტერმინთა შესაბამისობა ა. შანიძის ქცევის ტერმინებთან მიმართებაში. ქცევა ქართველურ ენებში მ. მაჭავარიანის მიერ სამართლიანად მიჩნეულია დომინანტ კატეგორიად, რომელიც წინ უსწრებს გვარის კატეგორიის გაფორმებას დიაქრონიაში. მეკვლევარი წერს: “პირის ნიშნებს მაქცევარიანად (ე. ი. მათი ბრუნვითი მნიშვნელობიანად) აქვთ ზმნის აქტანტების წარმოქმნისა და მოსპობის ფუნქცია, და ამდენად, ზმნის ვალენტობის კლება-მატების უნარი” (მ. მაჭავარიანი, 1987. გვ. 125). პირისა და ქცევის ნიშანთა ასეთ კომბინაციას მეკვლევარი პროკლიტიკას უწოდებს. ჩვენ ეფიქრობთ, რომ მორფოლოგიური სეგმენტაციისას მინიმალისაციის პრინციპის დაცვა სავალდებულოა. საერთოდ, ქართულს ახასიათებს ზმნურ მორფემათა პოლიფუნქციურობა. ისიც აღსანიშნავია, რომ ზმნური მორფემები ერთმანეთთან კავშირში ქმნიან კონკრეტული ფორმის სემანტიკას. მორფოლოგიური ანალიზის დროს აუცილებელია ერთი კატეგორიის დონეზე მორფემათა სეგმენტირება ფუნქციური და ფორმალური პარამეტრებით.

უნდა აღვნიშნოთ, რომ მ. მაჭავარიანმა საკმაოდ წარმატებით განიხილა ქცევის კატეგორიის სემანტიკა და ახალი (ჩვენთვის მისაღები) იმპლიკაციური უნივერსალიაც შემოგვთავაზა: “ზმნის მორფოლოგიის დონეზე ქცევის კატეგორია ხორციელდება მხოლოდ იმ

ენებში, სადაც დასტურდება ამავე სახის პირის კატეგორიაც. თუ ზმნას მორფოლოგიურად გამოხატული პირის კატეგორია არა აქვს, არც ქცევის კატეგორია ექნება“ (მ. მაჭავარიანი, 1987. გვ. 23). აქვე იგი აკეთებს უმწიფელოვანეს ტიპოლოგიურ დასკვნას: “თეთონ პირის კატეგორია შინაარსობლივად აძლევს ბიძგს ქცევის კატეგორიის ჩამოყალიბებას... ჩვენი აზრით, პირისა და ქცევის სემანტიკა ყველაზე ადეკვატურად აღიწერება ბრუნვის კატეგორიის შინაარსით” (მ. მაჭავარიანი, 1987. გვ. 23). ჩვენ სავსებით ვიზიარებთ მ. მაჭავარიანის შემოხსენებულ დასკვნებს და დაეუმატებთ, რომ, საერთოდ, ამ თუ იმ ენაში ზმნური დესტინაციის გამოსახატავად მარტო ერთი ზმნური პირის არსებობა საკმარისი არ არის, საჭირო და აუცილებელია, იყოს ზმნაში გამოხატული ირიბი მიმართებაც. აქედან კი ის გამოდინარეობს, რომ ზმნური დესტინაცია მხოლოდ პოლიპერსონალური ზმნების ფუფუნებაა (ან თავსატეხი). ეს სტატიისტიკური ლინგვისტური უნივერსალიაა.

მ. მაჭავარიანმა პირველმა გაიაზრა ქცევა, როგორც ვექტორული კატეგორია. მისი თეორია ვერსიის შესახებ ფაქტობრივად ამყარებს ჩვენ მერ რამდენიმე წლის წინ წამოყენებულ ლინგვისტური ვექტორიალობის თეორიას, რომლის შესახებაც ნაშრომის პირველ თავში გვქონდა საუბარი. სრულიად ნათელია, ქცევის კატეგორიის ვექტორული სახე, როგორც შიდა სემანტიკურ, ასევე რეფერენციალურ დონეზეც.

ზემოთ ჩვენ მხოლოდ ქცევის კატეგორიის შესახებ გამოქვეყნებულ ძირითად შრომებზე შევაჩერეთ ყურადღება, რადგანაც ჩვენი სადისერტაციო ნაშრომის მიზანი არ არის ამ კატეგორიის შესწავლის ისტორიის განხილვა. მნიშვნელოვანი ის გახლავთ, რომ ქცევის კატეგორია საკმაოდ საფუძვლიანად არის შესწავლილი.

თანამედროვე ქართულში ქცევის კატეგორია ქმნის მწკობრ მორფო-სემანტიკურ სისტემას:

საარვისო ანუ ნეიტრალური – Ø, ა

სასხვისო ანუ საობიექტო, ექსტრავერტული – ი, უ (ე)

სათავისო ანუ სასუბიექტო, ინტროვერტული – ი

ჩვენ გამოვეყოფთ ქცევის კატეგორიის თავისებურებებს. ბუნებრივია, რომ როდესაც არსებობს წესი, იქვეა გამონაკლისიც, ანუ ანომალია. ქცევის გრამატიკული კატეგორია თანამედროვე ქართულში შემდეგი თავისებურებებით ხასიათდება:



1. სხვაობა გარდაუვალ და გარდამავალ ზმნათა სისტემებს შორის ქცევის კატეგორიის მიხედვით;
2. ქცევის კატეგორიის მიხედვით ფორმანაკლი ზმნები:
  - ა. ფორმანაკლულობა ერთი მწკრივის შიგნით საოპოზიციო ცალებში,
  - ბ. ფორმანაკლულობა უღლების პარადიგმების მიხედვით;
3. ორი ირიბის არსებობა ზმნაში:
  - ა. ორი ირიბი გარდაუვალ ზმნებში,
  - ბ. ორი ირიბი გარდამავალ ზმნებში;
4. პოლისემიური ფორმები – ქცევის კატეგორიის თვალსაზრისით;
5. უქცეო ზმნები:
  - ა. უნიშნო ფორმები,
  - ბ. ნიშნიანი ფორმები,
6. ქცევის კატეგორიის ფორმისა და შინაარსის დიაქრონიული ცვლილებანი.

განვიხილოთ თითოეული ზემოთ ჩამოთვლილი შემთხვევა:

1. სხვაობა გარდაუვალ და გარდამავალ ზმნათა სისტემებს შორის ქცევის კატეგორიის მიხედვით საესეებით ნათელია და ეს მოვლენა სისტემურია. ქართულში მხოლოდ გარდამავალი ანუ მოქმედებითი გვარის ზმნები გვიჩვენებს სამგამზომილებიან მოდელს. გარდაუვალი ზმნები კი მხოლოდ ორგანზომილებიან მოდელში თავსდება, რამდენადაც აქ გამოორიცხულია სათავისო ანუ სასუბიექტო ქცევა. ეს სისტემური და პრინციპული ხასიათის სხვაობაა, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ქართულში (და საერთოდ, ქართველურში) სამგანზომილებიანი მოდელის მეორადობას.

2. ქართულ ენაში გვაქვს ქცევის კატეგორიის მიხედვით ფორმანაკლი ზმნები. ასეთი ზმნები შეგვიძლია ორ ჯგუფად დავყოთ:

ა. ზმნები, რომელთაც ახასიათებთ ფორმანაკლულობა ერთი მწკრივის შიგნით საოპოზიციო ცალებში, მაგალითად: გვაქვს ვაცნობ

- ეიცნობ და არა გვაქვს სასხვისო ფორმა - ეუცნობ. (აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ფორმებს სხვადასხვა მნიშვნელობა აქვთ. მაგრამ ეს ქცევის რეფერენტების ფორმალურ მხარეს არ ეხება.)

ბ. ზმნები, რომელთაც ახასიათებთ ფორმანაკლულობა უღლების პარადიგმების მიხედვით, მაგალითად: გვაქვს სტატიკურ ზმნათა ოპოზიცია - წერია/უწერია, რომელთაც მეორე სერიაში ეწერა შესაბამება ორივე შემთხვევისათვის. ასევე კარგავენ ქცევის გაგებას სამპირიანი ზმნები მესამე სერიაში და ყველგან, სადაც ქცევა გამოდის წმინდა ფლექსიური დატირთვით, იკარგება დესტინატური შინაარსი.

3. ქართულში ზოგჯერ ზმნაში ორი ირიბი ობიექტური პირია მოცემული. რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ორივე გამოიხატება ზმნაში.

ა. ორი ირიბი გარდაუვალ ზმნებში – ვნებითში: მიცვია (მე მას ის), მიმიყვარ (შენ მე მას), საშუაღში: მიმიღვეს (მე მას ის), მიტკივა (მე მას ის). ამ ორიდან ერთი აუცილებლად პოსესორი ანუ მფლობელი ობიექტია და მას ალტერნატიული აღწერითი სინტაქსური კონსტრუქციაც მოეპოვება შესამაბისი ორპირიანი ზმნის ფორმითა და პოსესორი ობიექტის დატირთვით ან გენეტიურ-პოსესიური ბრუნვით ზმნის გარეთ, მაგალითად: მიცვია მე ცოლს კაბა და ჩემს ცოლს კაბა აცვია.

ბ. ორი ირიბი გარდამავალ ზმნებში იძლევა ოთხპირიან ზმნებს: მიმიწერა (მან მე მას ის), მიმიხატა (მან მე მას ის), უფრო ხშირად კაუზატიური ფორმებია ასეთ დროს გამოყენებული: გამიკეთებინე (შენ მე მას ის), დამიხატებინე (შენ მე მას ის). ასეთი ფორმები, გამონაკლისის გარეშე, სასხვისო ქცევის ფორმებია.

ირიბის შემოყვანას ზმნაში ორი გზა და მიზანი აქვს:

1. ან კაუზაციას სჭირდება შემსრულებელი ობიექტის შემოყვანა,
2. ან პოსესიურ-ბენეფაქტიურ სემანტიკას უნდა გაესვას ხაზი.

ორირიბიანი ფორმები ძირითადად სასხვისოს სემანტიკით იტვირთება.

4. არსებობს პოლისემიური ფორმები – ქცევის კატეგორიის თვალსაზრისით. ენაში არის იშვიათი ზმნის ფორმები, სადაც პირდაპირი ობიექტი არის ცვალებადი და სათავისო ქცევის ფორმები,

შესაძლოა, ობიექტური წყობის ზმნებშიც გექონდეს. ასეთი ფორმები ზოგჯერ პოლისემიურია. დამიყენა – მან მე - ეს არის სათავესო ქცევა პირცვალებადი პირდაპირი ობიექტით პარადიგმიდან:

დამიყენა მან მე

დაგიყენა მან შენ

დაიყენა მან ის

დამიყენა - მან მე მას არის სასხვისო პირუცველელი შესამე პირის ირიბი ობიექტით:

დამიყენა მან მე მას

დაგიყენა მან შენ მას

დაიყენა მან ის მას

როგორც ვხედავთ, პოლისემიურია დამიყენა/დაგიყენა ფორმები.

## 5. უქცეო ზმნები

ეს ის ზმნებია, რომელთაც არ გააჩნით ქცევის გაგება. ასეთ ზმნებს, ფაქტობრივად, საოპოზიციო ცალები არ მოეპოვებათ და ქცევის შინაარსისაგან დაცლილნი არიან: უყვარს, აქვს, იცის, ახსოვს, პგონია, უჭირავს, სძულს და სხვ. ამ ზმნებშიც ორი ჯგუფი გამოიყოფა:

ა. უნიშნო ფორმები: პგონია, სწამს, სძულს, პქვია და სხვ. ამ ფორმებს არც ქცევის ნიშანი გააჩნიათ და არც ამ კატეგორიის შინაარსი.

ბ. ნიშნიანი ფორმები: იცის, უყვარს, აქვს და ა. შ. ასეთ ზმნებს ქცევის ნიშანი მოეპოვებათ, მაგრამ არა აქვთ საოპოზიციო ცალები და ამდენად, არც ქცევის გაგება არ გააჩნიათ. ვფიქრობთ, რომ უფუნქციო ნიშანი ზმნაში არ გაჩნდებოდა და ადგილი აქვს კატეგორიის ფორმობრივსა და აზრობრივ ცვლილებებს. ამ აზრს ადასტურებს ზოგი ასეთი ზმნის ფორმებში სხვა ქართველურ ენებთან შეპირისპირებით აღდგენილი ქცევის ფუნქცია: ვიცი – მიხა/ხოხა (სვან.)

6. ქცევის კატეგორიის ფორმისა და შინაარსის დიაქრონიული ცვლილებანი.

ეს ძალიან დიდი საკითხია და მოითხოვს სერიოზულ მიდგომას. ჩვენ მრავალი შეკვლევის კვლადაკვალ მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ ქცევის გრამატიკულმა კატეგორიამ განვითარების დიდი გზა განვლო. იგი უკაემირდება პირის, კლასის, ბრუნვის, გეარის, კაუზაციის, უღლების და სხვა მრავალ ზმნურ კატეგორიას. საერთოდ, ძალიან ჭირს და არც

მიზანშეწონილია რომელიმე ერთი კატეგორიის დამოუკიდებელი ანალიზი (თუ საქმე არ ეხება კერძო დესკრიფციულ ლინგვისტიკას).

ზმნური მორფო-სემანტიკური კატეგორიები ურთიერთმოქმედებენ და საერთო ზმნური სისტემის მთლიანობას ქმნიან. ეს სურათი ნათლად ჩანს ე. წ. დეიქტური ხმოვნების ანალიზზე. უნდა აღინიშნოს, რომ დეიქტური მიმართებები კლასობრივი იერარქიით განისაზღვრება ენაში. ამ თვალსაზრისით ეს სისტემა ერთგვაროვანია ზმნებსა და სახელებში.

ქცევის კატეგორიაზე საუბრისას გვერდს ვერ ავუვლით ზმნის ხმოვანპრეფიქსულ ფორმათა წარმოებას. ა. შანიძე თვლიდა, რომ პრეფიქსული ენებითი ქცევიანი ფორმებიდან მომდინარეობდა (ა. შანიძე 1973, გვ. 355-356). საერთოდ, პრეფიქსულ ენებითებში, ცხადია, ხდება ერთ რეფერენტში ფუნქციათა შერწყმა. გვარისა და ქცევის მარკერთა ერთნაირი რანგობრივი პოზიცია ართულებს საბოლოო კონკრეტული პასუხის მოძებნას ი-ე ოპოზიციის შესახებ. თანამედროვე ქართულში სახეზეა პოლიფუნქციური ზმნური ხმოვანი პრეფიქსები.

ცნობილია, რომ ა შეიძლება იყოს კაუზაციის, საზედაოს, საარვისო ქცევის ნიშანი ან ზმნისწინი. ეს უკანასკნელი პრობლემას არ ქმნის, რადგანაც შედარებით ადვილად განისაზღვრება კონკრეტულ ფორმაში. რაც შეეხება კაუზაციის, საზედაოს და საარვისოს ფორმათა ერთი ფორმანტი მარკირებას, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ყველა ამ შემთხვევას აქვს საერთო ნიშანი – ირიბი მიმართება. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ა პრეფიქსი პირდაპირ ობიექტსაც წარმოქმნის “გარკვეულ სინტაგმატურ პირობებში, კერძოდ, როდესაც გარდაუვალი ზმნის ან სახელის ფუძეს ა-მაქცევიარი დაერთვის პირველადი კაუზაციის პირობებში” (მ. მაჭავარიანი, 1987, გვ. 120).

საერთოდ, ირიბი მიმართება შეიძლება იყოს ლოკატიური ან იყოს ეგზეკუტორი ანდა ადრესატი, ანუ დესტინატი. ამ ბოლო შინაარსთან ახლო კავშირშია პოსესორის სემანტიკაც. ეს არის ირიბი ობიექტის ანუ ირიბი მიმართების ზმნური ნიშანი პირის ნიშნის კონკრეტული მითითების გარეშე. სხვათა შორის, ამ თვალსაზრისით ტიპოლოგიურად ძალზე საინტერესოა ბასკურის მონაცემები - იქაც *ki* ფაქტობრივად არის ირიბი მიმართების (ადრესატის) ნიშანი და ზმნაში ცალკეა აღნიშნული ირიბი ობიექტის პირის ნიშნები. ასეთივე სემანტიკა აქვს ქართულში უ ხმოვანს, მაგრამ აქ უფრო კონკრეტული ფუნქციაა გამოყოფილი და შესაბამისად, სადავოც აღარაფერია. რაც შეეხება ე პრეფიქსს, ა. შანიძე ნ. მარის მოსაზრებას იზიარებს  $a + n =$

ე. ჩვენც საკმაოდ დამაჯერებლად გვეჩვენება ასეთი გენეზისი. ზოგი მკვლევარი ე პრეფიქსს ქცევის ნიშნად მიიჩნევს (გ. ნებეირიძე, 1976; მ. მაჭავარიანი, 1987, გვ. 120).

ი პრეფიქსი უფრო მრავალფეროვანია თავისი დიაქრონიული და ფუნქციური თვალსაზრისით. მას აქვს ორი საპირისპირო ფუნქცია: სასხვისო ქცევის დროს (მანის რიგთან) მას ზმნაში შემოაქვას ირიბი ობიექტი - წერს-მიწერს, ხოლო სათავისო ქცევის დროს (ვინის რიგთან) - პირიქით, მას ეს ირიბი ობიექტი ზმნიდან გააქვას: სწერს-იწერს. ამდაგვარი მრავალფეროვნება ბუნებრივად ბაღებს უამრავ კითხვას და საკითხის მიმართ სხედასხვანაირ მიდგომასაც გამოიწვევს. ძალიან საიტერესო და მნიშვნელოვანი დაკვირვება პქონდა ამ საკითხზე გ. როგავას. იგი მიიჩნევდა, რომ ი იყო კუთვნილებითი (დანიშნულებითი) აფიქსი ზმნებსა და სახელებში (გ. როგავა, 1942) ჩვენც ვვარაუდობთ, რომ ამ აფიქსს მართლაც საერთო დესტინაციურ-პოსესიური ღირებულება შეიძლება ჰქონოდა ზმნებსა და სახელებში. ქცევის კატეგორიის ბრუნვის ფორმებთან სისტემურ მიმართებებზე საუბრობს მ. მაჭავარიანიც (მ. მაჭავარიანი, 1987, გვ. 23-27).

უპირველეს ყოვლისა, აშკარაა ნაცვალსახელთა მონ აწილეობა ბრუნვათა გაფორმებაშიც და ზმნის პირთა გაფორმებაშიც. თუნდაც მხოლოდ აქედან გამომდინარე, უამრავი საერთო ფორმანტი შეიძლება აღმოჩნდეს სახელებსა და ზმნებში. მრავალ ენაში გვაქვს იმის მაგალითი, თუ როგორ აისახება ესა თუ ის კატეგორია ზმნებსა და სახელებში პარალელური სიმეტრიით.

ქართული ზმნის ხმოვანი პრეფიქსები, ჩვენი აზრით, პოლიპერსონალური აფიქსებია, რომლებიც სინთეზური სემანტიკით ხასიათდება და კონკრეტულ ზმნურ ფორმაში რომელიმე ერთ ან ორ ფუნქციას წამოწევს წინ. ეს ფაქტი (სხვა ამ ტიპის მოვლენებთან ერთად) განაცალკევებს ქართულ ენას წმინდა აგლუტინაციური ტიპის ენებისაგან. საერთოდ, შეიძლება შერეული ფლექსიურ-აგლუტინაციური ტიპის ენათა ჯგუფის განმსაზღვრელ პარამეტრებზეც ვიფიქროთ. ამისთვის უნდა ჩამოყალიბდეს კატეგორიათა რეფერირების დისტრიბუციული სისტემები და ამ შერეულ ჯგუფში გაერთიანებისათვის საფუძველი არ უნდა იყოს მხოლოდ ერთი ტიპიდან გადახრის რამდენიმე უსისტემო შემთხვევა ენაში.

ბასკურ ენაში ეჭვგარეშეა ადრესატობის ნიშნის წარმოშობა სათანადო მიცემითი ბრუნვიდან. ორივე შემთხვევაში ძირითადად ეს

არის "ი" აფიქსი. სხვათა შორის, ტიპოლოგიური კვლევის ფარგლებში ასეთი ტიპის დამთხვევებმა, შესაძლოა, კიდევ ერთხელ გაამახვილოს მეცნიერთა ყურადღება ფონო-სემანტიკაზე.

რას წარმოადგენს სამპირიანი ზმნის უღლებისას მესამე სერიის ფორმებში გაჩენილი ე. წ. უფუნქციო ქცევის ნიშნები? როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქცევა ძირითადად არის ირიბი ობიექტის კატეგორია და მესამე სერიაში, როდესაც ეს ირიბი ობიექტი გადის ზმნიდან, ის ცდილობს დესტინაციური შინაარსის შენარჩუნებას და ირჩევს "თვის"- თანდებულიან ფორმებს, რომელთაც აქვთ დანიშნულებითობის შინაარსი. მაინც რჩება გარკვეული უკმარისობის შეგრძნება დესტინაციის გამოხატვის თაყალსაზრისით და ამის შესავსებად პარალელურად ჩნდება ქცევის ნიშნები. ფაქტობრივად შენარჩუნებულია სემანტიკა და შეცვლილია მორფოლოგია. მესამე სერიაში დესტინაციის სემანტიკა სხვა მორფოლოგიურ ფორმებს მიმართავენ, მაგრამ იგი მთლიანად არ გადის ზმნიდან და იქ ტოვებს თავის რეფერენტებს, რომლებიც შესაბამისი ირიბი ობიექტის გარეშე უკვე უფუნქციოდ მოიაზრება. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ **საერთოდ, ენამ არ იცის უფუნქციო ნიშანი – ყველა ნიშანს სინქრონიულად ან დიაქრონიულად მაინც რომელიმე კონკრეტული სემანტიკური დატვირთვა აქვს.** რამდენადაც მორფემა არის ორპლანიანი ერთეული ანუ მორფო-სემანტიკური რეფერენტი. იქ, სადაც შინაარსი იკარგება ან ეიწროვდება, ესაუბრობთ უფუნქციო მორფემებზე. ცნობილია, რომ სიტყვის სემანტიკური ველი მოძრავია. ის შეიძლება სხვადასხვაგვარად შეიცვალოს. ეს ეხება არა მარტო ძირეულ მორფემებს. ასეთივეა სხვა დანარჩენ მორფემათა სემანტიკური ველიც. თუმცა, ბუნებრივია, რომ ამ მორფემათა ცვლილებების სიჩქარის კოეფიციენტი გაცილებით დაბალია.

ზემოთ მოყვანილი მსჯელობა მისაღებია სინქრონიული ტიპოლოგიისა და დესკრიფციული ლინგვისტიკისათვის, თუმცა დიაქრონიულად ვიცით, რომ მესამე სერია სტატიკური ზმნის ფორმებიდან ჩამოყალიბდა და შესაბამისად, ისტორიული ანალიზის სურათიც საკმაოდ განსხვავებულია. დღეს მესამე სერიის სამპირიანი ზმნის ფორმები პარადიგმატიკაშიც და სინტაგმატიკაშიც უკვე სხვა სიბრტყეზეა გადატანილი. ესენია პირველ-მეორე სერიის ფორმათა საოპოზიციო ფორმები და თავისი დიაქრონიული სემანტიკის მიუხედავად, დღეს ისინი დაშორებულია სტატიკურობის შინაარსს და მათ ახლებური

სემანტიკა აქვთ შექმნილი. ამ სემანტიკაში კი ისინი კარგავენ ირიბ ობიექტს (განურჩევლად იმისა, თუ რა და როგორ იყო დიქციონარში).

დიქციონარული სურათი კი ასეთია: სტატიკური ფორმიდან “უწერია” – მას (კაცს – O ind.) ის (სიტყვა - S ) წიგნზე მივიღეთ III სერიის ფორმა “(მი)უწერია” მას (კაცს – S) სიტყვა (O ind.) [დედისთვის]. ე. ი. აქ ისტორიული ირიბი ობიექტი გახდა სუბიექტი და სუბიექტი კი ობიექტად მოგვევლინა – ამიტომ გასაგებია, რატომაც გვაქვს ინვერსია. ამ ფორმათა ახლებური გააზრებისას შემოდის ახალი ირიბი ობიექტი, სულ სხვა, ახალი აქტანტი (დედისთვის), რომელიც კანონიერი და ერთადერთი ირიბი ობიექტია პირველ-მეორე სერიაში. მესამე სერიაში კი ზმნაში არის მხოლოდ ისტორიული ირიბი ობიექტი (კაცს), რომელიც ბრუნვასაც კი ინარჩუნებს, ობიექტის ნიშნებითაა ასახული ზმნაშიც და სახელშიც (თუმცა სუბიექტადაა ქცეული). მეორე ირიბი ობიექტი ამ მესამე სერიაში ზმნამ უკვე აღარ მიიღო და გარეთ გაიტანა. მივიღეთ ე. წ. უბრალო დამატება, რომელიც რიგ ენებში პრედიკატის არგუმენტია. საერთოდ, ქართულ ზმნას იშვიათ შემთხვევებში შეუძლია ორი ირიბი ობიექტის ქონა (მიჭმე, მისმე ფორმებში - მე და მას ორი ირიბია); მაგრამ უნდა ითქვას, რომ აქ სხვა - კაუზატიური ტიპის ურთიერთობაა ასახული.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ ახალი ირიბი ობიექტის გარეშე (რომელიც ზმნაში ვეღარ ფორმდება) მესამე სერიის ფორმებში უკვე გვაქვს ქცევის ნიშანი, რომელსაც თავისი ფუნქცია ქონდა პირველად სტატიკურ ფორმაში. ამიტომ, შესაძლოა, ამ ქცევის ნიშანთა განხილვა დამატებითი დესტინატორის ანუ ამ ახალი ირიბი ობიექტის გარეშე. მაგრამ ეს არ იქნება მართებული, რადგანაც ენა პოლისემიაზეც კი მიდის ახალ ფორმათა შესაქმნელად და, ცხადია, რამდენად შეუსაბამო იქნებოდა ცალმხრივი დიქციონარული ანალიზი. ახალი ფორმა ახალი სემანტიკით უნდა გავიზაროთ.

თავის მხრივ, სტატიკური ზმნები განასხვავებენ ქცევას – გვაქვს ფორმალური ოპოზიცია: წერია – უწერია – აწერია. რადგანაც ირიბი ობიექტის სემანტიკა იყო ხაზგასასმელი, ამიტომაც მესამე სერიის ფორმათა წარმოებამ შესაბამისი რეფერენცირებული, დადებითი ანუ სასხვისო ქცევისნიშნიანი ფორმები ამოირჩია სტატიკურ ზმნათა არსებული ვარიანტებიდან. სინქრონიულ დონეზე კი ეს ნიშნები უფუნქციო რეფერენტებად გაიზარება, რადგანაც, როგორც აღვნიშნეთ, ირიბი ობიექტი ზმნაში აღარ არის და სასხვისო ქცევა კი ირიბი ობიექტის გარეშე ვერ იქნება.

ამ საკითხის მიმართ საინტერესო მიდგომა აქვს თ. უთურგაიძეს. იგი წერს: “დაემატა ზმნისწინი (რომლის არსებობა სტატიკურ ფორმებში გამორიცხულია). . . ზმნისწინმა შემოიტანა გეზი, რასაც მოჰყვა აქტიუთათვის აუცილებელი დინამიზაცია. ეს იყო დინამიზაციის უმოკლესი გზა. დინამიზაციის შემდეგ იწყება ფუნქციური გადაწყვეტვები აქტანტთა შორის” (თ. უთურგაიძე, 2002, გვ. 18). ამ მოსაზრებას ჩვენც ვიზიარებთ, თუმცა ვერ დავეთანხმებით მკვლევარს მის დასკვნაში: “აქტივის პარადიგმის III სერიის პერფექტულ ფორმებში ხდება I და II სერიათა აგენსისა და პაციენსის როლების შეცვლა, რასაც, ბუნებრივია, მოსდევს პირის ნიშანთა სათანადო განაწილება. მაშასადამე, არ ხდება პირის ნიშანთა ინვერსია: ინიციატორს სუბიექტის ნიშანი გამოხატავს, ობიექტის ნიშნით კი მოქმედების შემსრულებელი აქტანტია მარკირებული” (თ. უთურგაიძე, 2002, გვ. 19).

ის პირთა ნიშნები, რაც მოცემული გვაქვს III სერიაში დიაქრონიული თვალსაზრისით სრულიად ცხადია, რომ არის არა პირდაპირი ობიექტის, არამედ ირიბი ობიექტის კუთვნილება, რამდენადაც სტატიკურ ზმნათა ფორმებში, რის საფუძველზეც გაფორმდა III სერია, პირდაპირი ობიექტი არასოდეს ყოფილა. ეს იყო ირიბი ობიექტი და ზუსტად ამიტომ III სამპირიან ზმნაში ირიბი ობიექტს ზმნის გარეთ ტოვებს უღლების პარადიგმა. რომ გაევიზიაროთ ეს მოსაზრება, რომ თითქოს არ ხდება ინვერსია, უნდა ჩავთვალოთ, რომ - დაუხატავს (კაცს სურათი დედისათვის) აქ სურათი არის სუბიექტი (გნებათ ინიციატორი). თუ პირველ და მეორე სერიაში სუბიექტი არის კაცი, პარადიგმა წინააღმდეგობრივი იქნება, თუ მას მესამე სერიაში სხვა გრამატიკული სუბიექტი გაუნდება. ეს ეწინააღმდეგება ფლექსიის ძირითად კანონებს. ნათელია, რომ III სერიაში არა გვაქვს ორდინარული სიტუაცია, მაგრამ მარკერთა ფორმობრივი ცვლა უფრო მისაღებია, ვიდრე შინაარსობრივი ხასიათის ცვლილებანი პარადიგმაში.

აქვე გვინდა ხაზი გავუსვათ თ. უთურგაიძის, როგორც მკვლევარის, მეცნიერულ დამსახურებას. მან ახლებურად გაიაზრა ქართული ზმნის კატეგორიები და შემოიტანა მთელი რიგი ახალი ცნებები ქართულ ტრადიციულ ლინგვისტიკაში - სიტუანტები, ინიციატორი, აქტანტური და კონექტური კატეგორიები, სერი, პირმიმართი და პირმიუმართავი აქტანტები და ა. შ.

რაც შეეხება ა. ონიანის მოსაზრებას ამავე საკითხზე, ის თვლის, რომ III სერიის ფორმები არის არამოქმედებითი - პირდაპირი



ობიექტის უქონლობის გამო და არაენებითი - შესაბამისი კონვერსიული აქტივის უქონლობის გამო. მესამე სერიის ფორმები დატიური კონსტრუქციის ზმნებია (ა. ონიანი, 1978). დატიური კონსტრუქცია, ცხადია, სახეზეა და ამის უარყოფა არც შეიძლება, მაგრამ გვარის საკითხი ცალკე თემაა და, ჩვენი აზრით, საეჭვოა ამ ფორმათა უგვარო ფორმებად მიჩნევა, რაც თავისთავად გამომდინარეობს მათი "არამოქმედებითობიდან" და "არაენებითობიდან".

უდავოდ მნიშვნელოვანია მ. მაჭავარიანის "შეხვედლება მანის რიგის აქტუალიზაციისა და ვინის რიგის ნეიტრალიზაციის შესახებ III სერიაში. ამით აიხსნება სუბიექტისა და ირიბი ობიექტის რანგების ცვლა. იგი წერს: "პერფექტის სუბიექტი არ არის აქტუალური აგენტურად მოქმედი პირი... ამიტომ პერფექტის სუბიექტი ფორმითაც უნდა განსხვავდეს ნახული აქტის, აქტუალურად მოქმედი აგენტისაგან, რაც განაპირობებს მანის რიგის ნათესაობითში დასმული პროკლიტიკის არჩევანს" (მ. მაჭავარიანი, 1987, გვ. 123).

ქცევა არის რელატიური კატეგორია, რეფლექსივი კი - ბინარული რელაცია. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ქართულში (ისევე როგორც დანარჩენ ქართველურ ენებში), თავდაპირველად მხოლოდ ქცევიანი და უქცეო ფორმები განირჩეოდა და ვინისა და მანის რიგის პრეფიქსულმა წარმოებამ შესაძლებელი გახადა სათავისო ქცევის საოპოზიციო ცალად ჩამოყალიბება. რეფლექსივის კატეგორია ქცევას შეერწყა. თუმცა უნდა ითქვას, რომ ეს არის ცალკე მდგომი გრამატიკული კატეგორია, რომელსაც შესაბამისი სინტაქსური და მორფო-სემანტიკური მოდელები გააჩნია. რეფლექსივი, როგორც სემანტიკური კატეგორია, კარგავს გრამატიკული მარკირების პოტენციას და ქართველური ზმნის მორფოლოგიაში ფორმდება, როგორც ქცევის კერძო შემთხვევა - ამით იქმნება ქცევის სამგანზომილებიანი მოდელი.

მარტივი ჭეშმარიტებაა ის, რომ პოლიპერსონალურ სისტემებში ზმნაზე მოდის მორფოლოგიური დატვირთვის ღომის წილი. სადაც მდიდარია ზმნური მორფოლოგია, მრავალი სხვა სინტაქსური მოდელი და კატეგორია გამარტივებულია. ეს მოვლენა ნათლად აისახება როგორც ქცევის, ასევე რეფლექსივის შემთხვევაშიც. ზმნაში ასახულმა რეფლექსივმა აღარ დაიჭირვა გამორჩეული რეფერენცირება მორფოლოგიის სხვა სიბრტყეზე და თვის-თანდებულებიანი, ანუ ზმნის გარეთ მოქცეული ქცევის პარალელურად იგი გეპქლევს თავის აღწერით სინტაქსურ ვარიანტს თვის-თანდებულებიანი ფორმებით. გაეიხსენოთ, რომ თვის თანდებულის პირველადი ფუნქცია რეფლექსურობაშია,

რამდენადაც იგი მომდინარეობს ფორმიდან “თავი”. უნდა ითქვას, რომ მრავალი სხვადასხვა ჯგუფის ენებისათვის “თავი” არის რეფლექსივის წარმოების საერთო გზა. ასეთი სქემა მუშაობს ბასკურშიც – სახელი ან ნაცვალსახელი დატივში + თავი დატივში, მაგალითად, *Gure buruari* – ჩვენთვის, *Bere buruari* – თავისთვის. სინტაქსურ რეფლექსივში ხშირია ფორმა “თავისთვის”, რაც რეფლექსიური ფორმანტების ერთგვარი გაორმაგებაა. ასეთი გაორმაგება კი ამ კატეგორიას დასჭირდა ქცევის სინტაქსური ვარიანტისაგან გასამიჯნად.

კლასის კატეგორიის თვალსაზრისით რეფლექსივი სულიერობის კლასისთვის (ძირითადად ვინ ჯგუფისათვის) არის დამახასიათებელი. საგულისხმია ლ. პერმოდსონის დაკვირვება, რომ “სხეული” და “სული” იხმარება რეფლექსიური “თავის” ფუნქციით ძველ ინდურში (მ. პაიჭაძე, 1993).

საინტერესო სისტემას აყალიბებს ქცევისა და რეფლექსივის ფორმათა მორფო-სინტაქსური დისტრიბუცია. სადაც გვაქვს ზმნური სასხეისო ქცევის ფორმები, იქ დაუშვებელია თვის-თანდებულისანი ფორმები, მაგალითად, მიკეთებს ჩემთვის – აკრძალვია. მაშინ როდესაც ანალოგიურ შემთხვევაში დასაშვებია სათავისო ქცევის დროს რეფლექსიური თვის თანდებულის გამოყენებაც – ვიკეთებ ჩემთვის. ე. ი. რეფლექსივი, როგორც კატეგორია ქცევასთან შედარებით უფრო კარგად იტანს ორმაგ გამოხატვას. ეს მოვლენა გარკვეული ტიპის სხვაობას ქმნის რეფლექსივისა და ქცევას შორის.

პოლისემიური ფორმა “დამიყენა” – მან მე/მან მე მას როდესაც სათავისო ქცევას აღნიშნავს პირცვალებადი პირდაპირი ობიექტით, კარგავენ რეფლექსურობის შინაარსს. ყველაზე მკაფიოდ რეფლექსურობა ისეთ სათავისო ქცევის ფორმებშია გამოხატული და სემანტიკურად შენარჩუნებული, სადაც ირიბი ობიექტი სუბიექტშივე მოიაზრება და შესაძლოა, დამატებით გადმოიცეს ფორმით “თავი”, მაგალითად: იხატავს თავს, ილამაზებს თავს და ა. შ.

აქვე გვინდა ხაზი გავუსვათ დეპონენსების თავისებურებას რეფლექსივის თვალსაზრისით – აქ ერთ ჯგუფში შევა ისეთი ფორმები, რომლებიც თავისთავზე ჩატარებულ მოქმედებას გამოხატავენ: იქექება, იტილება, იწირპლება, იფხანება, იცოხნება და სხვ. აქ საკმაოდ მკვეთრად ჩანს რეფლექსიური შინაარსი. თუმცა სხვა დეპონენსებიც არ არის რეფლექსურობის გაგებას მოკლებული: იღრიკება, იწყევლება, ილანძლება და სხვა. ტიპიური რეფლექსივებია საკუთარი სხეულის ნაწილებზე მოქმედების გამომხატველი ფორმები:

ივარცხნის, იბანს, იფხანს და ა. შ. ასეთი ფორმებისათვის რეფლექსიურობა აუცილებელია და ბუნებრივი მოთხოვნილებაა, თუმცა მათ, რა თქმა უნდა, გააჩნიათ ქცევის კატეგორიის სრულფასოვანი საოპოზიციო ცალები: იბანს - კბანს - უბანს. საერთოდ, უნიკერსალურია ადამიანის სხეულის ნაწილებზე მფლობელის მოქმედების რეფლექსიური შინაარსი (ს. ანდერსენი, 1977).

აღსანიშნავია უკუქცევითი ნაცვალსახელების ზოგადი ტიპოლოგიური მნიშვნელობა რეფლექსივის კატეგორიის თეალსაზრისით სხვადასხვა ენებში. თუმცა მ. მაჭავარიანი განასხევეებს უკუქცევითობასა და რეფლექსივს. იგი წერს, რომ რეფლექსივის დროს პიროვნების ე. წ. გასხვისება ხდება, ობიექტად ქცევა და "თავი" გამოდის პირდაპირი ობიექტის როლში, რათა გასხვისდეს სუბიექტი. ხოლო უკუქცევითობის შემთხვევაში ობიექტი მოექცევა მოქმედლისკენ. "ამდენად, სეარაუდებელია, რომ გარდაუვალი ზმნის მისაღებადაც არ არის აუცილებელი ზმნამ გაიაროს ჯერ თავი-გასხვისება და მხოლოდ ამის შემდეგ მოხდეს პირდაპირი ობიექტის მოსპობა, როგორც ამას რიგი მკვლევარი ვარაუდობს (ა. შანიძე, მ. სუხიშვილი)" (მ. მაჭავარიანი, 1987, გვ. 42). ფორმებში იმეფა, იბატონა, ითეეზავა, იდგა, იწვა იგულისხმება შინაარსი - თეითონ (ანუ არა სხვა). როგორც გ. ნებიერიძე აღნიშნავს, ეს არის ერთი პირის აქტიური სხვაზე მიუმართავი მოქმედება (გ. ნებიერიძე, 1976). როგორც არ უნდა იყოს, ზემოთ აღნიშნული ნიუანსებრივი სხვაობების მიუხედავად, უკუქცევითობის შინაარსი ყოველთვის გულისხმობს რეფლექსივის სემანტიკას და იგი ენის რეფლექსიური სისტემის აუცილებელი წევრია.

განსაკუთრებულ მიდგომას ითხოვს რეფლექსივი კაუზაციის პირობებში, როდესაც პირდაპირი ობიექტი პირველი ან მეორე პირია - შდრ. დაავიწყა მან მას ის, მაგრამ დაავიწყა მან მას ჩემი თავი, დაავიწყა მან მას შენი თავი, დაგავიწყა მან შენ ჩემი თავი, დამავიწყა მან მე შენი თავი. პირველი და მეორე პირის პირდაპირი ობიექტი რეფლექსური ფორმით შემოდის ზმნაში მესამე პირის ვარიანტით. დღევანდელ სალიტერატურო ქართულში ამას სხვა ალტერნატივა არა აქვს. ეს არის ის იშვიათი მოვლენა, როდესაც პირველი და მეორე პირები მესამისაგან განსხევეებულად რეფერენცირდებიან. (ეს კლასის კატეგორიის გამოვლინების შემთხვევაა) მესამე პირს აქვს არჩევანი - მოგვცეს ზმნური შესაბამისი რეფერენცირება დაავიწყა - მან მას ის, ან მიბაძოს პირველსა და მეორეს და შექმნას ხელოვნური, მაგრამ სიმეტრიული პარადიგმა - დაავიწყა მან მას მისი თავი.

საინტერესოა ტიმბერლეის მიდგომა, იგი წერს, რომ რეფლექსურობას ქვემდებარე აკონტროლებს ეგზისტენციალურ წინადადებაში, ხოლო ინვერტიზალურ წინადადებაში კი ირიბობიექტური კონტროლიორები გვაქვს. გრამატიკულ კატეგორიებს შესაბამება სხვადასხვა ტიპის ირიბობიექტური კონტროლიორები. დატივი კი აკონტროლებს რეფლექსივიზაციას. ის აკონტროლებს ეგზისტენციალურ და ინვერტირებულ პრედიკატს” (ა. ტიმბერლეი, 1982; გვ. 190). უნდა აღინიშნოს, რომ აქ საუბარი ეხება რუსული ენის მასალას, თუმცა ეს დასკვნები, ჩვენი აზრით, სცილდება კერძო გრამატიკის სფეროს და ტიპოლოგიურად საკმაოდ ფასეულია.

ირიბი რეფლექსივის თემას ეხება ბეხერტი, რომელიც სულიერობის კატეგორიით განსაზღვრავს ბრუნვათა ძირეულ სემანტიკას (ი. ბეხერტი, 1982, გვ. 411-429).

ქართული ზმნის რეფლექსიური ფორმების ანალიზისას ე. ბაბუნაშვილმა შენიშნა, რომ ი ინფიქსი ჩნდება უმეტესად სათაეისო ქცევის გარდამავალ ზმნებში და მათ უჭირთ ყველა მწკრივის წარმოება: ვიქონიებ, ვიყოლიებ, მოვიხმარიებ დაეიხვალიებ და ა. შ. ეს პროცესი დღესაც მიმდინარეობს. (ე. ბაბუნაშვილი, 2003, გვ. 118). ჩვენ ეს მოვლენა მოგვაგონებს ბასკურში ადრესატობის ცირკუმფიქსალური ტიპის წარმოების ეტაპს. შესაძლოა, ზმნის პრეფიქსალურმა პოლიფუნქციურმა ხმოვანმა ნიშნებმა ერთ-ერთი მორფოლოგიური ფუნქცია (რეფლექსივი ან მეორეული რეფლექსივი) სუფიქსალურად აქციოს. უნდა ითქვას, რომ ეს საკითხი უფრო ღრმა ანალიზს მოითხოვს შესაბამისი ემპირიული მასალის მონაცემებზე დაყრდნობით და ამ ეტაპზე ჩვენ მხოლოდ საკითხის დასმით შემოვიფარგლებით.

რეფლექსივი, როგორც სემანტიკური კატეგორია, ქცევის გარდა ახლოს დგას პოსესიურობასთან. ნაცვალსახელთან, ბრუნვათა და თანდებულთა სისტემებთან, უღლების კატეგორიებთან, პოლიპერსონალიზმთან, გარდამავლობასთან, გვართან და კაუზაციასთან მიმართებაში რეფლექსივის კატეგორია შესაბამის გრამატიკულ სტრუქტურებს ქმნის. ეს საკითხი მოითხოვს უფრო გულდასმით შესწავლას.

გასარკვევია ქართული რეფლექსივის ტიპოლოგიური სახეც, რომელიც იმთავითვე განსხვავებულია სხვა მრავალი ვარიანტისაგან თუნდაც იმით, რომ მან ძირითადად ქცევის კატეგორიაში იპოვა მორფოლოგიური თავშესაფარი და ამის მიზეზია ზმნური პრეფიქსული მონოპერსონალიზმი, რომელმაც პოლიპერსონალური სათბურის პირობები შეუქმნა ქართველურ რეფლექსივს და ჩამოაყალიბა იგი როგორც ცენტრიდანული დესტინაციის ოპოზიცია.

## ბასკური ზმნის ადრესატობის კატეგორია და ქართულ-ბასკური ზმნური დესტინაციის ტიპოლოგიური შეპირისპირება

ბასკურ ენაში დესტინაციური სემანტიკის გამოხატვა უპირველესად ზმნას აკისრია. ადრესატობა არის მორფოლოგიური ზმნური კატეგორია, რომელიც გამოხატავს მოქმედების დანიშნულებას. ასეთი დანიშნულება ბასკურ ზმნაში შეიძლება იყოს მხოლოდ ირიბი ობიექტისათვის. დესტინაციის უნივერსალური მოდელებიდან ბასკურს ახასიათებს მეოთხე მოდელი.

ადრესატობის კატეგორიის შინაარსი მდგომარეობს შემდგომში: ეს არის ზმნის ფორმა, რომელიც გვიჩვენებს, თუ ვისთვისაა მოქმედება დანიშნული ანუ ადრესირებული. მოქმედების დესტინაციური ექტორი, შესაძლოა, მიემართებოდეს პირველი, მეორე ან მესამე პირისაკენ, შესაბამისად, მათი მხოლოდობითი ან მრავლობითი ვარიანტებისაკენ. ბასკურში დესტინაციური მოქმედება მხოლოდ ირიბი ობიექტისაკენ მიემართება, ესე იგი, საობიექტოდ გვაქვს ნულოვანი, ანუ ნეიტრალური ფორმები და სასხვისო, ანუ საობიექტო ფორმები. ამაში მდგომარეობს ბასკური ზმნის ადრესატობის შინაარსი. რაც შეეხება ფორმას, უნდა ითქვას, რომ ყველგან, განურჩევლად დესტინატორი პირისა და რიცხვისა, ადრესატობის მარკერი არის *k/i*. თუმცა მრავლობითში ზოგჯერ ჩნდება *zki/i*. ამ კატეგორიის ძირითადი ნიშანი არის *i*. ჩვენი აზრით, ეს არის წარმოშობით ირიბი ობიექტის ბრუნვის ნიშანი – ანუ მიცემითის *i*. ეს ადვილად შეამჩნიეს ინდოევროპელმა მეცნიერებმაც და ასეთ დესტინაციურ ზმნურ ფორმებს “მიცემითიანი ფორმები” უწოდეს (რ. ლაფონი, 1984; 1988; პ. შუხარტი, 1995; პ. ანიბარო, 1970; რ. ასკუე, 1971; ა. ენაიდე, 1944; პ. დე ირისარი, 1980; შ. კინტანა, 1973; ი. ლაკა, 1993; ლ. მიხელენა, 1977; ო. დე ურბინა, 1991; ბ. ოიარსაბალი, 1993; რ. დე რიხკი, 1969; ფ. სოლოეტა, 1913; ა. ტოვარი, 1977; რ. ტრასკი, 1979). თუმცა მათ არ შეუქმნევიათ ადრესატობა, როგორც ზმნური კატეგორია.

ამ კატეგორიის ნიშანი ზმნაში ყოველთვის არის გამოხატული და ის წინ უძღვის ირიბი ობიექტის ნიშანს, რომელიც, თავის მხრივ, ყველა შემთხვევაში სუფიქსალურია და ასევე აუცილებლად გამოხატულია ზმნაში შესაბამისი მორფემით. ეს ორივე მორფემა (ადრესატობისა და ირიბი ობიექტის) ობლიგატორულია.

ყველგან, სადაც გვაქვს ირიბი ობიექტი, გვაქვს ადრესატობის კატეგორიაც. ამდენად, მას შესაძლოა, ირიბი ობიექტის კატეგორიაც ვუწოდოთ, რადგანაც ფაქტობრივად ეს არის ირიბი ობიექტის თანმდევი კატეგორია. მისი არსებობა ყველანაირად ირიბი ობიექტის არსით არის განსაზღვრული.

ადრესატობა არის გრამატიკული, კერძოდ მორფოლოგიური კატეგორია, რომელიც უჩვენებს, თუ ვისი ინტერესებისაკენ მიემართება სუბიექტის მიერ ჩადენილი მოქმედება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს კატეგორია გამოხატავს შემდეგს - თუ ვისი, ანუ რომელი ირიბი ობიექტური პირის ინტერესებისაკენ არის ორიენტირებული ანუ ადრესირებული ზმნით გადმოცემული მოქმედება. ამრიგად, ადრესატი არის ირიბი ობიექტი, რომელიც ზმნის მოქმედებაში ირიბად არის ჩართული, ეს გახლავთ დაინტერესებული აქტანტი. ტერმინები "ადრესატობა" და "ადრესატი" ამ კონკრეტული მორფო-სემანტიკური შინაარსით ჩვენ რამდენიმე წლის წინ შევეცადეთ ამ ტერმინთა დამკვიდრებას ი. ზიცართან ერთად.

ბასკურ ენაში ირიბი ობიექტური პირის მუდამ სულიერი აქტანტია და პასუხობს კითხვაზე *იონი?* - *ვის/ვისთვის/ვისკენ?* სახელებში ადრესატი, შესაძლოა, სხვადასხვაგვარად იყოს გაფორმებული. ძირითადად იგი დატივითაა გადმოცემული, იშვიათად კი დანიშნულებითობის შინაარსის მქონე თანდებულებით.

სინტაქსურად ადრესატი არის ირიბი დამატება. განვიხილოთ წინადადება: *Yon, berriz, amari agur egiten ari zaió* - იონი კი დედას ემშვიდობება, სიტყვასიტყვით: იონი კი დედას საღმებს აძლევს. აქ *amari* ადრესატია, გამოხატული საზოგადო სახელით მიცემით ბრუნვაში. სინტაქსურად კი ის არის ირიბი დამატება. საუღლებელი ზმნა *izan* - ყოფნა მოცემულია ფორმით *zaió. z* - III პ. მხ.რ. სუბიექტის ნიშანია, *O* - ირიბი ობიექტის III. პ. მხ.რ. მარკერი (*amari*), *a*- ძირეული ხმოვანია ანუ ფუძის ნაშთი ამ ფორმაში. ადრესატობის მარკერი კი არის *i*, რომელიც თითქოს სიგნალურად გვიჩვენებს და განსაზღვრავს, რომ მოქმედება მიემართება სიტყვისკენ *amari*, რომელსაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, თავის მხრივ, ზმნაში შეესაბამება ირიბი ობიექტის მესამე პირის მხოლოდითი რიცხვის მარკერი - *O*.

ადრესატი არის იგივე ირიბი აქტანტი. ბასკურ ზმნაში ჩართული ყველა ირიბი ობიექტი ადრესატია, ქართული ზმნის ირიბი ობიექტი კი, შესაძლოა, იყოს ბენეფაქტივი, პოსესორი, ლოკატივი და ა. შ.

ამდაგვარი განსხვავებული სემანტიკის აქტანტები კი უმეტესწილად, ბასკურში შესაბამისი თანდებულიანი ფორმებითაა მოცემული.

ადრესატობა არის ზმნაში გამოხატული დესტინაცია, რომლისთვისაც ამოსავალი წერტილია სუბიექტი, განურჩევლად მისი აქტიურობის ხარისხისა. ბასკური ზმნის ადრესატობა მხოლოდ სასხვისო ქცევის შინაარსს გადმოსცემს, რაც გულისხმობს ზმნური დანიშნულებითობის მიმართებებს სუბიექტის ინტერესების მიღმა. აქ დესტინაციური კატეგორიის ორიენტაციის ექტორი მიემართება სუბიექტიდან ობიექტისაკენ. თუ მოქმედების ცენტრად სუბიექტს გაეიაზრებთ, მაშინ ადრესატობა უნდა განვიხილოთ როგორც ცენტრიდანული ექტორული კატეგორია.

ბასკურ ზმნას, ისევე, როგორც ქართულს, არ შეუძლია ორი ადრესატის გამოხატვა ერთდროულად. ამიტომ იგი მხოლოდ ერთ, უახლოეს ადრესატს გამოხატავს ზმნაში.

თანამედროვე ბასკურ ენაში ზმნათა დიდი უმეტესობა პირიან ფორმათა ანალიტიკურ წარმოებას მიმართავს. მხოლოდ ათიოდე ზმნამ თუ შეინარჩუნა სინთეტური წარმოების ძველი ფორმები. ანალიტიკური წარმოების ზმნებს ტრადიციულ ბასკურ გრამატიკაში პერიფრაზული ეწოდება. სინთეტური ზმნებია: *egon* - დარჩენა, *joan* - წასვლა, *etorri* - მოსვლა, *ibili* - სიარული, *izan* - ყოფნა, *jakin* - ცოდნა, *eduki* - ქონა/ყოლა, *ekarri* - მოტანა, *eraman* - ტარება, *ihardun* - ჩართვა. ზოგიერთი სხვა ზმნაც ზოგჯერ სინთეტურ წარმოებას მიმართავს, ასეთებია: *jarin* - დინება, *erabili* - გამოყენება, *irudi* - მსგავსება, *esan* - თქმა.

ასევეა ზმნები *atxeki* - დართვა, *jarraiki* - მიყოლება, *eman* - მიცემა და *entzun* - მოსმენა.

ინდოევროპული ენების გავლენით იმდენად დიდია ამ ენის მიდრეკილება ანალიტიკური წარმოების მიმართ, რომ იქაც კი, სადაც გვაქვს სინთეტური წარმოება, არის პარელელური ანალიტიკური ფორმებიც, რომელთაც გარკვეული უპირატესობა ენიჭებათ ენის სინქრონიულ დონეზე. ადრესატობის კატეგორია, როგორც პოლიპერსონალური ზმნის კატეგორია, აისახება სინთეტური წარმოების ზმნებსა და დამხმარე ზმნეებში. ხშირად ბასკურ ზმნებს აქვთ პარალელური ფორმები, ანუ სინთეტურიც და ანალიტიკურიც. ანალიტიკური წარმოებით *izan* - ყოფნა ზმნა აწარმოებს გარდაუვალ არაეგრეტიულ ფორმებს და *ukan* - ქონა ა წარმოებს გარდაუვალ, ეგრეტიულ ფორმებს.

ადრესატის ბრუნვა მხოლოდ დატივია, როდესაც ამ ბრუნვის მიღმა არის ასახული იგივე სემანტიკის მქონე ირიბი მიმართება “თვის” ტიპის თანდებუდიანი ფორმებით, ადგილი აქვს აღწერით ადრესატობას, რომელიც სინტაქსური ხერხებით გადმოიცემა და არა ზმნის ფორმით. ასეთ დროს ზმნა რჩება ნეიტრალურ ფორმაში და არის უადრესატო; მაგალითად: *Gizonaren alde dago egin da*” (რ. პერერო, 1975, გვ. 325). ადამიანისთვის (ადამიანის სასარგებლოდ) გაკეთდა.

აქ ცხადია, რომ მოქმედება უშუალოდ ადამიანისათვის, მისი ინტერესებისათვის შესრულდა, მაგრამ ადრესატობა არა გვაქვს ზმნაში. *Amonaren galik erosi genuen* (რ. პერერო, 1975, გვ. 89). ბებისათვის ეყიედეთ. ამ წინადადებაშიც ფორმა “ბებისათვის”- *Amonaren gatik*, მართალია, დანიშნულებითობას გვიჩვენებს, მაგრამ ზმნაში არ გამოიხატება ეს სემანტიკა.

ადრესატობის ზმნური კატეგორია დატივის ნიშნითაა მოცემული ზმნაშიც. ამიტომაც მას ხან დატიურ ნიშნებს უწოდებდნენ, ხან - პრედატიურს, რადგანაც იგი ირიბი ობიექტის მარკერს უძღვის წინ. ინდოევროპულ ენებთან სიახლოვე ბასკურში იწვევს არა მარტო ანალიტიკური ფორმების სიჭარბეს, არამედ პოლიპერსონალური ზმნის რიგი კატეგორიების გადააზრებას.

ფილმორი სავსებით სამართლიანად აკრიტიკებს დეივერის შეხედულებას, რომ ორსახელიან წინადადებაში არჩევანი დატიესა და აკუზატიეს შორის სემანტიკურად არარელევანტურია და შემთხვევით კანონებს ექვემდებარება., ზოგჯერ კი თავისუფალ არჩევანსაც უშეებს. (ჩ. ფილმორი, 1981, გვ. 385). ყველაფერს რომ თავი დაეანებოთ, ენაში არ არსებობს შემთხვევითი კანონები. საგულისხმოა ფილმორის მიერ ჩატარებული ბრუნვათა გამოკვლევა. მეცნიერი ძირითადი ბრუნვების დახასიათებისას გამოყოფს სულიერისა და უსულოს კატეგორიებს. აგნტივი განსაზღვრულია, როგორც ზმნასთან იდენტიფიცირებული მოქმედების სულიერი ინიციატორი, დატივი კი სულიერი არსების ბრუნვა, რომელსაც ეხება ზმნით გამოხატული მოქმედება ან მდგომარეობა (ჩ. ფილმორი, 1981, გვ. 405-406). ფილმორი წერს, რომ “დატივი არის შესაბამისი ზმნით დასახელებული მოქმედების სულიერი აქტანტის ბრუნვა” (ჩ. ფილმორი, 1981, გვ. 408). წინადადებაში ბრუნვათა გარემოცვას მკვლევარი ბრუნვით ჩარჩოს უწოდებს და გამოყოფს სახელისა და ზმნის არჩევანს” (ჩ. ფილმორი, 1981, გვ. 415). გარკვეული ტიპის იერარქია კი გნსაზღვრავს, სახელის მიერ



წამოწეული ფუნქციებიდან რომელი უნდა განისაზღვროს, როგორც გრამატიკული (ჩ. ფილმორი, 1981, გვ. 530).

ა. ტიბმერლეიკს აზრით, დატივი აგრეთვე არის რეფლექსივის კონტროლიორი (ა. ტიბმერლეიკი, 1982, გვ. 190).

ფუიქრობთ, დატივის ძირითადი მორფემის გენეზისი ჩვენებით ნაცვალსახელებს უნდა უკავშირდებოდეს. მაგრამ ეს დიაქრონიული საკითხი ცალკე კვლევას მოითხოვს და ამჟამად მას ვერ შევეხებით. საინტერესოდ გვეჩვენება ნაცვალსახელთა ზიცარისეული ანალიზი  $gx \leftarrow g+u$ ,  $zu \leftarrow z+u$  სადაც  $u$  არის ფორმიდან  $ura$  - ის. ამასთან მიმართებაში ნიშანდობლივია ქართული სასხვისო ქცევის ურეფერენტის გაჩენა მესამე პირის ფორმებთან.

ადრესატობა არ არის დამოკიდებული გარდამავლობაზე. თუმცა შეგვიძლია გამოვეყოთ გარდამავალი და გარდაუვალი ადრესატობა. შესაბამისად, ბასკურში გვაქვს ერგატიული და არაერგატიული ადრესატობა. თავისთავად ობიექტის თანადროულად ორი მიმართულებით გააზრება ქმნის ამ ტიპის სისტემებს. სხვათაშორის, ეს ასახულიცაა უშუალოდ ადრესატობის მარკერზე. ჩვენი აზრით, **ki** შედგება დატიური (i) და ერგატიული (k) რეფერენტებისაგან. საფიქრებელია, რომ ბასკურში სწორედ ერგატიული დესტინაციაა პირველადი.

ადრესატობის კატეგორიის ძირითადი ისტორიული მარკერი არის i; სინქრონიულ დონეზე კი - ki/i. ადრესატობის მარკირება, შესაძლოა, იყოს ერთმორფემული ან ორმორფემული. ბასკურ ზმნაში ორივე ვარიანტი არსებობს. ორმორფემული მარკირება გულისხმობს დესტინაციის სემანტიკის კლასიკური ფორმით გადმოცემას: ადრესატობის მარკერთა და ირიბი ობიექტის ნიშნით. აგლუტინაციის პრინციპის მიხედვით, აქ ფუნქციები განაწილებულია - დესტინაციის ზოგადი, არსებითი სემანტიკა გადმოცემულია ადრესატობის მარკერით და კონკრეტული ადრესატი კი დაზუსტებულია მეორე მორფემით - ირიბი ობიექტური პირისა და რიცხვის გამომხატველი მორფემით.

ერთმორფემული ადრესატობა კი არის მოცემული მხოლოდ ირიბი ობიექტური პირისა და რიცხვის გამომხატველი მორფემით, ადრესატობის მარკერის გარეშე. ბუნებრივია, რომ გასაგები მიზეზების გამო მიუღებელია შებრუნებული ვარიანტი - ადრესატობის მარკერი ირიბი ობიექტური პირისა და რიცხვის გამომხატველი მორფემის გარეშე. ცხადია, რომ ადრესატობის მარკერები i/ki ვერ

მიუთითებენ კონკრეტულად იმ პირს, რომლისკენაც მიემართება მოქმედების დესტინაციური ვექტორი. ადრესატობა დანიშნულებითი მიზანმიმართულების გამოხატეაა ზმნაში. ამ კონკრეტულ მიმართულებას კი ზმნაში უკვე ირიბი ობიექტი აზუსტებს თავისი მარკერებით. ინჩაუსტი მათ “პირიან დატიეებს უწოდებს” (ბ. ინჩაუსტი, 1960, გვ. 15).

ადრესატობის მარკერები /i/ki არ იცვლება პირისა და რიცხვის მიხედვით. ეს მარკერები უცვლელია უღლების ყველა სხვადასხვა ფორმაში. ჩვენი აზრით, დიაქრონიულად ki ერგატიული ადრესატობის მარკერია. დესტინაცია და ადრესატობა, როგორც პოლიპერსონალური ზმნის მქონე ენათა წამყვანი კატეგორიები, შესაძლოა, ზოგჯერ ფორმოზოგიურ ერთიანობასაც ქმნიდნენ. ამდენად, მოსალოდნელია, გექნდეს ამ ორი კატეგორიის დაახლოებული ვარიანტიც - ერგატიული ადრესატობა. სემანტიკურად ერგატიული დესტინაცია გულისხმობს ისეთ ფორმას, როდესაც ტრანზიტული ზმნის მოაზროვნე სუბიექტს ჰყავს ადრესატი პარტნიორი ზმნაში, ანუ ვინ კატეგორიის დესტინატი. ნათელია, რომ ბასკურ ზმნაში აისახებოდა კლასის კატეგორია. პირველი და მეორე მეტყველების აქტში მონაწილე პირები კონკრეტული პირებია და არ სჭირდებათ დამატებითი მითითება. მესამე არა-პირი (nonperson) (ე. ბენვენისტი, 1974, გვ. 262) კი არის “კორელაციის არამარკირებული წევრი” (ე. ბენვენისტი, 1974, გვ. 289) და იგი საჭიროებს დაზუსტებასა და მითითებას. ის შიძლება იყოს პროქსიმალური ან ობიექტური (თ. გაზერელიძე, ზ. კიკნაძე, ი. შადური, ნ. შენგელაია, 2003, გვ. 215).

საგულისხმოა, რომ ბასკურსა და ქართულში მესამე პირის ნაცვალსახელებს სივრცობრივი მიმართების თვალსაზრისით იდენტური ტიპის სამგანზომილებიანი მოდელი აქვთ. ეს კი გულისხმობს ფართო სემანტიკურ დიაპაზონს მესამე პირის ცნებაში, რაც მეტად მოითხოვს ადრესატი პირის იდენტიფიკაციას. აქედან გამომდინარე, ნათელი ხდება, რომ ადრესატობის მარკერი სწორედ მესამე პირში ჩამოყალიბდა და შემდეგ ანალოგიისა თუ სიმეტრიის პრინციპით გადავიდა პირველსა და მეორე პირებში.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სავარაუდოდ ადრესატობის მარკერები ჩვენებითი ნაცვალსახელებიდან უნდა მომდინარეობდეს, მით უფრო, რომ საყოველთაოდ აღიარებულია პირის ნიშანთა ნაცვალსახელური წარმოშობა ბასკურ ზმნაში (და არა მარტო ბასკურში).

დიალექტურ სხვაობებს ბასკური დესტინაციის კატეგორია არ გეიწვენებს. მხოლოდ მცირედი (ფონეტიკური მიზეზებით გამოწვეული) სხვაობა თუ შეინიშნება.

ნებისმიერი გრამატიკული კატეგორიისათვის აუცილებელი მოთხოვნაა საოპოზიციო ცალების ქონა. როგორც რენე ლაფონი აღნიშნავს, ადრესატობის კატეგორია, ერთი მხრივ, დიდ მრავალფეროვნებას გეიწვენებს დიაქრონიულ ჭრილში და დიალექტებში, მეორე მხრივ, კი ის არის საკმაოდ მწყობრი და თანმიმდევრული სისტემა უღლების პარადიგმათა მიხედვით. ადრესატული ფორმები არანაირ სხვაობას არ გეაძლევს უღლების სხედასხვა რიგებში. ე. ი. თუ ზმნა ადრესატულია, ის ადრესატული იქნება ყველა რიგში, დროისა და კილოს ცვლილებათა მიუხედავად. ხოლო თუ ზმნა არაადრესატულია, ის ყველგან არაადრესატული, ანუ უადრესატო დარჩება. ეს პრინციპი ადრესატობის კატეგორიის მწყობრ სისტემას წარმოქმნის ბასკურ ზმანში.

ბასკური და ქართული ზმნური დესტინაციის კატეგორიათა ტიპოლოგიური შეპირისპირება საინტერესო სურათს იძლევა. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ აქ საუბარი გვაქვს, რა თქმა უნდა, სინქრონიულ ანალიზზე. ბასკური ზმნა დესტინაციის გამოხატვისას პრინციპულად თანმიმდევრულია, ისევე, როგორც ზმნური პირების გამოხატვის შემთხვევაში. ქართულში კი შედარებით ნაკლებია ასეთი თანმიმდევრობა და არც პირთა რეფერენცირებაა მუდამ ობლიგატორული. პირველი და მეორე ობიექტური პირები (პირდაპირიც და ირიბიც) მუდამ გამოხატულია ზმნაში, სამაგიეროდ, მესამე პირის პირდაპირი ობიექტი საერთოდ უნიშნოა და ირიბი კი ძალზე სუსტადაა რეფერენცირებული და ხშირ შემთხვევაში ნულია. ეს ფაქტორი, თავის მხრივ, ბევრ რამეს განაპირობებს. იგი გახდა ძირითადი მიზეზი პირიანობის მორფოლოგიური სურათის ახლებური გადაზრებისათვის.

ქართულ ზმნაში გვაქვს ორი ვარიანტი:

1. შესაძლოა გვექონდეს ირიბი ობიექტი და არ გვექონდეს გამოხატული ქცევა (მისწერა, სცემა).

აქ გვაქვს ორი შემთხვევა:

ა. საერთოდ არა გვაქვს გამოხატული ქცევა (მისწერა, სცემა და სხვ.);

ბ. გვაქვს ნეიტრალური ვერსია (აათალა, გამოაცალა და სხვ.). შესაბამისად, ეს არის ორპირიანი გარდაუვალი ან სამპირიანი ზმნები.

2. შესაძლოა, გექონდეს ირიბი ობიექტი და გექონდეს გამოხატული ქცევა (უზის, უშენებს). ესეც არის ორპირიანი გარდაუვალი ან სამპირიანი ზმნები.

არსებობს მესამე ვარიანტიც - ორპირიან გარდამავალ ზმნებში ინტროვერტიზაციის მოვლენა, რომელიც ტრადიციულ ენათმეცნიერებაში გააზრებულია როგორც ქვევის საოპოზიციო ფორმა. ეს გახლავთ ე. წ. სათავისო ქცევა. უნდა ითქვას, რომ დიაქრონიულად ეს ნამდვილად სხვა კატეგორიაა, თუმცა ის სინქრონიულ ჭრილში საოპოზიციო ფორმებს ირიბი ობიექტის სასხვისო ქვევის ფორმებთან დიდი წარმატებით აყალიბებს და ამდენად, უდავოა სათავისო ქცევის არსებობა ენაში. ე. ი. ქართულში არსებობს მესამე განსაკუთრებული ვარიანტიც - არ არის ირიბი ობიექტი და არის (სათავისო) ქცევა (იკეთებს, იშენეს).

ბასკურ ენაში ამ ყველა ვარიანტს ტიპოლოგიურად შეესაბამება ორი ვარიანტი:

1. გვაქვს ირიბი ობიექტი და გვაქვს გამოხატული ადრესატობა.
2. არ გვაქვს ირიბი ობიექტი და არ გვაქვს გამოხატული ადრესატობა.

ზმნათა დესტინაციური ფორმების წარმოების ასეთი სხვაობა შესაბამის საფუძველს იძლევა იმისთვის, რომ ამ ენათა სისტემებში არათანაბრად გაიშალოს დესტინაციური სემანტიკა. რადგანაც ბასკური ზმნა მეტი თანმიმდევრობით ასახავს დანიშნულებითობას, მას შედარებით ნაკლები საშუალებები აქვს ამ შინაარსის სხვა მორფოლოგიური ფორმებით გადმოსაცემად. რაც შეეხება ქართულს, იგი ბასკურთან შედარებით გაცილებით მდიდარია დესტინაციის გრამატიკულ რეფერენცირებაში.

ენათა მორფოლოგიური კატეგორიების შეპირისპირებანი მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ტიპოლოგიისათვის, არამედ ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერებისათვისაც. ცნობილია, რომ ისტორიულ-შედარებით ენათმეცნიერებაში საყოველთაოდ მიღებულია ენათა ნათესაობის დასადგენად რეგულარული ბგერათშესატყვისობის გამოვლენა.

დღემდე ძირითადად მხოლოდ ამ პრინციპით განისაზღვრებოდა ენათა გენეტიკური ნათესაობა. ეს, რა თქმა უნდა, ენათა ნათესაობის უტყუარი საბუთია და ეჭვს არც დღეს იწვევს. თუმცა უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ლექსიკაში გამოვლენილი რეგულარული ბგერათშესატყვისობები დიაქრონიული ვერტიკალის შედარებით ზედა შრეებზეა რეალურად შესამჩნევი. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ

როდესაც ენის ისტორიასა და წარსულზე საუბარი, იგულისხმება დროის გაცილებით დიდი მონაკვეთი ვიდრე შესაბამისი ენის ლიტერატურაში შეიძლება დადასტურდეს. უდავოა, რომ ენის განვითარება უფრო ხანგრძლივი და ნელი პროცესია. ასე მაგალითად, მეოცე საუკუნის ოციანი წლების ქართული ლიტერატურა არ არის თანამედრე ქართული ლიტერატურა, მაგრამ ამ პერიოდის ენა ახალი ქართული ენაა. ეს არ გახლავთ პარალელური სინქარები. თითოეულ ენაში სხვადასხვა სისწრაფით ხდება ცვლილებების დამკვიდრება. ეს არის ენის განვითარების სინქარე, რაც დამოკიდებულია საყოველთაოდ ცნობილ სოციალურ-ისტორიულ, საზოგადოებრივ და სხვა ტიპის ფაქტორებზე. ენის სისტემური ტიპის ცვლილებების კოეფიციენტი, ჩვენი ვარაუდით, დაახლოებით 10-12-ჯერ დაბალია შესაბამისი შალიტერატურო ენის ცვლილებებთან შედარებით. თუმცა ეს კონკრეტული მონაცემი მასალობრივ დადასტურებას, ან შესაძლოა, შესწორებასაც საჭიროებს. როცა ვსაუბრობთ ენის დიაქრონიასა და ისტორიულ ფორმებზე, აუცილებლად გასათვალისწინებელია ეს კოეფიციენტი. მით უფრო, რომ ყოველი ლინგვისტური ძიება მხოლოდ ენაში არსებულ კონკრეტულ ლიტერატურას, ე. წ. მასალას ეყრდნობა.

იქ, სადაც ასეთი ტიპის რეგულარული ბგერათშესატყვისობა არ დასტურდება და ნათესაობის საკითხი კი სხვა ტიპის მონაცემებზე დაყრდნობით თითქოს ეჭვს არ იწვევს, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამოცანა, შესაძლოა, უფრო მარტივ ამოხსნას ექვემდებარებოდეს. თითქმის აქსიომატურად ჟღერს შემდეგი ლინგვისტური დებულება: ენათა ნათესაობის დასადგენად საჭირო და საკმარისია მორფემებში ბგერათშესატყვისობებისა და მორფოლოგიურ კატეგორათა ფუნქციურ-სტრუქტურული სიმეტრიის ან ასიმეტრიის გამოვლენა რეფერენციალურ დონეზე. ჩვენი თეორია ეყრდნობა იმ საყოველთაოდ მიღებულ აზრს, რომ მორფოლოგია გაცილებით მყარია, ვიდრე ლექსიკა და მისი ცვლილებების ტემპი რამდენჯერმე ნაკლებია ლექსიკასთან შედარებით.

თავისთავად მორფემა არის კონკრეტული სემანტიკის ფორმა ანუ სემანტიკური კატეგორიის გრამატიკული სხეული. არ არსებობს მორფოლოგია სემანტიკის გარეშე. ყველაფერში დევს ან იგულისხმება ფუნქციური დატვირთვა, შინაარსი. მორფო-სემანტიკა არის ნებისმიერი ენის აზრი და გული. ტრადიციულად რეგულარულ ბგერათშესატყვისობათა გამოვლენა ლექსიკის დონეზე ხდება. ჩვენ კი გთავაზობთ

მოქმედების ცენტრის გადატანას მორფოლოგიაში. ფაქტობრივად ბგერათშესატყვისობათა გამოვლენა უნდა მოხდეს მორფემათა დონეზე და არა მხოლოდ ძირეულ მორფემებში. ასეთი მიდგომით მივიღებთ დიაქრონიული ფერტიკალის გაცილებით ქვედა, შორეული ფენების რეალურ კომპარატიულ სურათს. უნდა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ საჭიროა სრული ან პროცენტულად გადამწყვეტი სისტემური შესატყვისობების დადგენა მორფო-სემანტიკაში. ერთი და ორი კატეგორიის დონეზე საკითხი ამოწურულად გერ ჩაითვლება.

მორფემები ხშირ შემთხვევაში ისტორიულად დამოუკიდებელი სიტყვებია. გაუიხსენოთ ბრუნვისა და პირის ნიშანთა ნაცვალსახელური წარმოშობა. მორფემა არის ენის უძველესი ფორმანტი. თუკი ასეთი ფორმანტები ფონოლოგიური შესატყვისობების პარალელურად გვიჩვენებენ სტრუქტურულ მსგავსებას ენათა შორის, მაშინ უდავო იქნება ამ ენათა ნათესაობაც. ფაქტობრივად, მორფემათა სისტემაში დევს ენის უძველესი მიკრო-სემანტიკის სურათი.

მორფემათა შესაბამისობანი ენის სტრუქტურაში განისაზღვრება ოთხი ძირითადი პარამეტრით:

1. კონკრეტული გრამატიკული ანუ მორფო-სემანტიკური კატეგორიის არსით,
2. საოპოზიციო ფორმათა სისტემით,
3. აფიქსური ფორმითა და პოზიციით,
4. ენაში სხვა კატეგორიებთან მიმართებით.

კონკრეტული მაგალითისთვის განვიხილოთ ქართული ქცევისა და ბასკური ადრესატობის კატეგორიები. აქ ორივე შემთხვევაში ეს არის დესტინაციის ზმნური კატეგორია და მისი ძირითადი ნიშანი არის *i*. რაც შეეხება საოპოზიციო სისტემას, ესეც იდენტურია. გვაქვს ორგანზომილებიანი მოდელი – ქცევიანი და უქცეო ფორმები (როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქართულში ისტორიულად ორგანზომილებიანი მოდელი დასტურდება). დესტინაციის კატეგორიის აფიქსური ფორმა ორივე შემთხვევაში პრეფიქსურია. ბასკურმა ორმაგი გამოხატვის ფორმას მიმართა და სუფიქსითაც გაიმყარა ამ კატეგორიის მორფო-სემანტიკა. ამასაც, რა თქმა უნდა, შესაბამისი მიზეზები ჰქონდა, როგორც მოგახსენეთ. დესტინაციის კატეგორიის სხვა გრამატიკულ კატეგორიებთან მიმართებები ორივე ენაში პარალელურ სიმეტრიას გვაძლევს. ეს არის შესაბამისი მიმართება პირისა და პირიანობის

კატეგორიებთან, გვართან, ბრუნეისა და უღლების სისტემებთან, თანდებულებთან, რეფლექსივთან, კაუზატივთან, ერგატიულობასთან და კლასის კატეგორიასთან. არსებითად, ეს თანაფარდი კატეგორიათა შორისი მიმართებებია ბასკურსა და ქართულში.

აღსანიშნავია, რომ ირიბი მიმართების ორმაგი გამოხატვა (ქცევის/ადრესატობის კატეგორიის ნიშნით და ირიბი ობიექტის პირის ნიშნით) დამახასიათებელია ბასკურისათვისაც და ქართულისათვისაც. ქართულშიც გვაქვს ბასკურის იდენტური ზმნათა კლასიფიკაცია ირიბი ობიექტის ასახვის თვალსაზრისით. უნდა ისიც აღინიშნოს, რომ ქართულში შედარებით მცირეა ისეთ ზმნათა რიცხვი, რომელთაც ირიბი მიმართების ერთმორფემული გამოხატვა ახასიათებთ; ასეთებია: მისცა, მისწერა, პითხა და ა. შ. ძირითადად კი ქართულიც ბასკურის მსგავსად ირჩევს ორმაგი რეფერენცირების გზას, ანუ ირიბი მიმართება გადმოიცემა ორი მორფემის კომბინაციით – პირის ნიშნითა და ქცევის ნიშნით. აქ საინტერესოა ერთი გარემოება, კერძოდ - საერთოდ, არსებობს ეკონომიზმის უნივერსალური პრინციპი ენის განვითარებაში, რაც გულისხმობს ფორმათა გამარტივებას. ზემოაღნიშნული მოვლენა კი თითქოს ამას არ ეთანხმება. ჩვენ ეუფიქრობთ, რომ ორივე ენა არსებითად ორ კატეგორიად გაიზარებს ირიბ მიმართებას: ცხადია, ეს ახლომდგომი კატეგორიებია (პირი და ქცევა/ადრესატობა) და აგლუტინაციის პრინციპის დაცვით მათ ცალ-ცალკე მორფემები მიენიჭებათ. თუმცა, უნდა ითქვას, რომ თანაბარი მიმართება არ არის ამ ორ კატეგორიას შორის. პირის კატეგორია შედარებით დამოუკიდებელია და შესაძლოა, არარეფერენცირებულმა ქცევამ (ადრესატობამაც დაიქრონიულად) ზმნაში მოგვეცეს მხოლოდ რეფერენცირებული პირის კატეგორია, მაგრამ არარეფერენცირებული პირი ქცევა/ადრესატობას ვერ გამოხატავს (ნათელია, რომ აქ რელევანტური ვერ იქნება მორფოლოგიურად ნულოვანი მარკირების ან ფონეტიკური ფაქტორების გამო გაუჩინარებული პირის ნიშნები).

როგორც აღვნიშნეთ, ქართული და ბასკური ენები მსგავსებას აქვთ ირიბი მიმართების გამოხატვისას როგორც მორფოლოგიურად, ისე სემანტიკურ პლანშიც. მაგრამ ამ კონკრეტული მონაცემების დადებითი პასუხის მიუხედავად, ჩვენ ვერ ვისაუბრებთ ბასკურ-ქართულ ნათესაობაზე, რადგანაც ეს არ არის საკმარისი. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მორფემათა ასეთი ტიპის ბგერათშესატყვევისობებისა და შესაბამისი ფუნქციურ-სტრუქტურული სიმეტრიის ან კანონზომიერი

ასიმეტრიის გამოსაყვანად შესადარებელ ენათა მთლიანი სტრუქტურები უნდა დამუშავდეს.

გამოვეყოფთ რელევანტურ კატეგორიებსა და რელევანტობის კოეფიციენტს; მაგალითისთვის, ერთნაირი მნიშვნელობა ეერ მიენიჭება პოლიპერსონალური ზმნის ძირითად მორფო-სემანტიკურ კატეგორიებსა და შორისდებულების სისტემას. მხოლოდ ენის ძირითადი გრამატიკული მორფოლოგიური კატეგორიები იქნება რელევანტური.

ზემოთ შემოთავაზებული მეთოდით ენათა ნათესაობის დადებითი პასუხის დასადგენად აგრეთვე საჭიროა შესადარებელ ენებში მორფო-სემანტიკურ ვექტორთა პროცენტულად გადამწვევები რაოდენობის შესაბამისობების გამოვლენა.

კონკრეტულ ენათა ნათესაობის დასადგენად ტიპოლოგიური თვალსაზრისით უნდა დამუშავდეს ენაში არსებული მორფო-სემანტიკური დონეები, განისაზღვროს რელევანტური და ირელევანტური მოვლენები. ასეთი კვლევისათვის აუცილებელია ორი ძირითადი პირობის გათვალისწინება:

1. ბერის დიაპაზონის განსაზღვრა და დასაშვები ფონოლოგიური ვარიაციები, ანუ რა დონის ცვლილება შეიძლება გვიჩვენოს ამა თუ იმ ბერამ.
2. მორფოლოგიურ კატეგორიათა სემანტიკური სტრუქტურის დიაპაზონის განსაზღვრა ანუ დასაშვები მორფო-სემანტიკური ვარიაციები.

აქვე დავსძენთ, რომ თავისთავად მორფოლოგიური შეპირისპირებანი, რა თქმა უნდა, ახალი არაა და ამ მხრივ უამრავი საქმეა გაკეთებული ისტორიულ-შედარებით ენათმეცნიერებაში. მაგრამ ჩვენ საუბარი გვაქვს მთლიანი, სისტემური ტიპის შეპირსპირებით ანალიზზე. მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ შესაძლოა, არ გეკონდეს ენაში მორფემათა ფონოლოგიური თანხვედრა, მაგრამ იყოს პრე-კონცეპტუალური განპირობებულობა. ვთქვათ, რომელიმე N კატეგორიის მორფო-სემანტიკისათვის ამოსავალია რაღაც შინაარსი, რომელსაც A, B, C ფონოლოგიურად განსხვავებული მორფოლოგიური ვარიანტები აქვთ. ასეთ შემთხვევებში შესაბამისობად ჩაითვლება ამ (A, B, C) დიაპაზონში არსებული ან დასაშვები ვარიაცია; მაგალითად: მეგრულში ერგატივის ნიშანია ქ, რომელიც არის კ ბერის ფშვინვიერი ვარიანტი. როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, ჩვენი აზრით, ეს მორფემა წარმოქმნილია განუსაზღვრელი ნაცვალსახელიდან კოჩი (კაცი) და ამდენად, შესაბამება ქართულ-საენურ მ-ს, რომელსაც



თავის მხრივ, ამოსავალი აქვს იმავე ტიპის ნაცვალსახელური ენკატეგორიის სემანტიკიდან – მე/მარე. აქ შესაბამისობაც ნათელია, თუმცა ფონეტიკურად კ და მ მორფემებს საერთო არაფერი აქვთ.

ამრიგად, შესაძლოა ამოსავალი ფორმისათვის დაეწესათ საერთო სემანტიკა, რომელიც შესაძარებელ ენათა რეინტეგრაციის სხვადასხვა ეტაპსა და დონეზე მორფონოლოგიურად დიფერენცირებული ერთეულებით შეიძლება დახასიათდეს. ეს არის ტიპოლოგიური მიდგომა (ან მეთოდი), რომელიც ძალზე ფაქიზ მიდგომას მოითხოვს გენერატიულ ლინგვისტიკაში. უნდა აუცილებლად გაითვალისწინოთ სემანტიკურ კატეგორიათა ზოგადი ხასიათი და ზუსტად გაემიჯნოთ ზოგადი და კერძო სემანტიკური მოვლენები ენაში. აქვე უნდა განისაზღვროს კონკრეტულ მორფო-სემანტიკურ სისტემათა ძირითადი პარამეტრები კერძო შემთხვევებისათვის, რაც ამოსავალი იქნება მონათესავე ენათა სისტემების კვლევის დროს.

უნდა იხიცი ალინიშნოს, რომ ზოგჯერ მონათესავე ენებშიც მწყობრი ლოგიკით არ მუშაობს ესა თუ ის მორფოლოგიური კატეგორიის სისტემა, მაგალითად: ზანური ერგატივის რეფერენციალური და სემანტიკური მხარეები ქართულთან შესაბამისობაში.

უნდა განისაზღვროს სტრუქტურაში რა არის ძირითადი – ეს იქნება მთლიანი მორფო-სემანტიკა. ცალკეულ რეფერენტთან შედარებით მას მიენიჭება უპირატესობა. თუმცა, როგორც აღენიშნეთ, სემანტიკას მიეყავართ უნივერსალიებთან (ეს კი უმოკლესი გზაა ბაბილონის გოდოლის ლინგვისტური თეორიისაკენ. თუმცა ეს გახლავთ ლინგვისტური პოეზიის საკითხები). ეს თემა ამიტომ საკმაოდ სერიოზულ მიდგომას საჭიროებს. ბოლო პერიოდში გახშირდა არალინგვისტური ფაქტორების წარმატებულად შემოტანა ენათმეცნიერულ კვლევებში. ეს მოვლენა, უპირველეს ყოვლისა, სემანტიკის სფეროს ეხება და ამ ეტაპზე საკმაოდ წარმატებულიც არის ინტერდისციპლინარულ მეცნიერებათა განვითარების ფონზე.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ენათა ნათესაობის შემოთავაზებული მეთოდით დადგენისას საჭიროა სტრუქტურათა გარკვეული პროცენტული თანხვედრა, ეთქვამთ, 75-80%.

მიგვაჩნია, რომ უადრესად საინტერესო იქნებოდა იბერიულ-კავკასიურ ენათა დამუშავება მორფემათა ბგერათშესატყევისობებისა და ფუნქციურ-სტრუქტურული სიმეტრიის ან ასიმეტრიის გამოსავლენად. ვფიქრობთ, რომ ამით უამრავ კითხვას გაეცემა პასუხი ისტორიულ-შედარებით ენათმეცნიერებაში.

საერთოდ, ენაში ნებისმიერი კატეგორიის შიდა სტრუქტურული ანალიზის სრულყოფის მიზნით აუცილებელია ტიპოლოგიური დახასიათება. ჩვენ ვფიქრობთ, რომ დიაქრონია საერთოდ წარმოუდგენელია ტიპოლოგიური ანალიზის გარეშე, თუმცა სინქრონიული აღწერისათვისაც საკმაოდ ღირებულია ტიპოლოგიური შეპირისპირების მეთოდი. ენათა შედარებითი ტიპოლოგია გამოავლენს ზოგად უნივერსალურსა და კერძო ენობრივ მოვლენებს. ამასთან, იგი სარგებლობს ენათა შედარების ყოველგვარი სახეობით. ენათა ტიპოლოგიური კლასიფიკაცია ეყრდნობა ენებში უნივერსალიათა გამოხატვის სხვადასხვაობის პრინციპებს” (ე. კურილოვიჩი, 1960, გვ. 151).

ტიპოლოგიური კვლევის თვალსაზრისით ბასკური, როგორც იზოლირებული ენა, ფასდაუდებელი განძია. უაღრესად მნიშვნელოვანია მისი შეპირისპირება სხვა ენებთან და მათ შორის კავკასიურთან (პ. შუხარტი, 1950, გვ. 144).

“ენის ლექსიკურ-გრამატიკული კატეგორიები ბუნებრივ კორელაციაში არიან სემანტიკურ-სინტაქსურ კატეგორიებთან” (ს. კაცნელსონი, 1986 გვ. 214). ამიტომაც ბასკური და ქართული ზმნური დესტინატური სისტემების ტიპოლოგიური ანალიზი სამ დონეზე უნდა ჩატარდეს:

1. ფუნქციონალურ-სემანტიკურ,
2. მორფო-სინტაქსურ და
3. რეფერენციალურ დონეებზე.

ფუნქციონალურ-სემანტიკურ დონეზე ადრესატობა და ვერსია ფაქტობრივად იდენტური კატეგორიებია; ორივე უჩვენებს ზმნით გამოხატული მოქმედების მიმართებას დაინტერესებული აქტანტისაკენ. ეს არის ზმნის შინაგანი დინამიკის ვექტორული კატეგორიები. თუმცა ბასკურისაგან განსხვავებით, ქართულში სათავისო ქცევა ვერსიის საოპოზიციო ცალია სინქრონიულ დონეზე. ეს გახლავთ ძირითადი და ერთადერთი სხვაობა ადრესატობასა და ვერსიას შორის ფუნქციონალურ-სემანტიკურ დონეზე.

ბასკური და ქართული ზმნური დესტინაციური სისტემების ტიპოლოგიური შეპირისპირება მორფო-სინტაქსურ დონეზე უფრო მეტ სხვაობას გვიჩვენებს. ქართული ზმნის ვერსია განასხვავებს შიდა კატეგორიალურ საოპოზიციო ფორმებს (ნეიტრალური, საობიექტო და სასუბიექტო), ბასკური ზმნის ადრესატობა კი ასეთ სხვაობას არ იცნობს. ბასკურში ადრესატული და უაღრესატო ფორმები ქმნის ოპოზიციას. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ მოვლენის მიზეზი არის

ის, რომ ბასკურში რეფლექსივი ლექსიკური ფორმით გადმოიცემა ზმნის გარეთ. თუ გაეითვადისწინებთ ქართული ზმნის პრეფიქსური მონოპერსონალიზმის დიაქრონიულ სურათს ვერსიის ორგანოზომი-ლებიანი მოდელით, შესაძლებელია ბასკურ და ქართულ ზმნურ დესტინაციურ სისტემათა იზომორფიზმზე საუბარი ფუნქციონალურ-სემანტიკურ და მორფო-სინტაქსურ დონეებზე. თავდაპირველი ამოსავალი ადრესატობისათვისაც და გერსიისათვისაც იყო ბინარული ოპოზიცია. დესტინაციის ასეთი ბინარული სქემა უნივერსალურია ტიპოლოგიური თვალსაზრისით.

რამდენადაც ზმნური დესტინაცია ძირითადად ირიბი მიმართების ბინარული კატეგორიაა, უპირანია ადრესატობის კატეგორია მხოლოდ ობიექტურ ვერსიასთან იქნეს შედარებული. ადრესატული და სასხვისო-ქცევითი ფორმათა სემანტიკური წარმოების ძირითადი მოდელები იდენტურია:

$$S+O_{ind} \Rightarrow S, O_{ind}.$$

$$S, O_{d.} + O_{ind} \Rightarrow S, O_{d.}, O_{ind}.$$

აქ გვინდა ხაზი გავუსვათ გარკვეული ტიპის შინაარსობრივ სხვა-დასხვაობას ადრესატული და სასხვისო-ქცევითი ფორმათა წარმოებისას. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ქართული ზმნის ირიბი ობიექტი უფრო ფართო შინაარსის შეიძლება იყოს: ადრესატი, პოსესორი, ბენეფაქტივი, ლოკატივი და ა.შ. ამიტომ ქართულში, შესაძლოა, გექონდეს ორპირიანი გარდაუვალი ზმნები სასხვისო ქცევის შინაარსის გარეშე და ამ შინაარსის შესაძენად ზმნას დასჭირდება არა ზმნის პირიანობის (ანუ პრედიკატის ვალენტობის) გაზრდა, არამედ ირიბი ობიექტის თვისობრიობის ცვლა, მაგ.: შდრ. აზის-უზის, აწვეს-უწვეს და ა. შ.

ადრესატობა და ობიექტური ვერსია ერთნაირ სინტაქსურ მოდელს მიმართავენ: დატიურ ბრუნვაში დასმული დაინტერესებული აქტანტი ირიბი დამატებაა, რომელსაც კონკრეტული ადგილი არ გააჩნია წინადადებაში, რადგანაც ორივე ენაში სიტყვათა თავისუფალი რიგი გვაქვს.

ბასკური და ქართული ზმნური დესტინაციური სისტემების ფუნქციონალურ-სემანტიკური და მორფო-სინტაქსური ტიპოლოგიური სურათი ასეთია:

ზმნის პირიანობა	ვერსია	ადრესატობა
S	ნეიტრალური საობიექტო ქცევის გარეშე	უადრესატო
S, Od.	ნეიტრალური, სასუბიექტო, საობიექტო ქცევის გარეშე	უადრესატო
S, Oind.	ნეიტრალური, საობიექტო ქცევა	ადრესატული
S, Od. Oind.	ნეიტრალური, საობიექტო ქცევა	ადრესატული

ჩანს, რომ ქართულში ნებისმიერი პირიანობის ზმნას აქვს ნეიტრალური ფორმები. ამიტომაც იგი საოპოზიციოდ ღირებული არაა. აქვე გვინდა, დავამატოთ, რომ ისეთი ბინარული ოპოზიციის შემთხვევაში, როგორცაა მოიტანა/მოუტანა, გაიგო/გაუგო, მოიგონა/მოუგონა ნეიტრალური შინაარსის დატვირთვა სუბიექტური ვერსიის ფორმებზე მოდის. ეს არის ფიქტიური ოპოზიცია რეფერენციალური თვალსაზრისით.


ვერსია-ადრესატობის საბოლოო შესაღარებელი სურათი ასე გამოიყურება:

ზმნის პირიანობა	ვერსია	ადრესატობა
S	საობიექტო ქცევის გარეშე	უადრესატო
S, Od.	საობიექტო ქცევის გარეშე	უადრესატო
S, Oind.	საობიექტო ქცევა	ადრესატული
S, Od. Oind.	საობიექტო ქცევა	ადრესატული

ქართულში გვაქვს ვერსიის თვალსაზრისით უარყოფითი ზმნები: არის, იცის, სუფევს, აქვს, ახსოვს, უწყის, უყვარს და ა. შ. ამ ზმნებს არასდროს ეწარმოებათ საობიექტო ფორმები, თუმცა ფორმით ისინი ქცევიანი ზმნებია. ასეთი ზმნები ფორმით მუდამ დადებითია და შინაარსით – უარყოფითი და უქცეო ზმნებია.

ქართულისაგან განსხვავებით, ბასკურ ზმნას შეუძლია დაუბრკოლებლად დაურთოს ირიბი ობიექტი და ადრესატობის დესტინაციის მარკერი და ამით დესტინაციის შინაარსი შეიტანოს ნებისმიერ ზმნაში. ზოგჯერ სემანტიკურად ეს საკმაოდ რთული გასააზრებელიცაა და ხელოვნურობის შთაბეჭდილებასაც ქმნის ენა თავისი მწყობრი სისტემით. ეს თითქოს ერთგვარი ბოდიშია ზმნათა სინთეტურ წარმოებაზე მასიური გადასვლის გამო.

როგორც უკვე ითქვა, სინქრონიულ დონეზე ქართულს აქვს ვერსიის სამგანზომილებიანი მოდელი, ბასკურს კი ადრესატობის ორგანზომილებიანი მოდელი.



ქცევა და ადრესატობა არის ზმნის დერივაციული კატეგორიები, რომელთათვისაც უმთავრესია ზმნის პოლიპერსონალიზმი და მნიშვნელობა არა აქვს გარდამავლობას.

რაც შეეხება რეფერენციალურ დონეს, აქ ყველაზე მეტია სხვაობა ამ კატეგორიათა შორის. აღმონიშნული მსგავსებები კი, შესაძლოა, შემთხვევით დამთხვევად მივიჩნიოთ. უპირველესად უნდა ითქვას, რომ ვერსიის კატეგორიის მარკერები პრეფიქსურია, ხოლო ადრესატობის მარკერები – სუფიქსური. თუმცა ჩვენ ვისაუბრეთ ადრესატობის პრეფიქსური წარმოების დიაქრონიულ ასპექტზეც. ამ კატეგორიათა მარკერების პოზიციები სარკისებრ ასიმეტრიას გვიჩვენებს – კატეგორიის მარკერი მიემართება ირიბი ობიექტის რეფერენტისაკენ. ქართულში ირიბი ობიექტის მარკერები პრეფიქსურია, ხოლო ბასკურში – სუფიქსური. შესაბამისად, ზმნური დესტინაციის რეფერენტებიც ერთგან გვაქვს პრეფიქსური, მეორეგან კი – სუფიქსური.

ადრესატობისა და ვერსიის მარკერთა ფონოლოგია განსხვავებულია: ki/i - i/a/u. თუმცა, i არის ორივე შემთხვევაში ზმნური დესტინაციის ძირითადი მარკერი. ეს ალბათ შემთხვევითია, თუ არ ვისაუბრებთ ფონოსემანტიკაზე და ბგერათა შესაბამის უნივერსალურ ფონოლოგიურ შეფერილობაზე ან პოლიპერსონალურ ზმნებში ხმოვან პრეფიქსთა დიაქრონიულ სემანტიკაზე. სინქრონიულად ქართულში ეოკალთა ტრიადა გვაქვს (ე), ბასკურში კი ან ერთი ეოკალი, ან კოსონანტი და ეოკალი (V/CV). ზმნური დესტინაციის ფონოლოგიური შემადგენლობის ამ ტიპის სხვადასხვაობა ხელშესახებია.

ქართულში ვერსიას აქვს ერთმორფემული ან ორმორფემული მარკირება. ასევეა ბასკურშიც, ოღონდ სხვაობა ქართულში არის შიდა სტრუქტურული ოპოზიციის მხრივ. მაგალითად, პირველ და მეორე პირებში აუცილებლად ორმორფემული მარკირება გვაქვს, რათა სამგანზომილებიანი მოდელი ზუსტად განისაზღვროს: ე-ი-კეთებ/მ-ი-კეთებ. აქ ფაქტობრივად პირის ნიშანი განასხვავებს ქცევას. ამ მოვლენას სხვა ქართველმა სპეციალისტებმაც მიაქციეს ყურადღება (მ. მაჭავარიანი, 1987, გვ. 21). აქ “ი” არა თუ პირზე, არამედ კონკრეტულად ქცევის ფორმაზეც კი ვერ მიუთითებს.

ქცევის ერთმორფემული მარკირება გვაქვს ნეიტრალურ ფორმებში, სადაც მხოლოდ ირიბი ობიექტის ნიშანია (ს-წერს, ს-თლის) ან მხოლოდ ნეიტრალური ქცევის ნიშანია (ა-კეთებს, ა-შენებს) წარმოდგენილი და სასხვისო ქცევის მესამე პირის ფორმებში (უ-ხატავ,

უწერ, უ-შენებ). სასხეისო ქცევის ერთმორფემული მარკირება მხოლოდ მესამე პირის ფორმებშია შესაძლებელი, ისიც იმიტომ, რომ თავად ეს მორფემა (უ) არის განსხვავებული. ბასკურში კი პირის რომელობის მიხედვით რეფერენტთა ცვლილებას ადგილი არა აქვს.

ორივე კატეგორიას (ვერსიასა და ადრესატობას), შესაძლოა, ჰქონდეს ერთმორფემული ან ორმორფემული მარკირება. მაგრამ მათ თვისობრივად განსხვავებული მიდგომა გააჩნიათ საკითხისადმი.

ქართული ვერსიის რეფერენტები პრეფიქსურია, ბასკური ადრესატობის მარკერები კი სუფიქსური. მაგრამ ისინი სარკისებრ ასიმეტრიას ქმნიან, რადგანაც ორივე შემთხვევაში მორფო-სემანტიკური ვექტორი ირიბი ობიექტის მარკერისაკენ მიემართება; ხოლო ირიბი ობიექტის მარკირება ქართულში პრეფიქსურია, ბასკურში კი სუფიქსური. ვერსიისა და ადრესატობის კატეგორიის მორფო-სემანტური ვექტორული ასიმეტრია ასეთია:

ირიბი ობიექტის მარკერი ←– ვერსიის მარკერი -  
=> ზმნის ფუძე, ანუ O ind. ← i/u/a → Verb

ზმნის ფუძე ← ადრესატობის მარკერი —> ირიბი  
ობიექტის მარკერი, ანუ Verb ← ki/I → O ind.

ადრესატობის დიაქრონიული მორფო-სინტაქსური ვექტორი ბასკურში მთლიანად იმეორებს ქართულის მოდელს.

## ზმნისგართა დესტინაციის ტიპოლოგია

ნაშრომის დასაწყისში მოყვანილ დესტინაციის ზოგად მოდელს მთლიანად შეესაბამება ქართული ენის დესტინაციური სისტემა. უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ მიერ ზემოთ წარმოდგენილი კლასიფიკაცია ეყრდნობა მეტყველების ნაწილების შანიძისეულ კლასიფიკაციას და კატეგორიათა ტრადიციულ გააზრებას, რაც გარკვეულ ცვლილებებს ნამდვილად საჭიროებს, მაგრამ ამ საკითხზე მსჯელობა ჩვენი *სტრუქტურული* ნაშრომის ფარგლებში ზედმეტად მიგეაჩნია.

დესტინაცია, როგორც მორფო-სემანტიკური კატეგორია, აისახება ბრუნვისა და უღლების სისტემებში, ზმნის ფორმებში, სახელთა დერივაციასა და თანდებულებში.

ქართული ენის მორფოლოგიური ფორმაცვალებადი ფლექსიური სახელური დესტინაციის ნიმუშია მიცემით, ნათესაობით და ვითარებით ბრუნვითა დანიშნულებითი არსი და მათი ფორმები. ვითარებითი ბრუნვის დესტინაციური შინაარსი (მაგ. ჩემდა, ჩემად) თანამედროვე ქართულში შედარებით დაეიწროვდა ნათესაობით-მიცემითის და თვის-თანდებულის ფორმების აქტიურობის ხარჯზე ამ კატეგორიის გამოხატვისას. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ დანიშნულებით-მიზნობრიობის თვალსაზრისით, ვითარებით ბრუნვას განსაკუთრებული როლი გააჩნია ქართულ ენაში. საგულისხმოა, რომ საწყისის ა-სა და ვითარებითი ბრუნვას ზიარი დესტინაციური ფუნქციები გააჩნიათ, შდრ. წერ-ა და დაჯდა წერ-ად. დესტინაციური შინაარსი ნათლად იკითხება ასეთი ტიპის ინფინიტიურ კონსტრუქციებში “ხშირად გვხვდება ძველ ქართულში: “ასე დგას დაცემად და აღმართებად” ლ. 2,34; “მსგავსად აღდგომითა მით მკუდრეთით იესუ ქრისტესითა”, სინ. მრავ. 169, 67; “მცირისა ქალისა სიტყუად ისმინე, უვარებად მოიწიე”, კლარჯ. მრავ. 368,3 და სხვ.” (პ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი, 2000. გვ. 74-75)

სხვა ენებში დამატებით სხვა ბრუნვებსაც შეუძლიათ დესტინაციის შინაარსის გადმოცემა (მაგალითად, დესტინატივს, ბენეფაქტივს და მისთ.).

მორფოლოგიური ფორმაუცვლელი დესტინაციის ნიმუშია თანდებულები: თვის, და, იზა/გულიზა/გულობიზა და ზმნისწინები მი და მო. ჩვენი ღრმა რწმენით, ასეთი ანალიზის დროს დიალექტური ფორმებიც ანგარიშგასაწევია. ყველაზე უფრო მეტი დიალექტური სიტრელე თანდებულებთან ახასიათებს დესტინაციას. ასევეა



ბასკურშიც, დესტინაციური შინაარსის თანდებულები დიალექტური ნაირგვარობითაა წარმოდგენილი ენაში.

მორფოლოგიური ფორმაცვალებადი ფლექსიური ზმნური დესტინაცია აღინიშნება უღლებაში. საყურადღებოა მესამე სერიის ფორმები და ე. წ. მედიოაქტივები.

მორფოლოგიური ფორმაცვალებადი დერივაციული სახელური დესტინაცია მკვეთრადაა გამოხატული სახელთა წარმოქმნაში დანიშნულებითობის მაწარმოებელი სისტემით: სა-ე, სა-ო, სა-ეთ, სა-ურ, ცირკუმფიქსებით, -ად სუფიქსით და ა. შ. ამდგარი ტიპის დესტინაცია წმინდა სემანტიკური თეისობრიობითა და მეტ-ნაკლები დესტინაციით გამოირჩევა. ამ ტიპის დესტინაციურ ფორმებში არსებობს გარკვეული გრადაცია ამ კატეგორიის თვალსაზრისით. რიგი აფიქსები უფრო მკვეთრად გადმოსცემენ დესტინაციას სხეუბთან შედარებით; მაგალითად, ცირკუმფიქსები სა-ე და სა-ო საკმაოდ მკაფიოდ მიუთითებს დესტინაციის სემანტიკაზე, სა-ეთ და სა-ურ კი შედარებით სუსტად გადმოსცემს ამ შინაარსს.

ქართლისათვის მაინც ყველაზე მნიშვნელოვანი, რა თქმა უნდა, მორფოლოგიური ფორმაცვალებადი დერივაციული ზმნური დესტინაციაა, რადგანაც იგი შედარებით ტევადია და ქართულში მთლიანად წარმართავს სინტაქსურ ვარიაციებს. დესტინაციის სემანტიკას შეიცავს ქცევა ანუ ვერსია, რეფლექსივი და კონტაქტი. ცხადია, ვერსია არის ცენტრალური და ძირითადი კატეგორია, რომელიც მართავს ამ სემანტიკის გამომხატველ შესაბამის სინტაქსურ კომბინაციებს.

ამა თუ იმ სემანტიკური კატეგორიის სინტაქსური ფორმა არის მორფოლოგიური ფორმების გარკვეული კომბინაცია. ენაში უნივერსალურად არსებობს სამი ტიპის თეორიული სინტაქსური კომბინაციები:

1. მიღებული და სალიტერატურო ნორმით განმტკიცებული კომბინაციები;
2. კატეგორიის გამოხატვის თვალსაზრისით ჭარბი ან ნაკლები კომბინაციები, რომელიც დასაშვებია, მაგრამ არა სალიტერატურო ენისათვის;
3. ენისათვის მიუღებელი კომბინაცია, ანუ აკრძალვა.

სინტაქსური დესტინაცია შეიძლება, იყოს განპირობებული ან გექონდეს თავისუფალი ვარიაციით. ძირითადი მორფო-სინტაქსური დესტინაციის დისტრიბუცია ასეთია:

1. ავაშენე – სხვისთვის  
 ავაშენე - ჩემთვის  
 ავაშენე - არავისთვის  
 ავაშენე  
 ეს ფორმები პირველი ტიპის კომბინაციებს განეკუთვნება.
2. ავიშენე – ჩემთვის - ეს არის მეორე ტიპის კომბინაცია.  
 ავიშენე - ეს არის პირველი ტიპის კომბინაცია.
3. აეუშენე - მისთვის - მიუღებელია, ეს არის მესამე ტიპის კომბინაცია.

პირველ შემთხვევაში ნეიტრალურ ფორმებს აქვთ ვარიანტი სინტაქსურად გადმოსცენ მორფოლოგიური მოდელის სამივე წევრის შინაარსი.

მეორე შემთხვევაში სინტაქსურად მხოლოდ რეფლექსივის გადმოცემაა შესაძლებელი (ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს ზემოთ გამოთქმულ აზრს რეფლექსივის შესახებ – რომ იგი კერძო მოვლენაა).

მესამე შემთხვევაში კი სინტაქსი მთლიანად შეზღუდულია არჩევანში და მხოლოდ მორფოლოგიური პრიორიტეტი აღინიშნება (დამატებითი მიმანიშნებელი აქტანტის გამოჩენის იშვიათი შემთხვევების გარდა, მაგ. აეუშენე მე მას ის ჩემთვის ან სხვისთვის).

ნეიტრალური ვერსიის ფორმები სინტაქსურ დატვირთვას აძლიერებენ და, ბუნებრივია, მონოპერსონალურ ენებში აქ იქნება ძირითადი აქცენტი.

ენათა უმრავლესობაში დესტინატის ბრუნვა მიცემითია ან თვის თანდებულებიანი ნათესაობითი (ან ამ ფუნქციას სხვადასხვა ბრუნვებიც ინაწილებენ). ამ თვალსაზრისით საგულისხმოა ქართულ ენაში ირიბი ობიექტის ბედი სამპირიანი ზმნის მესამე სერიაში.

ინფინიტიური კონსტრუქციები მიზნობრივ-დესტინაციური სემანტიკური შინაარსის მატარებელია. ზმნა-საწყისი (ინფინიტივი) ვითარებით ბრუნვაშია წარმოდგენილი: დაჯდა წერად. ამ ფორმათა პარალელურია ზმნა მომავალდროიანი მიმლეობის ფორმებით: დაჯდა დასაწერად. ნაკლებად მოსალოდნელი პარალელური ფორმაა ზმნა საწყისი (ინფინიტივი) თვის თანდებულებით: დაჯდა დაწერისთვის.

ინფინიტივი არის ნულოვანი მოქმედება, ე. ი. პოტენციური აქტი ანუ სემანტიკურად შესასრულებელი (დასაწყებელი, იგივე საწყისი). უნივერსალურია, რომ ასეთ ფორმებში აუცილებლად ივარაუდება დესტინაციის მიზნობრივი შინაარსი. აქედან გამომდინარე, უნივერსალურია ინფინიტიური კატეგორიები დანიშნულებითობის შინაარსით. ამდენად,

გასაგებია, თუ რატომაც არის შესაძლებელი ამ კონსტრუქციითა ჩანაცვლება მომავალდროინი მიმდევობით.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სხვადასხვა ენაში დესტინაციური შინაარსი აქეთ კერძო ბრუნვებს. ბრუნვა არის წინადადებაში სხვა სიტყვებთან ურთიერთობის ფორმა. საერთოდ, ენათმეცნიერება იცნობს შემდგომ ბრუნვებს:

- აბლატივი
- აბსოლუტივი
- აკუზატივი
- ბენეფიკტივი
- გენეტივი
- დატივი
- ელატივი
- ექუატივი
- ერგატივი
- ესივი
- ვოკატივი
- ილატივი
- ინესივი
- ინსტრუმენტალისი
- კაუზატივი
- კომიტატივი
- ლატივი
- ლოკატივი
- ნომინატივი
- პარტიტივი
- პროლატივი
- სუპერესივი
- ტრანსლატივი

აქედან ბასკურს ახასიათებს შემდეგი ბრუნვები:  
s. pl.

ნომინატივი ანუ სახელობითი - 0 -(a)k

ერგატივი ანუ მოთხრობითი - k -ek

დატივი ანუ მიცემითი - r-i -ei

გენეტივი ანუ ნათესაობითი - z -az/etaz

კომიტატივი – თანაობითი - r-ekin -ekin

ნათესაობითი - განსაზღვრებითი - tako -etako

ლოკატივი - ადგილობითი - *tan -etan/engan*

ღირექციონალური- მიმართულებითი - *tara -ctara/engana*

აბლატივი - გამოსვლითი -*tatik -etatik/engandik*

პარტიტივი - ნაწილყოფითი -*r-ik ----*

ზიცართან ცალკე ბრუნებად არ მოიაზრება ალატივი ანუ მიზნობრივი, ტერმინატივი ანუ მიღწევითი, რადგანაც ეს ორივე არის ღირექციონალური ანუ მიმართულებითი ბრუნვის შემადგენელი მიღწევითობის შინაარსის მქონე ფორმები ერთნაირი ძირეული მარკერით - *ra*.

მნიშვნელოვანია, რომ ტრასკი ცალკე ბრუნებად გამოყოფს დესტინატივს, რაც არის შინაარსით იგივე ბენეფაქტივი, თუმცა განსხვავებულია მარკირებით, რადგანაც ბენეფაქტივი *-entzat* სულიერი სახელებისთვისაა განკუთვნილი, ხოლო დესტინატივი *-rako* უსულო სახელების ბრუნვის ფორმაა. აქ ადგილი აქვს დესტინატივის კლასის მიხედვით განსხვავებულ მარკირებას.

ამრიგად, ბასკური ენა დესტინაციის კატეგორიაში აშკარად განასხვავებს კლასის კატეგორიას სინქრონიულ დონეზეც. სხვათა შორის, ბრუნვათა სისტემაში დღესაც საკმაოდ პროდუქტიულია კლასის კატეგორია ბასკურში. კერძოდ, სულიერი-უსულოს კატეგორია აისახება ლოკალურ ბრუნვებშიც:

ადგილობითი - *tan* ბრუნვის მარკერი უსულო სახელებში და - *etan/engan* სულიერ სახელებში;

მიმართულებითი - *tara* უსულო სახელთა ბრუნვაში და სულიერ სახელთათვის -*etara/engana*;

გამოსვლითი ბრუნვის მარკერი უსულო სახელებში -*tatik* და - *etatik/engandik* მარკერი სულიერ სახელებში.

ამ ფორმებში კლასის ნიშანიც კი გამოიყოფა, სულიერობის მარკერი -*en*. ეს მოვლენა ნაწილობრივ ისიარ ლაკასაც აქვს აღწერილი თავის გრამატიკაში (ი. ლაკა, 1993).

უნდა აღინიშნოს, რომ ბრუნვათა ამ ფორმებში რიცხვის მიხედვით კლასის კატეგორია სხვაობას არ ქმნის, ანუ მრავლობითში იგივე მარკერებია, რაც მხოლობითში.

თანამედროვე ბასკოლოგიაში მკვეთრი ზღვარი არაა გავლებული სახელთა ბრუნებისას თანდებულიან და უთანდებულო ფორმათა შორის და, როგორც ვნახეთ, ყველაფერი ერთიანი სისტემითაა წარმოდგენილი. ჩვენ ვეყრდნობით ტრადიციული ბასკოლოგიის ამ არსებულ მონაცემებს და არ განვიხილავთ თანდებულიან ფორმათა ლოკალური ბრუნების სიაში შეტანის მიზანშეწონილობის საკითხს.

ბასკურ ენაში დესტინაციის შინაარსი აქვს ბრუნვათაგან შემდგომ საოპოზიციო ფორმებს:

1. დატივი;
2. გენეტივი;
3. ბენეფაქტივი, რომელიც ტრასკის მიხედვით ბრუნვაა და ზიცართან კი მხოლოდ თანდებულიანი ბრუნვაა;
4. დესტინატივი, რომელიც ტრასკთან ბრუნვაა და ზიცართან კი მხოლოდ თანდებულიანი ბენეფაქტივის ოპოზიცია.

დატივისა და გენეტივის შინაარსთა გარკვეული სიახლოვე საყოველთაო ფაქტია, მაგრამ ძირითადი სხვაობა მათ შორის არის ის, რომ დატივი არის ზმნური დესტინაცია-პოსესიურობის სემანტიკის ამსახველი, ხოლო გენეტივი მნიშვნელოვანწილად სახელური ტიპის დესტინაცია-პოსესიურობას გადმოსცემს. ცხადია, დატივი არის დესტინაციის ძირითადი ბრუნვა.

სახელთა ფლექსიურ დესტინაციაში უპირველესი როლი ეკუთვნის დატივს. ორივე ენაში (ბასკურშიც და ქართულშიც) იგი არის ირიბი ობიექტის ბრუნვა, როგორც ადრესატის, რეციპიენტის, ბენეფაქტორის ან პოსესორი აქტანტის ბრუნვა.

ბასკურში აღინიშნება დატივის ორი ფორმა. კერძოდ, ზოგიერთ დიალექტში სახელებს ჩვენებითი ნაცვალსახელები დაერთვის ფორმანტით *xe*, რომელიც, საერთოდ, წინ უძღვის ბრუნვის ნიშანს, მაგალითად:

Honexek/horrexek/harexek	ekartzen	du	egunkaria.
ა/მას – <i>ერგ.</i> მოაქვს გაზეთი.			
Honexen/horrexen/harexen	arraina	da	freskuena.
ა/მისი – <i>გენ.</i> თვეზი ახალია.			

თუმცა, როგორც ირკვევა, ასეთ შემთხვევებში სხვა ბრუნვათაგან განსხვავებით დატიეს აქეს პოზიციის დიალექტური არჩევანი. ის შეიძლება წინ უძღვოდეს ან უკან მოსდევდეს ამ ფორმანტს:

Hone-xe-ri erosi diot arraina.

Hon-i-xe erosi diot arraina.

(ა)მას – დატ. თეზი მოეუტანე.

დატიეის ფორმაში გაჩენილ r-ს ხმოვანთაშორისად მიიჩნევს ი. ლაქა. იგი წერს, რომ “r არ მიეკუთვნება ბრუნვის მორფემას და აქ ადგილი აქვს ეპინთეზისს” (ი. ლაქა, 1993, გვ. 4). ტრასკს მიაჩნია, რომ ბასკურ ენაში გრამატიკული რელაციების ორმაგ გამოხატვას აქვს ადგილი ზმნაში და ბრუნვაში. ი. ლაქა ამ აზრს ასე აყალიბებს, “როდესაც გარკვეული აზრობლივი ხაზგასმაა საჭირო, მაშინ აუცილებელი ხდება ზმნის აქტანტების სინტაქსური გამოხატვა შესაბამისი ნაცვალსახელებით” (ი. ლაქა, 1993, გვ. 24).

ისიარ ლაქას მოსაზრებას ზემოხსენებულ საკითხზე ჩვენ მთლიანად ვიზიარებთ. აქტანტთა შესაბამისი აზრობრივი დატვირთვა ხომ უნივერსალურია პოლიპერსონალური ენებისათვის პირველი და მეორე პირების შემთხვევაში, რადგანაც ეს მეტყველების აქტში მონაწილე კონკრეტული პირებია. ბასკური დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მოსაუბრე პირს და განასხვავებს მეორე პირის ხუთ ფორმას. (მხოლოდითი, მრავლობითი, ზრდილობიანი ფორმა და ე. წ. ალოკუტური ფორმები: მდებდრობითი და მამრობითი) ეს კი, თავის მხრივ, ზრდის ადრესატული ფორმების რიცხვს.

ზემოთ მოყვანილი დესტინაციის ზოგად მოდელს ბასკური, ქართულისგან განსხვავებით, მთლიანად ვერ ავსებს. ქართულ ენაში უფრო ფართოდ არის დესტინაციის სისტემა გაშლილი, ვიდრე ბასკურში. ქართულს შეუძლია ეს შინაარსი ასახოს დესტინატური შინაარსის მქონე დერივაციული აფიქსებით. ბასკურში კი ასეთი რამ შეუძლებელია. მას საერთოდ არ ახასიათებს ისეთი ტიპის სიტყვაწარმოება, როგორიცაა ქართული სახელების აფიქსური დერივაცია.

დესტინაციის ზოგად მოდელს ბასკურში აკლია სახელური დესტინაციის დერივაციული ფორმები და ზმნური ფლექსიური დესტინაცია. თუმცა სავარაუდოა, რომ ეს უკანასკნელი დიაქრონიულ ჭრილში დადასტურდეს ბასკური ზმნის ხმოვანი პრეფიქსების მორფო-სემანტიკურ ფონზე, რის შესახებაც ზემოთ გვქონდა საუბარი.

როგორც უკვე აღენიშნეთ, ამა თუ იმ კატეგორიის სინტაქსური გამოხატვა არის ამ კატეგორიის სემანტიკის ფარგლებში მორფოლოგიურ ფორმათა კომბინაცია. შესაბამისად, სინტაქსური დესტინაციის ორი ძირითადი მოდელი ასეთია:

1. დატიური კონსტრუქციით წარმოდგენილი დესტინაცია. ეს არის ზმნა დესტინაციური მარკირებით პლიუს დატიური აქტანტი.

**Destinat. -Verb + N-Dative**

2. ზმნისგარეთა დესტინაცია წარმოდგენილი ზმნის ნეიტრალური ფორმით და სახელი დესტინაციური თანდებულებით.

**Neutral. -Vebr + N-Destinat. postpositon.**

მთავარი სხვაობა ბასკურსა და ქართულ სისტემებს შორის ისაა, რომ ზმნაში გამოხატული დესტინაცია ქართულში შეიძლება იყოს მარკირებული ნეიტრალური ფორმაც და სასუბიექტო ფორმაც. ამიტომ ჩვენ მხოლოდ საობიექტო ქცევა უნდა ვიქონიოთ მხედველობაში ასეთი შეპირისპირებისას. თუმცა, ცხადია, რომ სისტემათა მორფოლოგიური სხვადასხვაობა პირდაპირ აისახება სინტაქსზე.

როგორც გიეონი წერს: “დღევანდელი მორფოლოგია ეს არის გუშინდელი სინტაქსი” (თ. გიეონი, 1990). აქედან გამომდინარე, ალბათ, შესაძლოა, ხვალინდელი მორფოლოგიის აგება დღევანდელ სინტაქზე დაყრდნობით. ყოველ შემთხვევაში, სტრუქტურულად შესაძლებელია მომავლის ზოგადტიპოლოგიური ენობრივი თეორიული მოდელების შექმნა კონკრეტული ენების დიაქრონიულ-სინქრონიული მასალისა და მათი განვითარების ტენდენციათა საფუძველზე.

## პირითადი დასკვნები

წარმოდგენილ ნაშრომში მოცემულია ტერმინ “დესტინაციის” დამკვიდრების ცდა და განსაზღვრულია ის, როგორც ფართო სემანტიკური კატეგორია, რომელიც კონკრეტულ ენაში რეალიზებულია შესაბამისი მორფო-სინტაქსით. დესტინაცია, როგორც მორფო-სემანტიკური კატეგორია აისახება ბრუნებისა და უღლების სისტემებში, სახელთა დერივაციასა და თანდებულებში. ნაშრომში განხილულია ქართული და ბასკური დესტინაციური სისტემები და ჩატარებულია ამ სისტემათა ტიპოლოგიური ანალიზი. ნაშრომი თეორიული თვალსაზრისითაც შეიცავს გარკვეულ სიახლეებს.

დესტინაცია, როგორც სემანტიკური კატეგორია კერძო ენათა მორფო-სინტაქსში შესაბამის მოდელებს ქმნის. დესტინაცია განასხეავებს ორი ტიპის სემას: პოსესიური დესტინაცია და ორიენტირებული, ანუ მიზნობრივი დესტინაცია. ეს ორი სემა ერთმანეთთან საკმაოდ ახლოა და ხშირად რთიერთგადამკვეთი, საზიარო სემანტიკური ველებით ხასიათდება. დესტინაციის ზოგადი ენობრივი მოდელის მიხედვით, ბასკური და ქართული ენები პოლიპერსონალურ ზმნაში გამოხატულ დესტინაციას ანიჭებენ უპირატესობას. ამ ენებში ზმნური დესტინაცია განსაზღვრავს და განაპირობებს დესტინაციის მთლიანი სისტემის ფუნქციონირებას ენის იერარქიის სხვადასვა დონეზე.

საერთოდ, ზმნური ექსტრავერტული დესტინაცია მხოლოდ პოლიპერსონალურ ზმნებს ახასიათებთ და, თავის მხრივ, პოლიპერსონალიზმი არის უმთავრესი პირობა დესტინაციის ზმნური გამოხატვისათვის. ზმნური დესტინაციის თეორიული მოდელიდან ქართული ენისთვის სინქრონიულ დონეზე სამგამზომილებიანი მოდელია დამახასიათებელი, თუმცა დიაქრონიულად, ბასკურისა და აფხაზურის მსგავსად, ქართულშიც ორგანოზომილებიანი მოდელია ამოსავალი. ამის დასტურია ქცევის საერთო მარკერი სხვადასხვა საოპოზიციო ფორმებისათვის.

დესტინაციის ინტერკატეგორიული მიმართებები განსაზღვრავს ამ კატეგორიის უმნიშვნელოვანეს როლს განსაკუთრებით პოლიპერსონალური ზმნების მქონე ენათა სისტემებში. პირი, ბრუნვა და დესტინაცია ირიბი მიმართების გრამატიკულ ფორმათა თანაშემოქმედი კატეგორიებია. პარალელურად პირდაპირი მიმართების სემანტიკურ-გრამატიკული კატეგორიებისადმი კომბინირებულ მიდგომას გულისხმობს პირი, ბრუნვა და ერგატიულობა. რაც შეეხება კლასის კატე



გორიას, იგი მართლაც გამსჭვალაეს ორივე ენის მორფოლოგიას და სინტაქსსაც.

ერგატიულობა, როგორც გრამატიკული კატეგორია, სიმეტრიას ქმნის დესტინაციასთან. ერთი პირდაპირი ობიექტის კატეგორიაა, მეორე კი, - ირიბის. ჩვენ მიერ განხილულ ენათა შესაბამისი მონაცემები გვინყენებს, რომ შეიძლება გეჟონდეს ამ ორი კატეგორიის შერწყმული ვარიანტიც - ერგატიული ადრესატობა. სემანტიკურად ერგატიული დესტინაცია გულისხმობს ისეთ ფორმას, როდესაც ტრანზიტული ზმნის მოაზროვნე სუბიექტს ჰყავს ადრესატი პარტნიორი ზმნაში, ანუ ვინ კატეგორიის დესტინატი. ასეთი (ერგატიული დესტინაციის) მორფო-სემანტიკის მატარებელია ბასკური ზმნის *ki* მორფემა. ბასკური, როგორც წმინდა ერგატიული ენა შედარებით თანმიმდევრულია ერგატიულობის გამოხატვაში, ქართული, კი, როგორც ნაწილობრივი ერგატიულობის მქონე ენა, დესტინაციის კატეგორიას უპირატესობას ანიჭებს გამოხატვის პლანში.

ადრესატობა არის გრამატიკული, კერძოდ, მორფოლოგიური კატეგორია, რომელიც უზენებს, თუ ვისი ინტერესებისაკენ მიემართება, ვისკენ არის ორიენტირებული, ანუ ადრესირებული სუბიექტის მიერ ჩადენილი მოქმედება. ადრესატი არის ირიბი ობიექტი, ანუ ზმნის მოქმედებაში ირიბად ჩართული დაინტერესებული აქტანტი.

თანამედროვე ენაში სინთეტური უღლების სულ ათიოდე ზმნა შემორჩა ბასკურს. სწორედ ამ ზმნებში გვაქვს ადრესატობის კატეგორია გამოხატული.

სინქრონიულ დონეზე ბასკურ პოლიპერსონალურ ზმნაში დესტინაცია გადმოიცემა *ki/i* სუფიქსური მარკერებით. თუმცა, საფიქრებელია, რომ დიაქრონიულად ბასკურ ზმნას დესტინაციის პრეფიქსული მარკირება ახასიათებდა, ქართულ პოლიპერსონალურ ხმოვანპრეფიქსთა მსგავსად. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქართული პოლიპერსონალური ზმნის კატეგორიებისა და მათი რეფერენტების ანალიზი ნათელყოფს იმ გარემობას, რომ ქართული სულ უფრო და უფრო სცილდება აგლუტინაციის პრინციპებს. ერთ მორფემას ხშირად აქვს რამდენიმე ტიპის განსხვავებული ფუნქცია და მხოლოდ კონკრეტულ ფორმაში ხდება ამ თუ იმ მორფემის კონკრეტული სემანტიკის რეალიზება. ეს არის ერთ-ერთი ძირითადი სხვაობა ბასკურსა და ქართულს შორის. ბასკური ენა მყარად იცავს აგლუტინაციის წესებს.

ბასკურ ზმნაში სინქრონიულ დონეზე ადრესატობის მარკერის პოზიცია არის ირიბი ობიექტის სუფიქსური ნიშნის წინ, რაც რანგობრივად გულისხმობს ამ კატეგორიის (ადრესატობის) უპირატესობას. ქართულშიც და ბასკურშიც დესტინაციის მარკერი რანგობრივად ირიბი ობიექტის, ანუ დესტინატის პირად მარკერზე მაღალია. ქართული და ბასკური ზმნური დესტინაციის რეფერენციალური დონე გვიჩვენებს სარკისებრ ასიმეტრიას. ქართულში ქცევისა და ირიბი ობიექტი მარკერები პრეფიქსურია, ბასკურში - ადრესატობის მარკერიც და ირიბი ობიექტის ნიშანიც სუფიქსურია. აღსანიშნავია, რომ ამ ორ კატეგორიას (ქცევისა და ადრესატობას) იზომორფული სემანტიკური ვექტორები აქვს.

ზნისგარეთა დესტინაცია წარმოდგენილია დესტინაციური შინაარსის თანდებულებით, ასევე ამავე სემანტიკის ბრუნვათა ფორმებითა და დერევიაციული აფიქსებით.

სინტაქსური დესტინაცია გულისხმობს მორფოლოგიურად გამოხატული დესტინაციის ფორმათა დასაშვებ კომბინაციებს ენაში. ამ თვალსაზრისითაც, რა თქმა უნდა, გადამწყვეტი სიტყვა ეკუთვნის პოლიპერსონალურ ზმნას, რომელიც აწარმოებს ძირითად მოდელებს ორივე ენაში.

ნაშრომში მოცემულია ახალი ტიპოლოგიური მეთოდური - ფუნქციო-ფორმალური თეორია, რომელიც თავისი არსით სინთეზურია და გულისხმობს ფუნქციონალიზმისა და ფორმალიზმის მიღწევათა რაციონალურ გამოყენებას. ფუნქციო-ფორმალური რაციონალური მეთოდური თეორიის მიხედვით, ესა თუ ის ენობრივი მოვლენა აიხსნება ხან ფორმიდან, ხან კი ფუნქციიდან გამომდინარე აიხსნება. ფუნქცია არის პირველადი ამოსავალი, მაგრამ რიგ შემთხვევებში, როდესაც უკვე შექმნილია ენობრივი სისტემა, იგი უკვე დამოუკიდებლად, სისტემის კანონების შესაბამისად, ენობრივი ინერციით მუშაობს. ასეთ დროს ყალიბდება ფორმალური ერთეულები, რომლებიც საკმაოდ დაცილებულია ფუნქციურ საწყისს. ენობრივი ანალიზი ითვალისწინებს კვლევის მეთოდში ფორმისა და ფუნქციის ერთიანობას.

წინამდებარე ნაშრომში მოცემულია ვექტორიალობის თეორია: ენა კანონზომიერ ურთიერთმიმართებაში მყოფი ერთეულების სისტემა - ეს ქმნის ვექტორულ სიდიდეებს. გამოიყოფა ლინგვისტური ვექტორი ენის იერარქიის ყველა დონეზე: ფონეტიკური, მორფოლოგიური, სინტაქსური, ლექსიკური, სემანტიკური; ასევე შესაძლებელია დონეთაშორისი

ვექტორების გამოყოფაც: მორფო-სემანტიკური, მორფო-ფონოლოგიური, მორფო-სინტაქსური, ლექსიკო-სემანტიკური. არსებობს გარეგნული, ანუ რეფერენციალური და შინაგანი, ანუ სემანტიკური ვექტორები.

ნაშრომში არის ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერებისათვის ახალი საბაზისო თეორიის შემოტანის მოკრძალებული ცდა. ენათა ნათესაობის დასადგენად საჭირო და საკმარისია მორფემებში ბგერათშესატყევისობებისა და მორფოლოგიურ კატეგორიათა ფუნქციურ-სტრუქტურული სიმეტრიის ან ასიმეტრიის გამოვლენა რეფერენციალურ დონეზე.

ტრადიციულად რეგულარულ ბგერათშესატყევისობათა გამოვლენა ლექსიკის დონეზე ხდება. ფაქტობრივად მოქმედების ცენტრს გადაგვაქვს მორფოლოგიაში. ბგერათშესატყევისობათა გამოვლენა უნდა მოხდეს ყველა ტიპის მორფემათა დონეზე და არა მხოლოდ ძირეულ მორფემებში. ასეთი მიდგომით მივიღებთ დიქრონიული ვერტიკალის გაცილებით ქვედა, ადრეული ფენების რეალურ კომპარატიულ სურათს.

### ნაშრომში ჩატარებული კვლევის შედეგები:

წინამდებარე ნაშრომში გამოვლენილია დესტინაციურ სისტემათა ზოგადი ენობრივი მოდელეები და ქართული ენის დესტინაციური სისტემა. ახლებურად გააზრებულია ქცევის კატეგორიასთან დაკავშირებული რთვი საკითხი; გამოვლენილია ბასკური ზმნის ადრესატობის მორფო-სემანტიკური კატეგორია მორფო-სემანტიკურ და რეფერენციალურ დონეზე; გამოვლენილია ბასკური ენის დესტინაციური სისტემა; ნაშრომში აგრეთვე გამოვლენილია ზმნური დესტინაციის ზოგადი ენობრივი მოდელეები პოლიპერსონალური სტრუქტურებისათვის. განხილულია დესტინაციის ადგილი ენის სისტემაში, მისი მიმართება სხვა კატეგორიებთან და კატეგორიათაშორისი ურთიერთობანი. ნაშრომში მოცემულია ახალი სინთეზური ტიპოლოგიური მეთოდური თეორია – ფუნქციო-ფორმალისმი; ოცემულია ახალი საბაზისო თეორია ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერებისათვის; წარმოდგენილია ლინგვისტური ვექტორიალობის თეორია და გამოვლენილია რამდენიმე ლინგვისტური უნივერსალა. წინამდებარე ნაშრომში ახლებურად გააზრებულია რთვი კატეგორიები: კლასის კატეგორია, ერგატიულობა, პერსონალიზმი, რეფლექსივი.

## TAMAR SH. MAKHAROBLIDZE

### THE TYPOLOGY OF DESTINATION SYSTEMS

#### GENERAL INFORMATION

##### THE ACTUALITY OF THE PRESENT RESEARCH

The present research is about the destination systems of Basque and Georgian describing them in typological aspect. In our time the significance of diverse type of typological researches is out of doubt among the specialists.

The typological researches of any item first of all mean the complete investigation and the analysis of this item and then generalization of the results. The present work is the first researching experience of the following linguistic themes: the destination typological systems, the inter-category relations and destination models of ergativity. As a matter of fact the description of concrete morpho-semantic models of poly-personal languages from the point of universal parameters of course always has the actual meaning for modern linguistic sciences.

From typological point of view the isolated languages are very important. The proper investigations of Basque poly-personal verb - as a part of isolated language system, may answer many significant questions in linguistics.

##### THE METHODS OF THE RESEARCH

In present research the synchronic typological methods are used. There is also a new methodological theory exposed in the work - the rational principle of functio-formal attitude. That means to explain the language facts basing on their functional level and on the formal level at the same moment. The function is very important; it's the origin for any linguistic form. But when the language system is already formed, very often it acts independently from the forth of language inertia. Then the language creates the units, which are far from the functional beginning. Such cases must be investigated by formal point. We offer the synthetic functio-formal typological methods of research using them in the present work.

##### THE SCIENTIFIC NOVELTY AND THE GENERAL RESULTS OF THE RESEARCH

Each part of the research includes the scientific novelty. As a matter of fact this is the first investigation of Basque-Georgian morphological systems. This is the first trial of typological consideration of the presented themes.

The general results are as following:

1. The general language models of destination are exposed in the present work.
2. The present work brings to light the morpho-semantic and referential levels of the verbal category of addressee of Basque.
3. The present research exposes the destination system of the Georgian language. Some aspects of the verbal category of version are interpreted in a new way.
4. The present work exposes the destination system of Basque.
5. In the present research the general language models of verbal destination are exposed for poly-personal verbs.

6. The place of destination categories in language system and its relations to other grammatical categories are revealed in the present work.
7. The new synthetic methodical theory of functio-formalism is exposed in the present research.
8. In the present research a new basic theory for historical comparative linguistics is exposed.
9. In the present work a new theory of linguistic vectority is exposed.
10. A few linguistic universals are exposed in the present research
11. Some grammatical categories (such as class, ergativity, verbal personality, reflexivity) are explained in a new light.

## INTRODUCTION

In The introduction of the present research the latest linguistic methods of functionalism are discussed and a new functio-formal methodology is exposed. This is a new typological rational synthetic method offering to use the best results of functionalism and formalism.

The language has the two sides of the coin the form and function and we can lay on functional and formal data analyzing the language systems. The function in the prior, but when the language system is already functioning, it may follow only to the formal system in its way of development creating some forms basing only on the formal system parameters. Such forms must be explained from the formal point of view. Linguistic analysis needs to unify the functional and formal analysis. The importance of Basque as an isolate language for typological investigations is explained in the introduction.

## THE GENERAL PARAMETERS OF DESTINATION SYSTEMS

Analyzing the general parameters of destination systems we exposed the universal typological models of destination and relations of these systems with other grammar categories in the languages.

## THE TYPOLOGICAL CHARACTERIZATION OF DESTINATION SYSTEMS

Destination is the eldest universal semantic category, which exposes its content on each level of language hierarchy (except of the one side, phonetic level) corresponding this semantic by proper forms of language.

The terms "destination" and "destinator" are from Latin, but as linguistic terms they came through the English and Spanish lexicons. The presented research is a trial of using these terms with proper meanings. Destination means the aim result destination/direction. Destinator is a person (or a form) to whom the – the verbal act or nominal destination forms are oriented.

There are grammar and lexical destinations. The first one means the morphological and syntactic destination. The morphological destination can be expressed by flexion of words and derivation. Different languages have the different possibilities to expose the semantic category of destination.

Destination has two semantic meanings:

1. Possessive destination

2. Oriented or aimed destination.

These two meanings are too close to each-other and sometimes with crossing semantic fields.

As the eldest linguistic category destination makes the proper morpho-semantic models in different languages. We can expose the linguistic regulation – EACH LANGUAGE HAS THE SEMANTIC CATEGORY OF DESTINATION. This regulation is based on the following famous regulation that any language can express any idea.

There are a few parameters for language classification in linguistics. We could take destination as the classification parameter like ergativity. Such classification would be based on concrete grammatical distribution of semantic destination in the languages defining the proper models.

The semantic category of destination is exposed in morphology and syntax. The differences between the languages in exposing the destination semantic are shown on these grammar levels: in morphology and syntax and the functional distribution of the forms.

One row of languages (such as Indo-European languages) mainly is forming the lexical and syntactic structures for destination semantic. But the morphological destination is weakly exposed. Another number of languages mainly have the morphological structures for the destination semantic and their syntax is comparably free from this semantic structures.

It's clear that in poly-personal verbal structures the verbal category of destination plays the most important role. The language distributes the semantic contents and categories among the grammatical categories. Poly-personal verb carries a lot of different semantics inside the verb.


The present research exposes the theory of linguistic vectority explaining the Georgian category of version as a vectorial category.

The language is a system consisting of units in appropriate relations with each-other. These relations could be exposed by vectors. We have the linguistic vectors on each level of language hierarchy. There are phonetic, morphemic, syntactic, lexical and semantic vectors, showing the attitudes and directions of the units. There are the inter-level vectors as well: morpho-phonetic, morpho-syntactic, morpho-semantic, lexico-semantic vectors.

We have two general types of vectors showing inside or outside orientation in language systems. The outside vectors are very easy to understand in phonetic changes, such as progressive or regressive assimilation or dissimilation. The proverbs showing the direction or orientation of verbal acts are also clear with their vectors.

The samples for inner vectors: from the one hand there are inter morpheme vectors showing the relations between the markers of the indirect object and category of version in Georgian, from another hand there is inner destination vector expressing intro- or extra-vertization, according to M. Machavariani.

## THE GENERAL MODEL OF LANGUAGE DESTINATION SYSTEM



## THE RELATIONS OF DESTINATION WITH THE OTHER MORPHO-SEMANTIC CATEGORIES


There are no independent categories in the language. Any category is in relations with other categories. The place and role of the category is defined by these relations with some other categories in the concrete languages.

Destination as a morpho-semantic category is in close relations with the grammatical categories of person and case from one hand and from another hand it is connected with the categories of classes and ergativity. But these relations are not symmetric. The categories of case and person are taking part in creation of the grammatical category of destination, while ergativity and ergative models are exposed as the parallel system to it. But the category of classes is the basic category for the all above mentioned categories.

We are interpreting the ergativity and the destination as the categories of objects. Must be noted that here we mean the wide field of the semantic and grammar categories and not only the morphological or the syntactic levels.

The languages show the different positions to the object. Nominative-accusative languages give the priority to the direct object and transitivity referencing them in their grammar, while the ergative languages concentrate towards the indirect object, as the ergativity already shows the general idea about the direct object and transitivity in these languages. In the languages of ergative constructions the gradation of destination is the basing diathesis. Even more, the transitivity-intransitivity is not relevant for destination. It's clear that the destination is the elder category than ergativity, as it doesn't depend on transitivity. In ergative languages the principal opposition is not the binary model of transitivity, but the gradation of destination, which in synchronic level is expressed by the verbal prefix vocals in the Georgian language and by the vocal/vocal and consonant suffix markers in Basque.

Inter-categorial relations look as follow:



The categories of case and person are in collaboration to create the destination forms. They make the parallel configurations having the same kind of relations with ergativity. Finally, these two object categories show the parallel structures.

The category of class goes through the all language system appearing as a basing category for its morphology and syntax. In poly-personal languages the relations between the general categories look as following:

**Category of Class → ergativity**

**Category of Class → destination → reflexivity**

**Category of Class → person → poly-personality**

**Category of Class → case**

Because of its weak role on the synchronic level the category of class loses its importance. But it's clear that without the category of class it's impossible to understand many other categories in the language.

## DESTINATION AND THE CATEGORY OF CLASSES

Basing on the investigation results of the general semantic parameters of the language we can conclude, that the general semantic categories are universal for any language. We could expose this as the universal regulation. So, the semantic of the category of classes seems also to be universal.

Different languages expose the regulations by diverse type linguistic models giving the priority to the dominant categories. There are the different kinds of reflection of the universal category of classes in different language systems. The Indo-European languages have three forms of gender, Iberian languages have the category of animated-unanimated things, the other languages have the different signs for such classification. Some languages use the systems of religious or social signs for proper identification etc.

The destinator or the addresser is an animated person first of all. The indirect object is the second animated argument as a verbal person involved into the verbal act after the subject. Although we must remember, that on the highest level of linguistic abstraction there is no specific border between the forms of animated/un-animated objects and we also have un-animated indirect objects. In the Kartvelian languages we have the semantic category of classes not only in the diachronic level, but on the synchronic level of these languages as well exposing the class category with the concrete morphological and semantic units. Although the category of classes is not productive in temporary system of the Kartvelian languages and it has the tendency of disappearing.

On the synchronic level of the Georgian language the category of classes is exposed in its morphology and syntax: it is in the noun groups, in the case and plural systems, in participles, in the different groups of pronouns, in verbs, in proverbs and so on.

We think, that the ergative markers in Georgian and Svan *m/man* comes from pronoun of the human, who category (from *me, mare*). The same origin has *m* - the first person object marker; *v* - the first person subject marker; in *mi-mo* proverbs the center of orientation is the first person, expressed by *m* having the proper opposition *c'* and etc.

The general diathesis of the category of person is animated-unanimated semantics. This category is very well exposed in the semantics of the different groups of Georgian pronouns.

The personal and demonstrative pronouns have the rests of the class opposition of *s- m*.

The marker of ergative follows the forms in the other cases as well like the North Caucasian type of declination.

Nom. is

Erg. m-a-n here "*n*" is the later marker of ergativity

Dat. m-a-s

Gen. m-is(i)

Inst.(i)-m-it

Adv. (i)-m-ad

What ever we think about affix *a* either consider this with the previous consonant or take it as the inter-consonant vowel, in spite of it, we must say that the ergative declination is quite clear in the Georgian language. This is the same model of declination as in the other Caucasian languages.

In the Georgian language the class category is in the all system of the language. It's spread by pronouns into the noun declination and verbal conjugation. It is properly exposed in poly-personal verbal system. The class category appears in the basic semantics of the each category of the poly-personal verb. Who-what semantic category is the base for many categories in the language, although in the modern language it has no referents itself – except just a few forms.

As noted the class category is the base for the semantic of many other categories and this is the reason why there is no need to be exposed and now it has no morphological referents in Georgian.



Georgian personal and demonstrative pronouns have ergative case, where we have the rests of class categories in so called actantive cases.

